გაფრთხილება დესტაბილიზაციაზე A3 | ამაგი B6 | კვირის TV პროგრამა B7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 13 ივნისი, 2003 წელი. №160 (372)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის სამხედრო პერსპექტივები

საუკუნის პროექტში მონაწილე ქვეყნებში კვლავაც გრძელდება დისკუსია ნავთობსადენის უსაფრთხოების საკითხებზე. ეს პრობლემა უშუალოდ არის დაკავშირებული თბილისი-ბაქო-ანკარის სამხედრო თანამშრომლობაზე, რომლის ფინანსურ და, გნებავთ, პოლიტიკურ მხარდაჭერას ამერიკის შეერთებული შტატები უზრუნველყოფს.

A3

## ეკონომიკა

### ლეიბორისტების ახალი შეტევა „ეი-ი-ეს თელასზე"

საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის საორგანიზაციო მდივანმა ფრიდონ ინჯიამ განაცხადა, რომ ლეიბორისტებისათვის ცნობილი გახდა ხელისუფლების ახალი, ენერგეტიკული ავანტურის შესახებ.

A4

## უცხოეთი

### აშშ-თურქეთის ურთიერთობები კვლავ დაძაბულია

მართალია, ერაყის ომი უკვე დასრულდა, მაგრამ თურქეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობები ჯერ კიდევ დაძაბულია და ორი ქვეყანა სტრატეგიულ საკითხებზე ვერც ახლა თანხმდება.

A5

## სამართალი

### მსჯავრდებულ ქალთა დაწესებულება ევროსტანდარტებს აკმაყოფილებს

იუსტიციის მინისტრი კი, როგორც თავად გვპირდება, ციხეთა აღმშენებლობის გაგრძელებას მომავალშიც ნამდვილად აპირებს. ამჯერად, რუსთავის მშენებარე ციხე, საგარეჯო და სხვა დაწესებულების რიგია.

A7

## პერსონა

### "თუ ვინმეს ჰგონია, რომ მე მარტომ უნდა ვაგო პასუხი, ძალიან შემცდარა"

წინასაარჩევნოდ დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია არამხოლოდ თავისუფალ ზონაში მცხოვრებ ადამიანებსა და ინფრასტრუქტურას შეეხო. როგორც ჩანს, პოლიტიკამ გისოსებს მიღმაც შეაღწია. გვესაუბრება საქართველოს იუსტიციის მინისტრი როლანდ გილიგაშვილი.

B1

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | |
| ქუთაისი | 24 | |
| ბათუმი | 22 | |
| სოხუმი | 24 | |
| ფოთი | 23 | |
| თელავი | 25 | |
| ზუგდიდი | 24 | |
| გორი | 22 | |
| ახმეტა | 24 | |
| ჭიათურა | 24 | |
| გაგრა | 24 | |
| სამტრედია | 25 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1550 |
| ევრო | 2.5399 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.6105 |
| რუბლი | 0.0706 |

# მაღალი დონის საინტერესო ვიზიტი

ასეთია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასება



ნინო ბურჯანაძის და კოლინ პაუელის შეხვედრის მთავარი თემები არჩევნები და აფხაზეთი იყო.

ეკა კვესიტაძე
ვაშინგტონიდან

ეს იყო ძალიან მაღალი დონის, უაღრესად საინტერესო ვიზიტი - ასეთი შეფასება მისცა სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ოთხდღიან სტუმრობას ვაშინგტონში.

გუშინ ნინო ბურჯანაძე ამერიკის სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს შეხვდა. საუბრის მთავარი თემები არჩევნები და აფხაზეთი იყო.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, კოლინ პაუელმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ საქართველოში ჩატარებულ არც ერთ არჩევნებს ამერიკის ასეთი დიდი ინტერესი არ გამოუწვევია.

რაც შეეხება აფხაზეთს, სახელმწიფო დეპარტამენტში აცხადებენ, რომ ისინი კონკრეტულ დიპლომატიურ გზებს ეძებენ, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს ამერიკის როლი ამ კონფლიქტის მოგვარებაში.

**"საქართველოს ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეკავა პოსტ-საბჭოთა სივრცეში და ეს ტენდენცია უნდა გაგრძელდეს. ამისათვის კი, პირველ რიგში, აუცილებელია, რომ მომავალი არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდეს. არჩევნების გაყალბება ძალიან სერიოზულ პრობლემებს მოუტანს საქართველოს,**

გაგრძელება A2 გვერდზე

# გუშინ „კმარა" ძალიან „დაკავებული" იყო

თამარ დვალი
სოფო ბუკია
თეა ხოფერია

*გუშინ აქცია "კმარას" აქტივისტები შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატიო სიგელით ხელდამშვენებულები ესტუმრნენ. "თარგამაძე რკინის მინისტრი იყო და ჯართში ჩააბარეს, თქვენ თუჯის მინისტრი ხართ და ჯართშიც ვერ ჩაგაბარებთ, ამიტომ თქვენი ადგილი სანაგვეზეა. როგორც ღამის კურიერში განაცხადეთ, საგარეჯოში უსუსური პოლიციელები აღმოჩნდნენ და ვერ დაგვაკავეს, ახლა მოვედით და დაგვაკავეთ", - ასეთი განცხადებით მიმართეს აქციის მონაწილეებმა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელმაც თხოვნა დაუყოვნებლივ შეასრულა და აქციის 9 მონაწილე ხულიგნობის ბრალდებით დააკავა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



რვასაათიანი დაკავების შემდეგ "კმარას" აქტივისტები გაათავისუფლეს.

# ჟვანია პროკურატურას კონსტიტუციის ხელყოფაში ადანაშაულებს

ლელა მჭედლიძე

"მემარჯვენე" დავით გამყრელიძის შემდეგ, მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ პროკურატურაში უკვე "დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია დაიკითხა. დღეს პროკურატურაში ასევე "დემოკრატ" გიორგი ბარამიძეს ელიან. დასაკითხი დეპუტატების სია საკმაოდ გრძელია. როგორც მთავარი გამომძიებელი იოსებ გორგოძე აცხადებდა, ჯერ კიდევ ზუსტდება იმ ხალხის ვინაობა, რომელიც შესაძლოა პროკურატურაში გამოიძახონ. **"აქციაში ოთხი ათასამდე კაცი მონაწილეობდა",** - განმარტა გუშინ გორგოძემ.

ზურაბ ჟვანიამ აქციის მონაწილეთა დაკითხვაში პოლიტიკური რეპრესიების დასაწყისი ვერ აღმოაჩინა, მაგრამ კომენტარში ხაზი გაუსვა პროკურატურის მიერ კონსტიტუციის ხელყოფას:

გაგრძელება A2 გვერდზე

# „ახალი გურულების" გავლენიანი ოჯახის წევრი ფინანსური აფიორისთვის დააკავეს

*პარლამენტარ ზაზა სიორიძის ძმა, მერაბ სიორიძე რამდენიმე დღის წინ დააკავეს. მას ყრუ-მუნჯთა საზოგადოების კუთვნილი 250 ათასი ლარის მითვისებაში ადანაშაულებენ. თუმცა, ეს არ არის ერთადერთი საქმე, რომლის გამოც გამოძიება "ახალი გურულების" სახელით ცნობილი ჩხარტიშვილის გუნდის წევრის ძმას ედავება.*

ბექა სისაური
ქუთაისი

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სიორიძეს რუსული ფირმა "კრონაც" ჰყავს "გადაგდებული". მან, დაახლოებით, ათი წლის წინ "კრონას" კუთვნილი 10 მილიონი რუსული მანეთი მიითვისა. ამჟამად, "კრონას" ხელმძღვანელობა მერაბ სიორიძეს აღნიშნული თანხიდან მხოლოდ 500 ათასი დოლარის დაბრუნებას სთხოვს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას სამტრედიის პროკურატურა აწარმოებს. "კრონას" ადვოკატის, ნანა აფხაიძის განმარტებით, მერაბ სიორიძემ დანაშაული უკვე აღიარა და გამოძიება დასრულების პროცესშია.

მოვლენები, რომლებმაც მერაბ სიორიძეს 500 ათასი დოლარი შეჰმატა, 1991 წელს განვითარდა. იგი მაშინ ტელეკომპანია "გურიის" დირექტორად მუშაობდა. აღნიშნული ტელეკომპანია რეგიონში "იბერვიზიის" ფილიალი იყო. 1991 წელს მოსკოვში, მერაბ სიორიძე კონტაქტებს ამყარებს

გაგრძელება A7 გვერდზე

# საქართველოში ადამიანებით ვაჭრობა გრძელდება

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენება

ლევან ღირსიაშვილი

თანამედროვე მსოფლიოში ადამიანებით ვაჭრობა ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთ ყველაზე სარფიან სფეროს წარმოადგენს. ეს პრობლემა დღითი-დღე უფრო დიდ მასშტაბებს იძენს და მსოფლიოს საზოგადოების სამართლიან შეშფოთებასაც იწვევს. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ამ პრობლემისადმი მიძღვნილ მოხსენებას ყოველწლიურად აქვეყნებს. მორიგი დოკუმენტის თანახმად, რომლის შესახებაც გუშინ გახდა ცნობილი, ტრეფიკინგის მსხვერპლი მსოფლიოში, დაახლოებით, 900 ათასი ადამიანია, რომლებიც იძულებით არიან გადაყვანილი სხვადასხვა ქვეყნებში. მათ დიდ ნაწილს კი ასევე იძულებით ასაქმებენ სექს-ინდუსტრიაში. აშშ-ს ხელისუფლება ადამიანებით ვაჭრობას მონობის თანამედროვე ფორმად და, შესაბამისად, ადამიანთა უფლებების ერთ-ერთ უმძიმეს დარღვევად განიხილავს. სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ კრიმინალური დაჯგუფებები ადამიანებით ვაჭრობით ყოველწლიურად ათობით მილიარდი დოლარის მოგებას იღებენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ედ მელკერტი გაოცებულია ქართული დემოკრატიით და შეშფოთებულია ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებით

სოფიკო ოხანაშვილი

*9-12 ივნისს საქართველოს პირველი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა მოფლიო ბანკის აღმასრულებელი დირექტორი ედ მელკერტი. ეს, ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, მისი პირველი ოფიციალური ვიზიტია საქართველოში. მელკერტი საქართველოს პრეზიდენტსა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს შეხვდა; ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის პროგრამის გასაცნობად ბორჯომსაც ეწვია. ედ მელკერტი მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორად გასული წლის ნოემბერში დანიშნეს. მელკერტის კომპეტენციის ფარგლებში 12 ქვეყნის (საქართველო, სომხეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, კვიპროსი, ისრაელი, ხორვატია, მაკედონია, მოლდოვა, ნიდერლანდები, რუმინეთი და უკრაინა) ზედამხედველობა შედის. გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ედ მელკერტთან.*

**- ზოგადად როგორ შეაფასებდით საქართველოში არსებულ ეკონომიკურ ვითარებას?**

- მე მთელ რეგიონს ვუყურებ, როგორც ევროპელი, რომელიც წარმოშობით ჰოლანდიიდანაა. ჩემი აზრით, აშკარად გამოიკვეთა ის ტენდენცია, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველო უფრო და უფრო აქტიურად უახლოვდება ევროპას. ეს ძალიან დადებითი შედეგია. ამასთან, მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ქართული ეკონომიკის ზრდის ტემპი ამ კონკრეტულ შემთხვევაში გაცილებით მაღალია, ვიდრე საშუალო ევროპული ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი. ჩემი აზრით, საქართველოში გაცილებით უფრო დიდი პოტენციალია.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ექსკლუზივი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ამაგი B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

## სახელისუფლებო ბლოკის შეკრება

ლელა მჭედლიძე

სახელისუფლებო ბლოკის სპიკერის, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას გუშინდელი სკანდალური განცხადების შემდეგ, სახელისუფლებო პარტიების, თავად სარიშვილი-ჭანტურიას მეთაურობით, პრეზიდენტთან შეკრება თითქმის საღამომდე უნდა ყოფილიყო.

**"გელაევს კარგი ნაცნობობა აკავშირებს საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან და მეგობარია. სწორედ მან ერთადერთმა აღმოაჩინა, რომ გელაევი უაღრესად სანდომიანი და განათლებული ახალგაზრდა კაცია. არ მინდა, რომ ქართული პოლიტიკის ატრიბუტად მეგაფონთან, პლაკატთან და მიკროფონთან ერთად, ფსიქიატრიც იქცეს,"** – ამგვარი კომენტარი გააკეთა ზურაბ ჟვანიამ ბლოკ "ერთიანი საქართველოსათვის" სპიკერის განცხადებაზე.

გელაევის ნაცნობი შევარდნაძე ედპ-ს ლიდერის განცხადებას უფრო სერიოზულად მოეკიდა. გუშინ საღამოს, პრეზიდენტთან თათბირის შემდეგ, სარიშვილი-ჭანტურია კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ **"პრეზიდენტმა ოპერატიულად გადაამოწმა, თუ რა მდგომარეობა იყო გუშინ საზღვრებზე, დღეს დილიდან კი გააფრთხილებს ძალოვან სტრუქტურებს, რომ ასეთი საფრთხე საფუძველს მოკლებული არ არის"...** თუმცა, როგორც თავად სარიშვილი-ჭანტურიას, ისე შეხვედრის მონაწილეების აღიარებით, საუბრის ძირითადი თემა ეს საკითხი მაინც არ ყოფილა. ასევე, არც ბოლო დროს მომრავლებული აქციები და გუშინ შსს-სთან გამართული "კმარა". ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებდა ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული ლევან მამალაძე. შევარდნაძე თავის მხარდამჭერებთან ასე დანაშული საარჩევნო კოდექსს და სოციალურ საკითხებზე საუბრობდა.

**"იყო საუბარი საარჩევნო კოდექსის რამდენიმე ვარიანტზე. პრეზიდენტის პოზიცია უცვლელია. მაქსიმალურად უნდა შეეცადონ სახელისუფლებო ფრაქციები ამ პროცესში ოპოზიციის ჩართვას",** - აცხადებდა სარიშვილი-ჭანტურია.

**"ძირითადი თემა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი იყო. თითქმის ყველა ვარიანტი მოვისმინეთ და საქმე იქითკენ მიდის, რომ ცესკო ყველა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად უნდა დაკომპლექტდეს. საბოლოო ვარიანტს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციებს, საელჩოებს წარუდგენენ. ძალზე საინტერესოა ხმალაძის ვარიანტი. ახლა კონკრეტულად საუბარია 1999 წლის არჩევნების შედეგების შესაბამისად საარჩევნო კომისიების ქვეყნის მასშტაბით დაკომპლექტებაზე. თბილისში საოლქო კომისია კი ადგილობრივი არჩევნების დროს, თბილისის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება. ფინანსთა მინისტრი დაგვპირდა, რომ პენსიები დაიფარება და საფუძველი არ მაქვს, არ ვენდო,"** - უფრო სიტყვაუხვი იყო ლევან მამალაძე. საინტერესო ის იყო, რომ პრეზიდენტთან სარიშვილ-მამალაძემდე მაჟორიტარი დეპუტატების სერიოზული დეპუტაცია თათბირობდა. თუ რაზე – ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, რადგან თითოეულს ახლა ნამდვილად ადარდებს ის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლითაც მათ, შესაძლოა, სადეპუტატო უფლებამოსილება გაუგრძელდეთ. მაგრამ, კონკრეტულად რაზე შეთანხმდნენ დეპუტატები ქვეყნის მეთაურთან, უფრო ძნელი გასარკვევია. თითოეული მათგანი, შეხვედრიდან გამოსვლის შემდეგ, კომენტარისგან თავს იკავებდა.

## ჯუმბერ პატიაშვილმა კახელ ამომრჩევლებს პოლიტიკური აქტიურობისაკენ მოუწოდა

პოლიტიკური გაერთიანება „ერთობის“ ლიდერთა წინასაარჩევნო ვოიაჟი კახეთში მშვიდობიანად დასრულდა. თელავში გამართულ რეგიონულ კონფერენციაზე, კახეთის ყველა რაიონიდან მიწვეულ ელექტორატთან შესახვედრად, ჩავიდა გაერთიანების ლიდერი ჯუმბერ პატიაშვილი, პოლიტიკური საბჭოს მდივანი ჯუმბერ კირვალიძე, „ერთობის“ რეგიონული მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვასილ კოპალიანი და პარტიის რამდენიმე აქტივისტი. თელავის კულტურის სახლში გამართულ კონფერენციას 300-მდე ადამიანი ესწრებოდა.

შეხვედრა ჯუმბერ პატიაშვილის გამოსვლით დასრულდა, რომელმაც ამომრჩევლებს პოლიტიკური აქტიურობისაკენ მოუწოდა. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველო, ყაზახეთი და უზბეკეთი იმ ქვეყნების სიაში მოხვდნენ, რომელთა წინააღმდეგ ამერიკის მთავრობამ 2003 წლის 1 ოქტომბრიდან, შესაძლოა, ფინანსური სანქციები შემოიღოს. როგორც აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის მოხსენებაშია ნათქვამი, აღნიშნულ ქვეყნებში ადამიანებით უკანონო ვაჭრობამ შემაშფოთებელი მასშტაბები მიიღო, რის გამოც მათი ურთიერთობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან, შესაძლოა, დიდი ხნით შეიზღუდოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტის პრესმდივანი კახა იმნაძე აცხადებს, რომ საქართველოს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან ეკონომიკური და ფინანსური სანქციების გატარების საფრთხე არ ემუქრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებებისათვის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის გამარტივებას მოითხოვს და საჭიროდ მიიჩნევს, საზღვარგარეთ დიპლომატიური დაწესებულებების მიერ განხორციელებული შესყიდვების პროცედურულ მხარეზე ქვეყნის ეროვნული უშიშროების საბჭომ იზრუნოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბრიუსელში დაიწყო ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების მორიგი სამუშაო შეხვედრა, რომელშიც საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე მონაწილეობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შედგენილ ამომრჩეველთა სიებზე მონიტორინგის განხორციელება ამ დღეებში დაიწყება. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მარიამ ცაცანაშვილის თქმით, სიების მონიტორინგი დროში შეზღუდულია და ამიტომ ისინი ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკითხის გადაწყვეტას ველარ დაელოდებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამერიკა აპირებს ზოგიერთი სამხედრო ბაზის დისლოკაციის შეცვლას მათი ნავთობის კერებთან მიახლოების მიზნით. ერთ-ერთ ასეთ ადგილად დასახელებულია კავკასია და, პირველ რიგში, აზერბაიჯანი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დასაცავად ამერიკელები აპირებენ, შეიარაღებული ძალების 15-ათასიანი კონტინგენტი აზერბაიჯანში განალაგონ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალქალაქში დისლოცირებული 62-ე რუსული სამხედრო ბაზის სამხედრო მოსამსახურეებმა გუშინ რუსეთის დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ სამხედრო ბიუჯეტის არასრული დაფინანსება რიგი სტრატეგიული პროგრამების შესრულებაზე აისახება. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელის მირიან კიკნაძის თქმით, დღეისათვის სახელმწიფო დავალიანება სამხედრო უწყების წინაშე დაახლოებით 12 მილიონ ლარს, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის 50%-ს შეადგენს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ოფიციალური ვიზიტით გერმანიის დაზვერვის ფედერალური სამსახურის უფროსი ავგუსტ ჰენინგი იმყოფება. მას ნახევარსაათიანი დახურული შეხვედრა ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტთან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ტრასეკას წევრი ქვეყნები რკინიგზების ხელმძღვანელთა საბჭოს შექმნაზე შეთანხმდნენ. რკინიგზების ხელმძღვანელთა პირველი შეხვედრა, რომელზეც შემდგომ მუშაობაზე იმსჯელებენ, ივლისში ბაქოში გაიმართება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვენაში სამკურნალოდ მყოფი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი ეუთო-ს გენერალურ მდივან იან კუბიჩს შეხვდა. მხარეებმა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში ეუთო-ს მონაწილეობისა და შემდგომი გააქტიურების პერსპექტივები განიხილეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი მიესალმება ქართველ პარტიზანთა ლიდერის დავით შენგელიას განზრახვას - აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს სრული შემადგენლობის გადაყენების მოთხოვნით, ორშაბათიდან საპროტესტო აქციების დაწყების თაობაზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ერთობა" კასპის მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად გენერალ გუჯარ ყურაშვილს წარუდგენს. **ინტერ-პრესი**

# მაღალი დონის საინტერესო ვიზიტი

### ასეთია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასება

პირველი გვერდიდან

- აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ამერიკის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა სენატორმა სემ ბრაუნბეკმა, **- შევარდნაძე ისტორიული ფიგურაა და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ გადამწყვეტ მომენტში ის სწორ არჩევანს გააკეთებს. მას ძალიან დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი აქვს და ეს ავტორიტეტი უნდა გამოიყენოს იმისათვის, რომ გაატაროს რეფორმები, გააძლიეროს ღია საზოგადოება და, საერთოდ, პროგრესის გზაზე დააყენოს ქვეყანა.**

**თუ არჩევნები სერიოზული დარღვევებით ჩატარდება, ეს არა მარტო შევარდნაძის ავტორიტეტს მიაყენებს დიდ ზიანს, არამედ ცუდ შედეგებს მოიტანს ყველა პოლიტიკური ლიდერისთვის, პირველ რიგში კი, ბუნებრივია, ცუდ შედეგებს მოიტანს მთლიანად ქვეყნისთვის."**

**"დღეს ჩვენ ყველანი დაინტერესებულები ვართ, რომ ამ არჩევნებმა დემოკრატიულად ჩაიაროს და ამ პროცესს უშუალო სიახლოვიდან მივადევნებთ თვალყურს,** - განაცხადა ჰელსინკის კომისიის თავმჯდომარემ, კონგრესმენმა კრისტოფერ სმიტმა, **- თუ არჩევნები არადემოკრატიულად ჩატარდა, ეს ძალიან გაართულებს ურთიერთობებს არა მარტო ამერიკასთან, არამედ, მთლიანად, დასავლეთთან. ამერიკა, რა თქმა უნდა, არ გიკარნახებთ, ვინ უნდა აირჩიოთ. მაგრამ ჩვენ ყველანი - დემოკრატები, რესპუბლიკელები, კონგრესმენები, სენატორები, ადმინისტრაცია - გკარნახობთ, რომ ეს არჩევნები უნდა ჩატარდეს დემოკრატიულად. ქართველი ხალხი იმსახურებს, რომ დემოკრატიულად არჩეული, ლეგიტიმური ხელისუფლება ჰყავდეს."**

არჩევნების პარალელურად, კონგრესში და სენატში თითქმის ყველა შეხვედრაზე მთავარი თემა იყო აფხაზეთიც. ინიციატივა, რომ აფხაზეთის საკითხით მეტ დაინტერესებას გამოიჩენენ და ამ საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტს კონგრესმენები სპეციალურ წერილს მისწერენ, პირველად კონგრესმენმა იოზეფ პიტსმა გამოიჩინა. ამის შემდეგ სენატში და კონგრესში გამართულ შეხვედრებზე, პარლამენტის თავმჯდომარეს თითქმის ყველა შეჰპირდა, რომ ლობირებას გაუწევენ აფხაზეთის თემას და ხელს მოაწერენ იმ წერილს, რომლითაც კონგრესმენები და სენატორები სთხოვენ აშშ-ს პრეზიდენტს, რომ ადმინისტრაცია უფრო აქტიურად ჩაება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში.

**"თუ ეს მართლა გაკეთდა, ამ ვიზიტს ნამდვილად ნაყოფიერად ჩავთვლი. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში ამერიკის როლი გაიზარდოს, რომ აფხაზეთი იქცეს ამერიკა-საქართველო-რუსეთის თანამშრომლობის დადებით პრეცედენტად,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ შეხვედრების შემდეგ.

**"რადგან პანკისის პრობლემა თითქმის მოვაგვარეთ, ეს შანსს გვაძლევს, რომ აფხაზეთის საკითხის გადასაჭრელად უფრო მეტი რესურსი მოვიზიდოთ. პირადად მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა თეთრ სახლში გამართულ შეხვედრაზე",** - პარლამენტის თავმჯდომარის ოპტიმიზმს გამოეხმაურა საქართველოს ელჩი აშშ-ში ლევან მიქელაძე.

ვიზიტის ვაშინგტონის ნაწილი ნინო ბურჯანაძემ 12 ივნისს დაასრულა. საღამოს იგი ნიუ-იორკში გაემგზავრა, სადაც მნიშვნელოვან შეხვედრებს გამართავს გაერო-ს ხელმძღვანელ პირებთან, მათ შორის - კოფი ანანთან.

# "ტრადიციონალისტების" საარჩევნო ლოზუნგი: "საკონსტიტუციო ცვლილებები გადაარჩენს საქართველოს!"

გიორგი ასანიშვილი

*წინასაარჩევნო პერიოდი პროპაგანდისტული კამპანიის გარეშე წარმოუდგენელია. არჩევნების წინ თითოეული პოლიტიკური ორგანიზაცია, როგორც წესი, ამა თუ იმ ლოზუნგს ირჩევს და შემდეგ მთელ ძალისხმევას მისი "რეკლამირებისკენ" მიმართავს. ზოგი ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებას ჰპირდება მოსახლეობას, ზოგი აფხაზეთის საკითხზე აკეთებს აქცენტს, ზოგიც ნატო-სა თუ ევროკავშირში შესვლის პერსპექტივით ცდილობს ელექტორატის მოხიბვლას. საერთო ფერხულში ამ დღეებში "ტრადიციონალისტებიც" ჩაებნენ. ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ მათ ორიგინალობა არ გამოუჩენიათ და საკუთარ პარტიულ დროშაზე ლეიბორისტების ანალოგიური ლოზუნგი გამოსახეს. "საკონსტიტუციო ცვლილებები გადაარჩენს საქართველოს", - ასეთი იქნება აკაკი ასათიანისა და მისი თანამებრძოლების "წინასაარჩევნო კრედო".*



*"პატრონი არასდროს გვყოლია და მას არც ახლა ჩავბარდებით".*

იური მეჩითოვის ფოტო

"ტრადიციონალისტებმა" საკმაოდ მომგებიანი, უფრო სწორად, წაუგებელი ვარიანტი აირჩიეს: საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხი ისეთი თემაა, რომლის ძირითად დებულებებსაც (მინისტრთა კაბინეტის შემოღება, ორპალატიანი პარლამენტი, ახალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა და სხვა) ძალიან ბევრი ეთანხმება და გამოკვეთილი მოწინააღმდეგე არ ჰყავს. ამდენად, იგი "ტრადიციონალისტებს" მთელ პოლიტიკურ სპექტრთან ლავირებისა და მოკავშირეების ძებნის კარგ შესაძლებლობას აძლევს. მითუმეტეს, ამჟამად რომ გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფება, აკაკი ასათიანი ამას სულაც არ მალავს.

**"თუ ოპოზიცია გაერთიანდება და ბლოკში შესვლას შემოგვთავაზებს, ახირებას არ დავიწყებთ და შევალთ. არც დამოუკიდებლად გამოსვლის შემთხვევაში ვიქნებით უშანსოდ - 80-100 ათას ხმას ყოველ არჩევნებში ვაგროვებთ. ამ არჩევნებში უფრო ფულის პრობლემა გვაქვს. ისე, 7-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის გადალახვა-არგადალახვა ძალიან არ გვაფიქრებს - რა ისეთი უსაშველო რამ არის დეპუტატობა?"** - მიუხედავად ერთგვარი დარდიმანდობისა, მაინც აშკარაა, რომ მომავალ არჩევნებში ფსონის გაკეთებაზე "ტრადიციონალისტთა" ლიდერი ძალიან ბევრს ფიქრობს.

აკაკი ასათიანის მხრიდან ერთგვარ მანევრად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ იგი როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას ერთნაირი მონდომებით აკრიტიკებს.

**"ვითარება კატასტროფისკენ მიდის არამარტო ეკონომიკური, არამედ ზოგადსახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც. ამ დროს კი ხელისუფლება იმ ბავშვს ჰგავს, რომელიც სათამაშო ატრაქციონზე მანქანის საჭეს ატრიალებს და ჰგონია, რომ მას თვითონ მართავს",** - აღნიშნავს ასათიანი და იმასაც დასძენს, რომ ვარაუდი, სახელისუფლებო ბლოკში "ტრადიციონალისტების" შესაძლო შესვლის შესახებ, საფუძველს მოკლებულია.

**"პატრონი არასდროს გვყოლია და მას არც ახლა ჩავბარდებით. არ ვიცი, რა უნდა მოხდეს ისეთი, ასეთი ნაბიჯის გადადგმა რომ მაიძულოს",** - აცხადებს "ტრადიციონალისტთა კავშირის" თავმჯდომარე, და "აზუსტებს", რომ თავის დროზე, ასლან აბაშიძე მისი პარტნიორი იყო და არა პატრონი.

რაც შეეხება ოპოზიციური ძალების ქმედებათა შეფასებას, ასათიანის თქმით, ეს ბანაკი დღეს მეორეხარისხოვანი საქმეებით არის დაკავებული. **"საარჩევნო კოდექსი არ არის მთავარი. როგორი სამართლიანი დოკუმენტიც არ უნდა მიიღონ და არჩევნები ვინც არ უნდა მოიგოს, გამარჯვებული ძალა მაინც ვერაფერს მიაღწევს",** - ამტკიცებს ასათიანი და თავისი ნათქვამის დასტურად ადგილობრივი არჩევნების მაგალითი მოჰყავს, როდესაც ოპოზიციის გამარჯვების მიუხედავად, ჯერ საკრებულოს მუშაობის დაწყება გაჭიანურდა, მერე კი გამარჯვებულმა ძალებმა ერთმანეთში დაიწყეს კინკლაობა.

**"ოპოზიციამ საპარლამენტო არჩევნებშიც რომ გაიმარჯვოს, ამით მაინც ვერაფერს შეცვლის, რადგან ჯერ მმართველობის სისტემაა შესაცვლელი. ამიტომ, არა მგონია, საარჩევნო კოდექსის გამო, გელათში დავით აღმაშენებლის სულის შეწუხება ღირდა",** - ირონიას არ მალავს მთავარი "ტრადიციონალისტი". მისი ასეთი განწყობა და ოპოზიციაზე "შურისძიების" სურვილი ადვილი ასახსნელია: სულ ცოტა ხნის წინ "გაერთიანებულმა დემოკრატებმა" "ტრადიციონალისტებს" "სამაგიდო დოკუმენტი წაუბილწეს", - ვასილ მაღლაფერიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტის რეალიზების შემთხვევაში, ქვეყნის დაქუცმაცება დაიწყება.

**"რეგიონალიზაციის საკითხში, ორი წლის წინათ, ჩვენ და "დემოკრატები" ერთად ვიდექით. როდესაც მათი ლიდერი პრემიერ-მინისტრად მოიაზრებოდა, ეს საკითხი მოსწონდათ, ახლა - უკვე აღარ. ეტყობა, პრემიერის სავარძელს "დემოკრატები" მხოლოდ თავის თავზე ირგებენ. ჩემთვის არ არის მთავარი, რომ მათ "დემოკრატები" ჰქვიათ, ჩემთვის უფრო არსებითი ის არის, რომ ისინი დაშლილი ქვეყნის ავტორები არიან",** - გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, ჩვეულებრივ მშვიდი და კორექტული ასათიანი, თავის თავს არ ჰგავდა, თუმცა, მისი განრისხება დიდხანს არ გაგრძელებულა და მალევე, ერთგვარი მობოდიშებით, ზურაბ ჟვანია "გონიერ, ჭკვიან და პატრიოტ პოლიტიკოსად" მოიხსენია .

რაც შეეხება "ტრადიციონალისტების" საარჩევნო კოზირს - საკონსტიტუციო ცვლილებებს - აკაკი ასათიანი განსაკუთრებით ორ საკითხს (მინისტრთა კაბინეტის შემოღება და ახალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა) გამოყოფს. თუმცა, ეჭვი ეპარება, რომ უახლოეს პერიოდში პარლამენტი მათ მხარს დაუჭერს, მიუხედავად იმისა, **"ახლა რომ მაჟორიტარები გვყავს, მომავალ პარლამენტში ასეთები აღარ გვეყოლება და ამ შანსს გამოყენება უნდა".**

ასე რით მოხიბლეს მაჟორიტარმა დეპუტატებმა "ტრადიციონალისტების" ლიდერი, ალბათ, სამუდამო საიდუმლოდ დარჩება.

# ჟვანია პროკურატურას კონსტიტუციის ხელყოფაში ადანაშაულებს

პირველი გვერდიდან

**"აქციაში მონაწილე ხალხის დასაშინებლად სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. გამომძიებელს, რომელიც დაკითხვას აწარმოებდა, მივუთითე, რომ პროკურატურის მიერ საქმის აღძვრა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კანონმდებლობას - კანონს, რომელიც მიტინგებისა და მანიფესტაციების ჩატარების წესს განსაზღვრავს. პროკურატურის ეს ქმედება დასჯადია სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. მეტიც, საქართველოს პრეზიდენტის მიერ მთავრობის სხდომაზე ანტიკონსტიტუციურად გაცემული დავალება, პროკურატურის მიერ ამ საქმის გამოძიებაზე, ასევე არის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი. ეს არის თანამდებობის ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი უფლებების გადამეტება, რაც, თუ არ ვცდები, ისჯება ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთით. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს ყველაფერი უსუსურობაა და არა პოლიტიკური ტერორის დასაწყისი. მორალური თვალსაზრისით კი უზნეობაა, შეეცადო ხალხის დაშინებას, რათა მან კანონით მინიჭებული არჩევანის უფლება არ გამოიყენოს. იურიდიული თვალსაზრისით, შემიძლია კონკრეტული მუხლების მითითება, რომლებიც პროკურატურის, პრეზიდენტის მიმართ სერიოზულ სასჯელს ითვალისწინებს. კონკრეტულად: სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე, 322-ე და 333-ე მუხლების მეორე ნაწილი. ამაზე მწვავე რეაქცია გვექნება."**

რაც შეეხება მონაწილეებს, ჟვანია ირონიულად შენიშნავს, რომ **"მონაწილეთგან ჩემი ვაჟიშვილი ბესარიონი და ქალიშვილი ელისაბედი გავიხსენე. არ ვიცი, დაკითხავენ მათ თუ - არა. რაც შეეხება ორგანიზატორებს, მახსოვს, რომ ორგანიზატორი მე ვიყავი და ისიც აღვნიშნე, რომ მომავალშიც მოვაწყობ აქციებს ჩემი თანამოქალაქეების მთავარი კონსტიტუციური უფლებების დასაცავად".**

პარლამენტის ექსსპიკერის თქმით, 2001 წელს მიღებულ საარჩევნო კოდექსში პირდაპირ წერია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მიტინგისთვის სანქცია არ არის საჭირო. ამასტან, 3 ივნისის აქცია სანქცირებული იყო. კანონის თანახმად, სანქციის გაცემა შეუძლია თვითმმართველობის ორგანოს და სწორედ ასე მოიქცა თბილისის საკრებულო. გამომძიებელი გორგოძე კი აცხადებს, რომ **"აქცია სანქცირებულად ვერ ჩაითვლება, რადგან "მიტინგებისა და მანიფესტაციების" შესახებ კანონით, განაცხადი აქციის გამართვის თაობაზე უნდა გაკეთდეს ღონისძიებამდე ხუთი დღით ადრე. ამ შემთხვევაში ეს გაკეთდა მაშინ, როცა აქცია უკვე დაწყებული იყო".**

# თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის სამხედრო პერიპეტიები

*ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა, ოფიციალურად, ორი თვის წინ გამოცხადდა დაწყებულად. საუკუნის პროექტში მონაწილე ქვეყნებში კვლავაც გრძელდება დისკუსია ნავთობსადენის უსაფრთხოების საკითხებზე. ეს პრობლემა უშუალოდ არის დაკავშირებული თბილისი-ბაქო-ანკარის სამხედრო თანამშრომლობაზე, რომლის ფინანსურ და, გნებავთ, პოლიტიკურ მხარდაჭერას ამერიკის შეერთებული შტატები უზრუნველყოფს. მეტიც, როგორც ბოლო დღეების დასავლეთის პრესა წერს, ამერიკის მთავრობა განიხილავს გეგმას, ნავთობსადენის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, კასპიის რეგიონში ამერიკული არმიის ქვედანაყოფის გადასროლის შესახებ.*

კობა ლიკლიკაძე

რადიო "თავისუფლება"

სპეციალურად "24 საათისთვის"

ოთხშაბათს გაზეთ "The Wall Street Journall"- ზე დაყრდნობით, აზერბაიჯანულმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა იმის შესახებ, რომ, თითქოს, პენტაგონი კასპიის ნავთობის საბადოებისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დასაცავად, აზერბაიჯანს მის ტერიტორიაზე რამდენიმე ამერიკული სამხედრო ქვედანაყოფის განთავსებას სთავაზობს. ამ ინფორმაციის შემდგომმა განვრცობამ ძალიან საინტერესო სურათი აჩვენა. როგორც სააგენტო "პრაიმ-ნიუსის" აზერბაიჯანელი კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის ელჩმა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, როსს უილსონმა განაცხადა, რომ ვაშინგტონს ამერიკული კონტინგენტის კასპიის რეგიონში განლაგების გეგმა არ შეუმუშავებია. დიპლომატის თქმით, ერაყში ომის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე, ამერიკის სარდლობის დაგეგმარების სტრუქტურები განიხილავდნენ ჯარების სხვადასხვა მგრძნობიარე ადგილებში განლაგების საკითხს.

აღსანიშნავია, რომ ნავთობსადენის უსაფრთხოების საკითხს თურქული პრესაც გამოეხმაურა. გაზეთ "ჰურიეთის" ცნობით, ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის დასაცავად ამერიკის ხელისუფლება კასპიის რეგიონში 15-ათასიანი სამხედრო კონტინგენტის განალაგებას აპირებს.

თანაც, ზემოხსენებული ორივე საინფორმაციო საშულება ეყრდნობა ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების სარდლის მოადგილის ჩარლზ უალდის (Charles Wald) განცხადებას, სადაც მან სამშაბათს ჟურნალისტებს დაუდასტურა ასეთი გეგმის არსებობა.

ამ ცნობას საქართველოს ხელისუფლებაში, ჯერჯერობით, საკმაოდ უნდობლად ეკიდებიან, რადგან არ არსებობს ვაშინგტონის ოფიციალური მოსაზრება ამ საკითხის თაობაზე. თანაც, როგორც ცნობილია, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის შეთანხმებით განისაზღვრა, რომ მაგისტრალის დაცვა იმ ქვეყნებს ეკისრათ, რომელთა ტერიტორიებსაც იგი გადაკვეთს, ანუ - საქართველოს, თურქეთსა და აზერბაიჯანს. საქართველოში ამ ამოცანის შესრულება სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს დაევალა და როგორც ამ სამსახურის უფროსი სულხან პაპაშვილი არცთუ ისე დიდი ხნის წინ აღნიშნავდა, ნავთობსადენის დაცვა ზოგადეროვნული პრობლემის რანგში ყოფილა აყვანილი: **"პროექტების დაცვაში ჩაბმულია მთელი საქართველოს მოსახლეობა, სადაც კი გადის ეს ნავთობსადენები. დაცვაში ჩართული არიან ოჯახები - შვილები, მამები, ძმები."**

საქართველოს უშიშროების საბჭოს აპარატში აცხადებენ, რომ მას შემდეგ, რაც ნავთობსადენის მშენებლობა აქტიურ ფაზაში შევა, საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის შესაბამისი სამსახურები ერთობლივ სწავლებას ჩაატარებენ, რათა დარწმუნდნენ, თუ როგორ მუშაობს "საუკუნის პროექტის" უსაფრთხოების სისტემა.

უსაფრთხოების საკითხებში დამოუკიდებლი ექსპერტების დაკვირვებით, ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ამერიკის მთავრობამ საკუთარი სამხედრო ძალა გამოიყენოს იმ ნავთობსადენის დასაცავად, რომელსაც მთელი მოსახლეობა დარაჯობს. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ნავთობსადენის დაცვა გახდეს ფორმალური საბაბი, რომლითაც ამერიკის მთავრობა, თუკი ეს მის ინტერესებში მართლა შედის, აზერბაიჯანში სამხედრო ბაზის ყოფნას გაამართლდება. მით უფრო, რომ მსგავსი პრეცედენტი უკვე მოხდა შუა აზიის რესპუბლიკებში, სადაც თალიბების წინააღმდეგ ომის დროს განლაგებულ ამერიკულ ავიაციას, რომელიც საბრძოლო დავალებას ასრულებდა, ამერიკის საელჩოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პუნქტის სრულიად უწყინარი სტატუსი მიენიჭა.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# გაფრთხილება დესტაბილიზაციაზე

თამარ მჭედლიშვილი

*"ივლისის ბოლოს საქართველო-ინგუშეთის საზღვრის მონაკვეთთან თავს მოიყრის 1000-მდე შეიარაღებული ჩეჩენი ბოევიკი, სავარუდოდ, რუსლან გელაევის დაჯგუფებიდან. საქართველოს საზღვარს ისინი ხევსურეთში, გუდამაყართან, ე.წ. დერეფნის პრინციპით გადმოკვეთენ და, ალბათ, თავს მოიყრიან პანკისის ხეობაში. ჩეჩნების გადმოსროლას თან მოჰყვება რუსი სამხედროების შემოსვლა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე," – ეს საქართველოში დესტაბილიზაციის მორიგი სცენარია, რომელიც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა სახელისუფლებო ბლოკის სპიკერის ირინა სარიშვილი-ჭანტურიას წყალობით. "ედეპე"-ს თავმჯდომარე ინფორმაციის წყაროს არ ასახელებს, მაგრამ დასძენს, რომ ეს იდუმალი წყარო სანდო და საიმედოა.*



*ედპ-ს ლიდერი სერიოზულ საფრთხეზე საუბრობს, მაგრამ წყაროს არ ასახელებს.*

ელემენტარული დაკვირვება: როგორც წესი, ასეთი განცხადებების რაოდენობა არჩევნების წინ მატულობს ხოლმე. 1998 წლიდან მოყოლებული, საქართველოში სხვადასხვა დონის არჩევნები ყოველ წელს ტარდება. ასე რომ, პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენელთა განცხადებები დესტაბილიზაციის თაობაზე, უკვე ერთგვარ ტრადიციადაც იქცა.

კარგია, როცა მოსახლეობამ იცის, რას და როდის უნდა ელოდოს უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებისა და მათი ადგილობრივი დამქაშებისაგან. მაგრამ, როგორც პროფესიონალები ამბობენ, "უშიშროება მთავრდება იქ, სადაც იწყება საჯაროობა". ეს ის უნივერსალური წესია, რომელსაც ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა მისდიოს. ამასთან, არსებობს მეორე უნივერსალური წესი, რომელიც ასეთი საფრთხის დროს ამუშავდება ხოლმე: საფრთხის გასანეიტრალებლად ყველა მეთოდი უნდა იყოს გამოყენებული – ოპერატიული საქმიანობიდან დაწყებული, დიპლომატიური არხების გამოყენებით დამთავრებული. მით უფრო, თუკი საფრთხე ისეთი ქვეყნისაგან მოდის, რომელთანაც საომარ მდგომარეობაში არ იმყოფები და, უფრო მეტიც, მას "მეგობარ სახელმწიფოს" უწოდებ.

მათივე თქმით, საჯარო, პრევენციული განცხადებები მაშინ უნდა გაკეთდეს, თუკი პრობლემის მოგვარების პროცესში ყველა სხვა რესურსი ამოწურულია. თანაც, ამ შემთხვევაშიც უნივერსალური წესი მოქმედებს: განცხადებას პროვოკაციის თაობაზე აკეთებს ოპოზიცია, ან ინფორმაცია მედიაში "ჟონავს". ამით ქვეყნის ხელისუფლება მეზობელ სახელმწიფოსთან ღიად არ იფუჭებს ურთიერთობებს და პრობლემის მოსაგვარებლად დამატებითი რესურსები ჩნდება, რაც მოწინააღმდეგეს მოლაპარაკებებზე წამოსვლისაკენ უბიძგებს.

თუმცა, უშიშროების სისტემის საქმიანობა საუბრის სხვა თემაა. მით უფრო, რომ უშიშროების მინისტრი სარიშვილი-ჭანტურიას განცხადებაზე კომენტარს არ აკეთებს და, შესაბამისად, ჩვენთვის უცნობია, ამ საფრთხის ნეიტრალიზების რომელ ეტაპზე იმყოფება უწყება (თუ, რა თქმა უნდა, ეს საფრთხე რეალურია. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე პირდაპირ აცხადებს, რომ არ ფლობს ინფორმაციას მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე და რომ იგი არარეალურია. იგივეს იმეორებენ საზღვრის დაცვის დეპარტამენტშიც).

ისევ სარიშვილი-ჭანტურიას განცხადებას მივუბრუნდეთ.

"ედეპე"-ს ლიდერის თქმით, ამ ოპერაციის თაობაზე რუსეთის შესაბამის უწყებებში ორი ბრძანება არსებობს. ორივეს ტექსტი იდენტურია და მათ შორის სხვაობა მხოლოდ ოპერაციის დაწყების თარიღებშია. პირველის თანახმად, ჩეჩნები საქართველოში აგვისტო-სექტემბერში უნდა შემოსულიყვნენ, ხოლო კოდორის მოვლენებამდე რამდენიმე დღით ადრე, ამ ვადამ ივლისისკენ გადმოიწია. სარიშვილი-ჭანტურიამ არ იცის, კონკრეტულად ვისი ხელმოწერილია ეს ბრძანება. თუმცა, იქვე დასძენს, რომ ამის უფლება საკმაოდ შეზღუდული რაოდენობის თანამდებობის პირებს აქვთ. რაც შეეხება რუსების ქართველ მოკავშირეებს: სარიშვილი-ჭანტურია აცხადებს, რომ ამ ავანტიურაში ჩართულები არიან ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, ისინი, ვისაც სახელმწიფოს დანგრევა უნდათ.

ბლოკის სპიკერის განცხადებით, ამ პროვოკაციას საკმაოდ სერიოზული მიზნები აქვს: ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარების უკიდურესად დაძაბვა, საქართველოსთვის სერიოზული პრობლემების შექმნა საერთაშორისო ურიერთობების თვალსაზრისით და შიდაპოლიტიკური ვითარების გაუარესება. ამ ყველაფერს არჩევნების ჩაშლა და ქვეყანაში უმართავი პროცესების დაწყება მოჰყვება.

სარიშვილი-ჭანტურიას გაფრთხილების ფინალი: **"ეს არის პრევენციული მიზნით გაკეთებული განცხადება. მინდა გავაფრთხილო საქართველოს მოქალაქეები, ყველა საელჩოს წარმომადგენლები, რათა ძალიან დიდი ყურადღება მიაქციონ მოვლენების განვითარებას".**

# აშშ-ს დეპარტამენტის მიერ საქართველოს „შავ სიაში" შეყვანამ ხელისუფლება დააბნია

სოფიკო ძნაიძე
თამარ ხორბალაძე

ადამიანებით ვაჭრობის პრობლემისადმი გულგრილი დამოკიდებულებისათვის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველო შეიყვანა იმ ქვეყნების სიაში, რომელთა მიმართ 2003 წლის 1 ოქტომბრიდან აშშ-ს ხელისუფლებამ, შესაძლოა, გამოიყენოს სანქციები. ინფორმაციამ ამის თაობაზე, საქართველოს ხელისუფლებაში სერიოზული აჟიოტაჟი და დაბნეულობა გამოიწვია.

საქართველოს პრეზიდენტის პრეს-მდივანმა კახა იმნაძემ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გუშინ ორი საგანგებო ბრიფინგი მოაწყო.



*პრეზიდენტის პრეს-მდივანს გუშინ ორჯერ მოუხდა ბრიფინგის მოწვევა.*

პირველ შეხვედრაზე მან ჟურნალისტებს განუმარტა, რომ საქართველო სახელმწიფო დეპარტამენტმა შეიყვანა მეორე ჯგუფში, და არა მესამეში, როგორც გავრცელებული ინფორმაცია იტყობინებოდა. შესაბამისად, მისი განცხადებით, ამ ჯგუფის წევრებს ისეთი მკაცრი სანქციები, როგორიცაა ამერიკის ფინანსური და ეკონომიკური თანადგომის შეწყვეტა, მათ შორის, საგანმანათლებლო და კულტურული გაცვლის პროგრამების დაფინანსების შეჩერება, ასევე - აშშ-ს მიერ უარის თქმა ამ ქვეყნების დაფინანსებას, სსფ-სა და მსოფლიო ბანკის ხაზით, არ ემუქრება.

თუმცა, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტის პრეს-მდივანი გასული წლის ანგარიშით აპელირებდა და უკვე ოთხი საათისთვის მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ **"უკანასკნელ მოხსენებაში სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველო მართლაც შეიყვანა მესამე ქვეყნების რიგში".** ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის პრეს-მდივანი დარწმუნებულია, რომ საგანგაშო არაფერია და იმ პერიოდში, რაც სანქციების შესაძლო ამოქმედებამდეა დარჩენილი, ანუ ოქტომბრამდე, საქართველო შეძლებს დადებითი ტენდენციების ჩვენებას.

იგივე შინაარსის განცხადება გააკეთა გუშინ საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ. პირველ რიგში, მან საქართველოსთვის ამ "ახალი ადგილის" მინიჭება გაუგებრობად ჩათვალა. ამასთან, განაცხადა, რომ ოფიციალური ვაშინგტონი იღებს ინფორმაციას საქართველოში აშშ-ს საელჩოსგან, რომელიც ეყრდნობა არასამთავრობო სექტორის მონაცემებს.

**"ამ კუთხით საქართველო შეეცდება, სიცხადე შეიტანოს და ეს მოხდება დღესვე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის შეხვედრაზე ვაშინგტონში,"** - განაცხადა მან. ჯაფარიძე იმედოვნებს, რომ პარლამენტის სპიკერი მოახერხებს კოლინ პაუელის დარწმუნებას ამ ინფორმაციის ცალმხრივობაში.

რაც შეეხება საქართველოს წინააღმდეგ შესაძლო სანქციებს, თედო ჯაფარიძე ფიქრობს, რომ საქართველო დარჩენილი დროის განმავლობაში შეძლებს ეჭვების გაფანტვას და რეალური ნაბიჯების გადადგმას ისეთი გლობალური პრობლემის აღმოსაფხვრელად, როგორიცაა ტრეფიკინგი. **"საუბარი არ ეხება დაუყოვნებლივ სანქციებს და ამიტომ, ამ მიმართულებით არსებული პრობლემების გამოსწორების დრო გვაქვს,"** - აღნიშნა ჯაფარიძემ.

ამ თემაზე კომენტარი გააკეთა სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემაც. მან გაკვირვება გამოხატა იმის გამო, რომ ზოგიერთებს საქართველოში ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ასეთი განცხადებების გაკეთება ახარებთ.

გუშინ "24 საათმა" სცადა, გაერკვია, რა კეთდება რეალურად საქართველოში ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად და რამდენად რეალისტურია ხელისუფლების ოპტიმიზმი.

აღსანიშნავია, რომ პრობლემის სერიოზულობის მიუხედავად, ბოლო პერიოდამდე საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობდა კანონი ტრეფიკინგის შესახებ. კანონი, რომელიც ტრეფიკინგის ცნებას საზღვრავს, საქართველოს პარლამენტმა მხოლოდ გასულ სასესიო კვირაში მიიღო.

### საქართველო ტრეფიკინგის შემცველი დანაშაულისთვის მკაცრ სასჯელს აწესებს

ტრეფიკინგთან დაკავშირებით დაბნეულობა საქართველოს ხელისუფლებისთვის ახალი სულაც არ გახლავთ. მაშინ, როცა მთელ მსოფლიოში ტრეფიკინგი კრიმინალური ინდუსტრიის ერთ-ერთ წამყვან სფეროდ იქცა და, გარკვეული მონაცემების თანახმად, ნარკობიზნესში მბრუნავ "შავი" ფულის ოდენობას ტრეფიკინგის შემოსავალმა გადააჭარბა, ხოლო ამ ფულით უზარმაზარი დანაშაულებრივი კლანები ფინანსდება, ქართულ ოფიციოზში ამ თემამ პირველად ქალთა მიმართ ძალადობის კონტექსტში გაიჟღერა, როცა 2000 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა დაამტკიცა. მალე, იმავე პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტს ტრეფიკინგის შესახებ საკანონმდებლო ბაზის მომზადებისაკენ მოუწოდა, თუმცა, ამ მოწოდებას შედეგი კარგა ხნის მანძილზე არ მოჰყოლია. თითქოს, იუსტიციის სამინისტროში სისხლის სამართლის კოდექსში ტრეფიკინგის შესახებ შესატან ცვლილებების პროექტზე მუშაობას უმალ შეუდგნენ, მაგრამ მთავრობის სხდომაზე მათი ნამუშევრის განხილვა მხოლოდ შარშან, წლის ბოლოს შედგა.

როგორც იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედებითი დეპარტამენტის უფროსი, კანონპროექტის ავტორი გიორგი გოგიბერიძე ამბობს, ცვლილებების მიღების პროცესი სულაც არ ყოფილა გაჭიანურებული, უბრალოდ, მათი მიღება პროცედურების სრული დაცვით მოხდა. მეტიც, მისი თქმით, პროექტის წერისას გათვალისწინებული იყო საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნებიც: **"დღეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, მათ შორის საქართველო, ტრეფიკინგის ძირითად მასაზრდოებელ ქვეყნებად მოიაზრება. შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციები ამ ქვეყნებს რეკომენდაციებს აძლევენ, რათა ამ დანაშაულის მიმართ გამკაცრდეს კანონი და მოხდეს მისი ჰარმონიზება საერთაშორისო ნორმებთან. განსაკუთრებით კატეგორიულია გაერო-ს კონვენცია, რომელიც ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობას ეწინააღმდეგება. კანონპროექტი სწორედ გაეროს კონვენციისა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივ ორგანიზაციათა რეკომენდაციების საფუძველზე მომზადდა".**

მიუხედავად ყველაფრისა, პარლამენტმა მხოლოდ მას შემდეგ დააჩქარა სისხლის სამართლის კოდექსში ტრეფიკინგის შესახებ ცვლილებების მიღება, რაც ამის თაობაზე ამერიკის ელჩი საქართველოში, რიჩარდ მაილსი ალაპარაკდა. ცვლილებები, როგორც ითქვა, გასულ კვირას მიიღეს, ახლა მათი გამოქვეყნება და ძალაში შესვლაღაა დარჩენილი, რასაც, ამერიკის ხელისუფლების განცხადების შემდეგ, სავარაუდოდ, სასწრაფოდ მოევლება.

პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებების თანახმად კი, სისხლის სამართლის კოდექსს ახალი მუხლი დაემატება – 143 პრიმ – "ადამიანით ვაჭრობა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება".

ამ მუხლის მიხედვით, ადამიანის ყიდვა-გაყიდვა დაისჯება 5-დან 10 წლამდე პატიმრობით; თუ ადამიანით მოვაჭრე დანაშაულს ჩაიდენს შანტაჟის, მოტყუებისა და ძალადობის გზით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ადამიანს მოტყუებით გაიყვანს საზღვარგარეთ, გარიგება შედგება დაზარალებულის სხეულის ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის მიზნით, დამნაშავე დაისჯება 8-დან 15 წლამდე პატიმრობით; ხოლო, თუ ტრეფიკინგით დაკავებულია ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება და მათი ქმედება ადამიანის სიკვდილს ან სხვა მძიმე შედეგს გამოიწვევს, ჯგუფის წევრებს 12-დან 20 წლამდე სასჯელი ელოდებათ. გარდა ამისა, კორექტივები შედის 172 მუხლში, რომელიც არასრულწლოვანებით ვაჭრობას ითვალისწინებს. გაეროს ექსპერტთა მოთხოვნით, ტრეფიკინგის ამ რგოლის შემსრულებელთა მიმართ სასჯელი გამკაცრდება და ბავშვებით მოვაჭრეებს 8-დან 20 წლამდე პატიმრობა ელით.

და კიდევ ერთი – საქართველოში ერთი საკითხია კანონი და მეორე – მისი შესრულება. ტრეფიკინგის ირგვლივ ჯერ კიდევ საკანონმდებლო ვაკუუმის არსებობის პირობებში, ანუ 2002 წლის 24 დეკემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება. ამ განყოფილების უფროსი, რეზო ღლიღვაშვილი ამბობს: **"გარდა იმისა, რომ ჩვენმა განყოფილებამ უნდა გამოავლინოს და აღკვეთოს ტრეფიკინგის შემთხვევები, დაადგინოს პირები, რომლებიც ამზადებენ ან სჩადიან ამ დანაშაულს და, აგრეთვე, დანაშაულის ირგვლივ მოიპოვოს ფაქტობრივი მონაცემები, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობას, რომლებსაც ტრეფიკინგთან ბრძოლის მდიდარი გამოცდილება აქვთ. აგრეთვე, უნდა შეიქმნას საინფორმაციო ბანკი, რომელიც არა მარტო ტრეფიკინგის შემთხვევებს აღრიცხავს, არამედ აქვე შევა ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შესახებ. უნდა შემუშავდეს მეძავთა აღრიცხვის სისტემა და შეიქმნას ტურისტული და დასაქმების სააგენტოების მონაცემთა ბაზაც."**

საკმაოდ შთამბეჭდავი მიზნების მქონე განყოფილება დღეს ხუთ თანამშრომელს ითვლის. მათ მიერ, დაარსებიდან დღემდე, ტრეფიკინგის ფაქტზე მხოლოდ სისხლის სამართლის ოთხი საქმე აღიძრა, თუმცა დანაშაული, რომელსაც ეს საქმეები შეიცავს, ტრეფიკინგად არ არის კვალიფიცირებული.

**"იქიდან გამომდინარე, რომ სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობდა მუხლი ტრეფიკინგის შესახებ, დანაშაული, რომელიც ჩვენთვის თავად ტრეფიკინგის მსხვერპლთაგან გახდა ცნობილი, დაკვალიფიცირდა, როგორც თაღლითობა. თაღლითობა კი, მოგეხსენებათ, 5 წლამდე სასჯელს ითვალისწინებს. ამ კონკრეტულ დანაშაულებში ეჭვმიტანილების დაპატიმრების შემთხვევაში, ისინი გასამართლდებიან არა როგორც ტრეფიკინგში დამნაშავენი, არამედ როგორც თაღლითები. თაღლითების მიმართ კი სასამართლო, როგორც წესი, ლმობიერია – პატიმრობას არ უსჯის,"** - ამბობს ღლიღვაშვილი.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, გასაკვირი არ უნდა იყოს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მკაცრი განაჩენი. ვინ იცის, იქ იქნებ უფრო მეტიც იციან – ვთქვათ, ამ უკანონო ბიზნესის მფარველ ჩინოსანთა შესახებ.

# საქართველოში ადამიანებით ვაჭრობა გრძელდება

პირველი გვერდიდან

### სამი კატეგორია

იმ სახელმწიფოებს, სადაც ტრეფიკინგის პრობლემა ამა თუ იმ ფორმით არსებობს, სახელმწიფო დეპარტამენტი სამ კატეგორიად ყოფს. პირველ კატეგორიაში შედიან ის ქვეყნები, რომელთა მთავრობებიც მთლიანად აკმაყოფილებენ და პასუხობენ ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ მიღებული საერთაშორისო კონვენციების მინიმალურ მოთხოვნებს. მეორე კატეგორიას განეკუთვნებიან ის სახელმწიფოები, რომელთა ხელისუფლებებიც არ აკმაყოფილებენ საერთაშორისო ვალდებულებების მინიმალურ სტანდარტებს, მაგრამ ამ მოთხოვნების შესრულებისათვის ძალისხმევას არ იშურებენ. ყველაზე რთული ვითარებაა შექმნილი მესამე კატეგორიაში შემავალ ქვეყნებში, რომელთა მთავრობები საერთაშორისო ვალდებულებების მინიმალურ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებენ და თავიანთ ტერიტორიებზე ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად არც არაფერს აკეთებენ. სამწუხაროდ, საქართველო სწორედ ამ მესამე კატეგორიის ქვეყნებს მიეკუთვნება.

ჩვენს გარდა, "შავ სიაში" მოხვდნენ: ბელიზი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბირმა, კუბა, დომინიკის რესპუბლიკა, საბერძნეთი, ჰაიტი, ყაზახეთი, ლიბერია, ჩრდილოეთ კორეა, სუდანი, სურინამი, თურქეთი და უზბეკეთი.

მეორე კატეგორიის ქვეყანათა სია უფრო დიდია და აქ შედიან სომხეთი, რუსეთი, ბელორუსი, ესტონეთი, ლატვია, უკრაინა, ისრაელი და სხვა. ხოლო პირველი დონის სახელმწიფოთა ჩამონათვალში, ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან ჩეხეთის რესპუბლიკა და ლიტვა ფიგურირებენ.

### საქართველო

საქართველოში არსებული ტრეფიკინგის პრობლემის შესახებ მოხსენებაში ნათქვამია:

**"საქართველო ტრეფიკინგის წყაროს წარმოადგენს. ამ ქვეყნიდან ქალებით ვაჭრობა ხორციელდება, ძირითადად, თურქეთში, საბერძნეთსა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, ხოლო მცირე რაოდენობით - ისრაელში, ესპანეთში, პორტუგალიასა და აშშ-ში, სექსუალური ექსპლუატაციის, იძულებითი დასაქმების და საშინაო მონობის მიზნით. ქუჩაში მცხოვრები ათასობით ბავშვი ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლს წარმოადგენს. საქართველოს ხელისუფლება ტრეფიკინგის აღმოსაფხვრელად მინიმალურ მოთხოვნებსაც კი არ ასრულებს და ამ მიზნით არავითარ ღონისძიებას არ ახორციელებს. საქართველო შეზღუდული რესურსების ქვეყანა, სადაც 300 ათასი იძულებით ადგილნაცვალი პირი ცხოვრობს და სამი სეპარატისტული წარმონაქმნი არსებობს, რომელიც ხელისუფლების იურისდიქციას არ ემორჩილება. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები სამართალდამცავი სტრუქტურების კოორდინაციის გასაუმჯობესებლად და სისხლის სამართლის კანონმდებლობის დასახვეწად, ეს მცდელობები მაინც არაორგანიზებული ხასიათის იყო.**

### პრევენცია

**მთავრობამ რამდენიმე პრევენციული ნაბიჯი გადადგა. 2003 წელს პრეზიდენტის მიერ გამოცემული ეროვნული მოქმედების გეგმა გარკვეული აღმკვეთი ნაბიჯების განხორციელებას ითვალისწინებს. ომბუდსმენის ოფისმა შექმნა სამუშაო ჯგუფი იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც აქტიურად მოქმედებენ ქვეყანაში ტრეფიკინგის წინააღმდეგ, მაგრამ ამ ჯგუფს სპეციფიური პროგრამა არ განუხორციელებია. მთავრობა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული გამაფრთხილებელი ბროშურების გავრცელებას დათანხმდა, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ ეს ბროშურები მთლიანად არ გავრცელებულა. საქართველოს მთავრობა აქტიურად არ იბრძვის ბავშვების ტრეფიკინგის პოტენციური საფრთხის გასანეიტრალებლად.**

### გამოძიება

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ტრეფიკინგის ზოგიერთ ფორმას ითვალისწინებს, მაგრამ მასში არ არის წარმოდგენილი ტრეფიკინგი, როგორც სპეციფიური დანაშაული. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსში არ არის შესაბამისი მუხლი, რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვას შეეხება. იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელშიც წარმოდგენილია შესწორებები სისხლის სამართლის კოდექსში, მაგრამ 2003 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტმა ეს დამატებები არ მიიღო. მთავრობამ არ გამოაქვეყნა ინფორმაცია, თუ ტრეფიკინგში მონაწილეობის ბრალდებით რამდენი ადამიანია დაპატიმრებული გასულ წელს, მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილია ტრეფიკინგთან ბრძოლის ექვსკაციანი ჯგუფი, რომელიც ამჟამად გამოძიებას აწარმოებს. ეს ახალი ჯგუფი რესურსების ნაკლებობას განიცდის, მაგრამ ამ ჯგუფის ოფიცრები თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მონაწილეობენ ტრეინინგებში. ჯგუფი ორ საერთაშორისო დონის გამოძიებას ახორციელებს. სამთავრობო კორუფცია კვლავ პრობლემად რჩება, რომელიც ხელს უშლის ტრეფიკინგთან ბრძოლას."**

### სანქციები

ამ დოკუმენტიდან თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველო არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება. საერთაშორისო არენაზე ქვეყნის პრესტიჟი, თუკი ასეთი რამ კიდევ არსებობს, ძალზე დაბალია. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლება ა.წ. 1 ოქტომბრამდე არ განახორციელებს საკანონმდებლო რეფორმებს და კონკრეტულ ნაბიჯებს არ გადადგამს, ქვეყანას სერიოზული საერთაშორისო მასშტაბის სანქციები ელის. კერძოდ, მოხსენებაში ცალსახად არის ნათქვამი, რომ მესამე კატეგორიაში შემავალი ქვეყნები, თუკი აქტიურად არ დაიწყებენ ბრძოლას ტრეფიკინგის წინააღმდეგ, აშშ-ს მთავრობა რეკომენდაციას მისცემს საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკს და სხვა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს, ამ ქვეყნებს ფინანსური დახმარებები შეუწყვიტოს.

# ფინანსთა სამინისტრო 6 სახის გადასახადის გაუქმებას ითხოვს

## პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი კი წინააღმდეგია


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ნოდარ ჭავახიშვილი უსარგებლო ცვლილებების წინააღმდეგია.*

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 6 სახის გადასახადის გაუქმების ინიციატივით გამოდის. "საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის" თაობაზე მომზადებული კანონპროექტი გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა განიხილა. როგორც განხილვაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა განაცხადა, პროექტს ფისკალური ეფექტი არ ექნება, თუმცა გადასახადების ადმინისტრირებას გააიოლებს.

პარლამენტში წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს დღგ-ს 100.000 ლარის დონეზე დაფიქსირებას (მოქმედი კანონით იგი 24.000 ლარს შეადგენს). ეს ზღვარი შერჩეულ იქნა დღგ-ს გადამხდელთა რაოდენობისა და მათ მიერ ფაქტობრივად გადახდილი გადასახადის მოცულობის ანალიზის საფუძველზე.

ფინანსთა სამინისტრო მიიჩნევს, რომ ეს ცვლილება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ასევე იგი გამოიწვევს საგადასახადო სტრუქტურების მხრიდან ყურადღების გადატანას დიდი ბრუნვის მქონე გადამხდელებზე, რაც ზღვარის აწევით გამოწვეულ დანაკარგებს მინიმუმამდე დაიყვანს, დღგ–ს 100-ათასლარიანი ზღვარი აქციზის გადამხდელებზე არ ვრცელდება.

პროექტი საკურორტო, სასტუმროს, რეკლამის გადასახადების, აგრეთვე, ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის, საწვავ-საპოხი მასალების რეალიზაციისათვის და საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მიმდინარე ზოლში მიწისქვეშა კომუნიკაციების ექსპლუატაციისათვის, სარეკლამო სტენდებისა და ფირნიშების განთავსებისათვის დაწესებული გადასახადების გაუქმებას ითვალისწინებს.

ფინანსთა სამინისტროს ასეთმა პოზიციამ პარლამენტართა აღშფოთება გამოიწვია. პარლამენტარ ნოდარ ჯავახიშვილისთვის გაუგებარია, რისთვის მოამზადა ფინანსთა სამინისტრომ ამხელა პროექტი, თუ მისგან ფისკალურ ეფექტს არ ელის. **"თვითონ საქმეს ვერ აკეთებენ, გადასახადებს ვერ კრებენ და საქმის გაიოლება მოინდომეს. როგორ შეიძლება სასტუმრო გადასახადის გაუქმება? დავიჯერო, სასტუმროები კუთხე-კუნჭულშია მიმალული და მათი დაბეგვრა უჭირთ?"** - აღნიშნა მან.

პარლამენტარი ვახტანგ აბაშიძე ცვლილებათა პროექტის პლენარულ სხდომაზე გატანის წინააღმდეგ გამოვიდა. **"სასტუმროს გადასახადს ვაუქმებთ და მცირე მეწარმეს ინსპექტორს ვუგზავნით. წინდების მქსოველებს, რომლებიც მცირე მეწარმეებად ითვლებიან, საგადასახადო ინსპექტორების შემოწმება არ სჭირდებათ,"** - განმარტა მან.

კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ კი განაცხადა, რომ საკითხის პირველი მოსმენით მომავალ პლენარულ სხდომაზე გატანას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს, თუ ფინანსთა სამინისტრო პროექტს პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტთან და სხვა ფრაქციებთან შეათანხმებს. **ინტერ-პრესი**

# ფერმერები თავიანთი უფლებების დასაცავად გაერთიანდნენ

ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე 140-მდე მოიჯარემ, ფერმერული გაერთიანებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მიმართვას საქართველოს პრეზიდენტისადმი. ისინი მხარს უჭერენ საქართველოს მთავრობაში განსახილველად წარდგენილ კანონპროექტს "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დამატებითი პრივატიზების შესახებ". ფერმერები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოვიდნენ. კანონპროექტი, რომელიც USAID-ის მიწის ბაზრის განვითარების პროექტის ინიციატივითა და საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტთა აქტიური მონაწილეობით მომზადდა, სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მოიჯარეთა სოციოლოგიური გამოკითხვის საფუძველზე შემუშავდა. ამისათვის, 2002 წლის ნოემბერში 842 მიწის მოიჯარის პერსონალური ინტერვიუირება ჩატარდა.

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციამ, USAID-ის მიწის ბაზრის განვითარების პროექტის ფარგლებში, კანონპროექტის არაერთი განხილვა მოაწყო, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში. მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის წარმომადგენელთა განცხადებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის პრინციპს მხარს უჭერს საზოგადოების თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელი. **24 საათი**

# გზების შეკეთება ვერ მოხდება

საგზაო ფონდის ექვსი თვის შემოსავლებისა და ხარჯების გეგმა გაზრდილია 200 ათასი ლარით. **საგზაო ფონდში ელიან ტრანსფერს ცენტრალური ბიუჯეტიდან. ეს მაშინ, როცა ცენტრალური ბიუჯეტი უმნიშვნელოვანეს სოციალურ ვალდებულებებსაც კი ვერ აფინანსებს.**

ისე კი, საინტერესოა, თუ რა პროგრამის შესრულებას მოხმარდება ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერი.

საგზაო ფონდის შემოსავლების ექვსი თვის გეგმა 1 ივნისისათვის შესრულდა მხოლოდ 67 პროცენტით და, 25.9 მილიონი დაგეგმილი ლარის ნაცვლად, 17.4 მილიონი ლარი შეადგინა.

**არსებული ტენდენციების შენარჩუნების პირობებში, საგზაო ფონდის შემოსავლების დანაკლისი წლის ბოლომდე 20 მილიონ ლარს მიაღწევს.**

ჩვენი აზრით, მთავრობის შემოსავლების მობილიზების უნარი არჩევნების მოახლოებასთან ერთად მხოლოდ გაუარესდება.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საგზაო ფონდის კუთვნილი, ბენზინის აქციზის შემოსავლები ცენტრალურ ბიუჯეტში გადაიქაჩება.

**როგორც ადრე აღვნიშნეთ, საგზაო ფონდს საერთოდ არ დაუფარავს ცენტრალური ბიუჯეტის კრედიტების ძირითადი ვალის ნაწილი და არ გადაუხდია მათზე სარგებლის პროცენტი, თუმცა ექვსი თვის გეგმით ამ მიზნებზე გათვალისწინებული იყო 2.4 მილიონი ლარი.**

**საკმაოდ ცუდად ფინანსდება უცხოური კრედიტებით შესასრულებელ სამუშაოებში თანამონაწილეობისა და კრედიტებისა თუ გრანტების მომსახურების ხარჯები - შესაბამისად, ექვსი თვის გეგმის 35 და 21 პროცენტი. ეს კი ნიშნავს, რომ შეფერხდება კრედიტების პროგრამის შესრულება და ვერ მოხერხდება გზების შეკეთება. საინტერესო იქნებოდა, საზოგადოებას მიეღო საგზაო ფონდის განმარტება - გზების შეკეთების კონკრეტულად რომელი პროგრამები შეფერხდება დაუფინანსებლობის გამო.**

**მაისში საგზაო ფონდის ხარჯებში მოულოდნელად გამოჩნდა სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი 400 ათასი ლარი. საგზაო ფონდის განმარტებები ამ საკითხზეც საინტერესო იქნებოდა.**

**საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"**

საგზაო ფონდის 5 თვის შემოსავლების და ხარჯების ბალანსი

| № | მაჩვენებლები | 6 თვის გეგმა | შესრულება | % |
|---|---|---|---|---|
| | შემოსავალი | | | |
| 1 | ბაჟი | 1,700,000.0 | 1,705,518.0 | 100.32% |
| 2 | საგზაო შემოსავალი | 24,047,800.0 | 15,665,000.0 | 65.14% |
| 3 | საკუთარი შემოსავალი | - | 9,000.0 | |
| 4 | ტრანსფერი ცენტრალური ბიუჯეტიდან | 200,000.0 | - | 0.00% |
| | სულ შემოსავალი | 25,947,800.0 | 17,379,518.0 | 66.98% |
| | | | | |
| | ხარჯები | | | |
| 1 | გზების მოვლა-შენახვის ხარჯები | 12,526,300.0 | 9,579,011.0 | 76% |
| 2 | უცხოური კრედიტებით შესასრულებელ სამუშაოებში თანამონაწილეობის ხარჯები | 4,470,000.0 | 1,555,000.0 | 35% |
| 3 | [illegible] | 2,401,500.0 | - | 0% |
| 4 | [illegible] | 4,500,000.0 | 3,918,848.0 | 87% |
| 5 | [illegible] | 834,000.0 | 563,581.0 | 68% |
| 6 | [illegible] | 1,116,000.0 | 266,241.0 | 24% |
| 7 | ხარჯები | 100,000.0 | 20,589.0 | 21% |
| | [illegible] | | 400,000.0 | |
| | სულ ხარჯები | 25,947,800.0 | 16,303,270.0 | 62.83% |

# ლეიბორისტების ახალი შეტევა „ეი-ი-ეს თელასზე"

ნინო ნარჩემაშვილი

ლეიბორისტული პარტია "ეი-ი-ეს თელასზე" ახალ შეტევას იწყებს. საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის საორგანიზაციო მდივანმა ფრიდონ ინჯიამ განაცხადა, რომ **"ლეიბორისტებისათვის ცნობილი გახდა ხელისუფლების ახალი, ენერგეტიკული ავანტურის შესახებ. "ეი-ი-ესის" ხელმძღვანელობამ თავიდანვე კონსტიტუციის დარღვევითა და არაკანონიერი გზით შეძენილი ენერგოობიექტების რუსული კომპანია "РАО ЕЭС"-ისათვის უკანონოდ მიყიდვა გადაწყვიტა."** მისივე თქმით, ლეიბორისტები ფლობენ ინფორმაციას, რომ "ეი-ი-ესის" აფიორების დაგეგმვაში "РАО ЕЭС"-ი თავიდანვე მონაწილეობდა. მეტიც, მთელ ამ პროცესებში ათეულობით მილიონი დოლარია გარეული, რადგან საუბარია რუსული ენერგოკომპანიისათვის აქციათა სრული პაკეტის მიყიდვის თაობაზე და ამ საკითხზე ამჟამად, თურმე, ლონდონში ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ინჯია აცხადებს, რომ საქართველოში პოლიტიკური კლიმატი შეიცვალა და "ეი-ი-ესი" სახელისუფლო მფარველების გარეშე დარჩა. ინჯიას განცხადებით, იგი რუსულ ენერგოკომპანიას ურჩევს, არ ჩაერიოს კონსტიტუციით დაცული სტრატეგიული ობიექტის უკანონო პრივატიზაციის პროცესში და აცხადებს, რომ აღნიშნული ობიექტების სახელმწიფო გამგებლობაში დაბრუნებისათვის ბრძოლას გააგრძელებს.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ფრიდონ ინჯია თელასის სახელმწიფოსთვის დაბრუნებას ითხოვს.*

რა ღონისძიებების განხორციელებას გეგმავენ ლეიბორისტები აღნიშნული პროცესების წინააღმდეგ, ამაზე პასუხის გაცემას ლეიბორისტები, ფრიდონ ინჯიას თქმით, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ აპირებენ. მანამდე კი, საქართველოში მოღვაწე ყველა უცხოური ქვეყნის საელჩოს ლეიბორისტების შესაბამისი განცხადება გაეგზავნება.

რაც შეეხება გავრცელებული ინფორმაციის უტყუარობას, ინჯიას განმარტებით, ლეიბორისტებს თავისი საკუთარი საიმედო ინფორმატორები ჰყავთ, ხოლო იმის თქმისგან, თუ კონკრეტულად ვისი ინტერესები დგას აღნიშნული პროცესების უკან, ლეიბორისტების საორგანიზაციო მდივანი თავს იკავებს. ასე რომ, ლეიბორისტებს წინასაარჩევნოდ საკმაოდ ბევრ რამეზე უწევთ თავშეკავება.

# "ეი-ი-ესი" ყველაფერს უარყოფს

მაია ურუშაძე

"ეი-ი-ეს თელასი" უარყოფს ინფორმაციას "თელასის" აქციების "რაო ეეს როსსიისათვის" მიყიდვის შესახებ. როგორც კომპანიაში აცხადებენ, "ეი-ი-ესს" თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანიის აქციები არავისთვის მიუყიდია და მათ გაყიდვას არც უახლოეს მომავალში გეგმავს.

შეგახსენებთ, რომ ხმები "ეი-ი-ეს" კორპორაციის მიერ "თელასის" აქციების გაყიდვის შესახებ ამ ორი თვის წინ გავრცელდა. სააგენტო "ინტერ-პრესის" ცნობით, "ეი-ი-ეს"-მა თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანიის 75 პროცენტიანი აქციათა პაკეტი რუსულ ელექტროენერგეტიკულ მონოპოლისტ "რაო ეეს როსსიი"-ს მიჰყიდა და სექტემბერში "თელასში" ამერიკელებს რუსები ჩაანაცვლებენ. "24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციით კი, "რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემისათვის" "თელასის" აქციების გადაცემის თაობაზე ჩუბაისის ენერგოგიგანტსა და "ეი-ი-ეს კორპორაციას" შორის მოლაპარაკებები კვლავ გრძელდება. სავარაუდოდ, "თელასის" აქციების ნაწილს "ეი-ი-ეს კორპორაციის" ყაზახეთის ფილიალთან "რაო ეეს როსსიის" მიერ ერთობლივად დაფუძნებული კომპანია შეიძენს.

# დიპკორპუსის ხარჯები ბურუსით არის მოცული

ნინო ნარჩემაშვილი

რითი არსებობენ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები უცხოეთში მაშინ, როცა სახელმწიფოს სიმბოლური ხელფასებითა და პენსიებით თავისი მოქალაქეების დასაკმაყოფილებელი სახსრები არ მოეპოვება? ცენტრალური ბიუჯეტიდან დღეისათვის, 20 საელჩო, ექვსი წარმომადგენლობა და ხუთი გენერალური საკონსულო ფინანსდება. საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების შემოწმება კი, კანონმდებლობის მიხედვით, კონტროლის პალატას, კერძოდ, მის მეოთხე დეპარტამენტს ევალება, რომელსაც, რა თქმა უნდა, არა აქვს თანხები, რათა სრულყოფილი შემოწმება ადგილზე ჩაატაროს. თუმცა, პრეცედენტი მაინც არსებობს – 2000 წელს კონტროლის პალატის წარმომადგენლები საბერძნეთში საქართველოს საელჩოს მუშაობის შესამოწმებლად ჩავიდნენ. საქართველოს ბიუჯეტის კანონით ასეთი შემოწმებებისათვის თანხების გამოყოფა არასოდეს ყოფილა გათვალისწინებული და კონტროლის პალატა იძულებულია მხოლოდ ე.წ. კამერალური შემოწმება ჩაატაროს, რაც კითხვარების გადაგზავნითა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების მიერ უკან გამოგზავნილი პასუხებით შემოიფარგლება. რეალური სურათი კი წლების განმავლობაში მაინც ბუნდოვანი რჩება. კონტროლის პალატას დღეისათვის მხოლოდ ის მონაცემი გააჩნია, რომ 2002 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები 17822,4 ათასი ლარის ნაცვლად, 16148,2 ათასი ლარით ანუ 90,6 პროცენტით დაფინანსდა და რომ 2002 წლის ბიუჯეტის კანონში არ არის გაშიფრული, რა თანხებია გათვალისწინებული უცხოეთში მოღვაწე ქართული დიპლომატიური კორპუსის ხელფასებზე. კონტროლის პალატის მეოთხე დეპარტამენტში აცხადებენ, რომ ყოველივე აღნიშნულის გამო, თანხების მიზნობრივად და ეფექტურად ხარჯვის განსაზღვრა შეუძლებელია. ე.ი. სახელმწიფო ვერ აკონტროლებს, რამდენი და რა მიზნებით იხარჯება. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ რამდენიმე დღის წინ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა საქართველოს ელჩს ყაზახეთში თემურ გოგოლაძეს უფლებამოსილების ვადა შეუწყვიტა და, მისი ცხრაწლიანი საქმიანობის შეფასების მიზნით, პარლამენტში გამოცხადებას ითხოვს. კომიტეტის თავმჯდომარე, ზვიად მუკბანიანი აცხადებს, რომ **"კომიტეტს თემურ გოგოლაძის საქმიანობის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გააჩნია. პარლამენტი საქმის კურსში არ არის, რას აკეთებდა იგი ყაზახეთში ცხრაწლიანი მოღვაწეობის პერიოდში."** სხვა საკითხია, როგორ მოხვდა თემურ გოგოლაძე ყაზახეთში საქართველოს ელჩის თანამდებობაზე. ამჯერად კი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა ყაზახეთში საქართველოს ელჩად ნუგზარ დუჩიძეს გაუწია რეკომენდაცია, რომელიც წარსულში საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრის მოადგილედ, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილედ, დღემდე კი ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგედ მუშაობდა.

და ბოლოს, კონტროლის პალატაში აცხადებენ, რომ სასურველია, 2004 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას მინიმალური სამივლინებო თანხები, რათა ახლომდებარე ქვეყნებში დიპლომატიური წარმომადგენლობები მაინც სრულფასოვნად შემოწმდეს.

bp btc AIOC

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენის პროექტი

პროექტის დოკუმენტაციის საერთაშორისო საჯარო განხილვის პროცესი

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების 1 ფაზის პროექტი გულისხმობს კასპიის ზღვის საბადოების ათვისებას, აზერბაიჯანის სანაპირო ზოლში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტი მიზნად ისახავს 1760 კმ სიგრძის მილსადენის მშენებლობას, რომლითაც მოხდება ყოველდღიურად ერთ მილიონ ბარელამდე ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან, საქართველოს გავლით, თურქეთის მიმართულებით, საიდანაც ნავთობი შემდეგ მიეწოდება მსოფლიო ბაზრებს, და რომლის ამოქმედება 2005 წლიდან არის დაგეგმილი. ამ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციები ჯამში 10 მილიარდამდე აშშ დოლარს მიაღწევს, რაც მათ შორის მოიცავს 3,2 მილიარდ აშშ დოლარს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის 1 ფაზის განვითარებისათვის და 2,95 მილიარდ აშშ დოლარს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენისათვის. ორივე პროექტს წარმართავს კომპანია "BP", თითოეული ამ პროექტის საერთაშორისო ინვესტორთა ჯგუფების სახელით.

ერთობლივი მანდატის ფარგლებში, "საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია" (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს კერძო სექტორში და "ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი" (EBRD) ამჟამად განიხილავენ თითოეული 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის საკითხს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის საბადოების ათვისების 1 ფაზის პროექტისათვის და თითოეული დამატებით 150 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსების მიზნით.

პროექტების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტექსტში, რომელიც გულისხმობს პროექტების მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპების რეალიზაციას გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროებისადმი საპასუხისმგებლო დამოკიდებულების პირობებში, პროექტებმა მიმართეს უპრეცედენტო ნაბიჯებს – გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალების და საზოგადოების მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით, რაც, მათ შორის, მოიცავდა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი კონსულტაციების და საჯარო განხილვების ორგანიზებას, გასული ორი წლის განმავლობაში. პროექტების ტერიტორიის მფლობელ სამივე ქვეყანაში მოეწყო "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების" ანგარიშების საჯარო განხილვა და ეს დოკუმენტები ფართო საზოგადოების შესწავლის საგანი გახდა, რასაც 2002 წელს მოჰყვა დოკუმენტების დამტკიცება ქვეყნების მთავრობების მიერ.

ქვეყნების ტერიტორიაზე პროექტების ზემოქმედების არეალში მოქცეულ მოსახლეობასთან, პროექტების ქვეყნების ხელისუფლების ორგანოებთან და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციების გარდა, ზოგიერთი საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტების მოთხოვნით, რომელიც პროექტის დაფინანსების შესაძლებლობას განიხილავს, უნდა მომზადდეს და საჯარო განხილვას დაექვემდებაროს "გარემოსდაცვითი შეფასების" დოკუმენტაცია, რაც უზრუნველყოფს, ამავე ინსტიტუტების და ორგანიზაციების შესაბამისი პოლიტიკის წესების და სახელმძღვანელო პრინციპების შესრულებას. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, შეიქმნა დიდი მოცულობით დამატებითი დოკუმენტაციის მომზადების აუცილებლობა, რომელიც გაერთიანდა დოკუმენტების ამ პაკეტში, რომელიც ამჯერად არის წარმოდგენილი საჯარო განხილვისათვის.

წინამდებარე განცხადებით იხსნება საჯარო განხილვის 120-დღიანი პერიოდი (2003 წლის 12 ივნისიდან) რომელიც წინ უძღვის პროექტის დაფინანსების საკითხის განხილვას "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის" და "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" მიერ. ეს ორგანიზაციები მოელიან შენიშვნების და მოსაზრებების მიღებას საზოგადოების წევრების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების და სხვა დაინტერესებული მხარეებისაგან.

ფართო საზოგადოებას შეუძლია გაეცნოს საჯარო განხილვის მასალებს ინტერნეტ-გვერდზე, რომლის მისამართია www.caspiandevelopmentandexport.com ან მსოფლიო ბანკის "Infoshop"-ში (701 18th Street, N.W., Washington D.C., U.S.A). და EBRD ს საინფორმაციო ბიზნეს ცენტრში (One Exchange Square London სამუშაო საათებში).

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტების დოკუმენტაციის ასლების გაცნობა შესაძლებელია აგრეთვე ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ოფისი, საბურთალოს ქ.38 თბილისი, ტელ: 59 34 00

რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასიისათვის ჭავჭავაძის პრ. 74, ოთახი 901, თბილისი

ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გუდიაშვილის ქ. 7, თბილისი

რუსთავის მერიაში კოსტავას ქ.20, რუსთავი

ახალციხის მერიაში კოსტავას ქ.18, ახალციხე

შეკითხვები და კომენტარები უნდა მიეწოდოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის თბილისის ოფისს ან გაეგზავნოს "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას" და "ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს" მათი ინტერნეტ-მისამართების მეშვეობით (www.ifc.org or www.ebrd.com )

# ირანში საპროტესტო აქციები არ წყდება

ათასობით ირანელი უკვე მეორე ღამეა, მუსლიმი კლერიკალების მმართველობის წინააღმდეგ ქუჩაში გამოდის.

შეკრებილებმა თავიანთი უკმაყოფილება კლერიკალების გარდა, პრეზიდენტ მოჰამად ხათამის მისამართითაც გამოთქვეს. ხუთშაბათს, დაახლოებით, 3000 კაცი თეირანის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის წინ შეიკრიბა. ისინი ერთხმად გაჰყვიროდნენ: "სიკვდილი დიქტატორებს!"

პოლიციამ დემონსტრანტებს საშუალება არ მისცა იმ ქუჩაზე გაევლოთ, სადაც ოთხი წლის წინ თავისუფალი მედიის მხარდსაჭერად უზარმაზარი მიტინგი გაიმართა.

"სამი ადამიანი დაიჭირეს, ორი მათგანი სტუდენტი იყო", - განაცხადა ერთ-ერთმა სტუდენტმა "როიტერთან" საუბრისას. "მათ [პოლიციას] გაზი და ბორკილები ჰქონდათ". ოთხშაბათს გამოსვლისას უკვე 80 კაცი დააკავეს.



პოლიციამ დემონსტრანტებს გზა გადაუკეტა.

ალსანიშნავია, რომ 1999 წელს გამართული მიტინგის დროს სულ მცირე ერთი სტუდენტი მოკლეს, 20 დაიჭრა, ხოლო ათობით სტუდენტი დააპატიმრეს.

ირანში მიმდინარე საპროტესტო აქციები ვაშინგტონის მიერ თეირანზე განხორციელებულ მზარდ ზეწოლას დაემთხვა. ამერიკა ირანს ტერორიზმის მფარველობასა და ბირთვული იარაღის შექმნაში ადანაშაულებს. ამერიკელი მაღალჩინოსნების თქმით, ისინი მხარს უჭერენ ირანელი ხალხის სურვილს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ცვლილებები განხორციელდეს.

ამჟამინდელი საპროტესტო გამოსვლა იმით განსხვავდება წინებისაგან, რომ პროტესტი მთელი ისტებლიშმენტის მიმართ გამოითქმის. ახალგაზრდები კონსერვატორი კლერიკალებისა და რეფორმატორის იმიჯის მქონე პრეზიდენტ ხათამის გადადგომას მოითხოვენ.

"ეს ხალხში დაგროვილი ბრაზის გამოხატულებაა და ხელისუფლებამ თუ ხალხის მოლოდინებს ეფექტურად არ უპასუხა, პროტესტი გაიზრდება და გავრცელდება", - აღნიშნა ადგილობრივმა ანალიტიკოსმა, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა. ირანის უზენაესმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ ქვეყნის დესტაბილიზაციაში ვაშინგტონი დაადანაშაულა.

"ახლა, ამერიკა ღიად აცხადებს, რომ მას ირანში უწესრიგობა სურს. მათ უნდათ, რომ ქვეყნის შიგნით კონფლიქტი წარმოქმნან და ერი სისტემისაგან გამიჯნონ", - განაცხადა მან სახელმწიფო ტელევიზიით გამოსვლისას.

# ტერორისტი საკუთარი საქციელით ამაყობს

გასულ წელს, ინდონეზიის კუნძულ ბალიზე მომხდარ აფეთქებაში მთავარმა ეჭვმიტანილმა ინდონეზიის სასამართლოში გუშინ განაცხადა, რომ ის ამაყობს, რომ ამ ტერაქტის შედეგად თეთრკანიანები დაიღუპნენ. ის ასევე თვლის, რომ ეს თეთრკანიანებისთვისვე იყო უკეთესი – ჭკუას ისწავლიან. 40 წლის მექანიკოსმა – ამროზიმ, ასევე განაცხადა, რომ ის მონაწილეობდა ინდონეზიის ტერიტორიაზე მომხდარ რამდენიმე ტერაქტში და ასევე ფილიპინელი დიპლომატის აფეთქებაში, რასაც ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამროზის ბრალი ედება შეთქმულებაში, ტერორისტული აქტების ორგანიზებასა და განხორციელებაში და კუნძულ ბალიზე მომხდარ აფეთქებაში, რასაც 202 ადამიანის, ძირითადად უცხოელი მოქალაქეების სიცოცხლე ემსხვერპლა. როდესაც მას კითხეს, თუ რას გრძნობს ბალიზე მომხდარი ტერაქტის გამო, ამროზიმ სასამართლოს განუცხადა: **"ჩემს გულში სიამაყეა თეთრი ადამიანების დახოცვის გამო, მათ ეს დაიმსახურეს."** ამროზი პირველად წარსდგა სასამართლოს წინაშე. მან განაცხადა, რომ ის ეხმარებოდა ტერორისტებს ჯაკარტაში მანილას დესპანის რეზიდენციის აფეთქებაში და ასევე მონაწილეობდა 2000 წელს ქრისტიანული ეკლესიების აფეთქებებში საშობაო დღესასწაულზე. ამროზის თქმით, ბალიზე ღამის კლუბში მომხდარ აფეთქებას კოდური სახელი "დოდოლი" ქონდა. **"ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული მანქანა ღამის კლუბის სიახლოვეს გავაჩერეთ. ჩვენ არ ვახსენებდით სიტყვას – ბომბი, რადგან ეს არავის უნდა გაეგო. ჩვენ ვამბობდით, რომ "დოდოლი" მზად არის,"** აღნიშნა ტერორისტმა.



202 კაცის მკვლელი კმაყოფილია.

აფეთქება ბალიზე, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ყველაზე მასშტაბური ტრაგედია იყო. ბევრი ოფიციალური პირი, ამ ტერაქტზე პასუხისმგებლად სამხრეთ-აზიაში მოქმედ ისლამურ დაჯგუფებას "ჯემაა ისლამიას" მიიჩევნს. ინდონეზიის პოლიცია და დასავლეთის მთავრობები დარწმუნებულნი არიან, რომ "ჯემაა ისლამია" მჭიდროდ თანამშრომლობს ოსამა ბინ ლადენის "ალ-ქაიდასთან."

ბალიზე აფეთქებაში მონაწილეობის ბრალდებით პოლიციამ 30-ზე მეტი ეჭვმიტანილი დააპატიმრა. ამროზის სასამართლო პროცესი 16 ივნისამდე უნდა დასრულდეს.

*როიტერი*

# აშშ-თურქეთის ურთიერთობები კვლავ დაძაბულია

ლევან ღირსიაშვილი

მართალია, ერაყის ომი უკვე დასრულდა, მაგრამ თურქეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობები ჯერ კიდევ დაძაბულია და ორი ქვეყანა სტრატეგიულ საკითხებზე ვერც ახლა თანხმდება.

ერაყის შემდეგ, შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის დაპირისპირების საგანი ანკარას მეზობლებთან - ირანთან და სირიასთან ურთიერთობები გახდა. ბუშის ადმინისტრაციის მტკიცებით, თურქეთი ამ ქვეყნების მიმართ ამერიკის გამკაცრებულ პოლიტიკას მხარს არ უჭერს. ვაშინგტონი ირანსა და სირიას ტერორისტების სპონსორობასა და მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაში ადანაშაულებს. თურქი მაღალჩინოსნების თქმით კი, ცხოვრება გაცილებით რთულია მათთვის, ვინც "ცუდ სამეზობლოში" ცხოვრობს. მათივე მტკიცებით, ისინი რეგიონში ამერიკის ერთიან პოლიტიკას ვერ ხედავენ, რომელსაც შეიძლება მხარი დაუჭირონ.

ამერიკა-თურქეთის 50 წლიანი მოკავშირეობის განმავლობაში ამგვარ დაძაბულობას პირველად აქვს ადგილი. ერაყის ომამდე თურქეთის ელიტა ვარაუდობდა, რომ ანკარასა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობები ისეთივე მჭიდრო გახდებოდა, როგორც ამერიკა-ისრაელის.

ახლა, თურქეთი შეერთებული შტატებისგან მოითხოვს, რომ ამერიკელებმა ინჯირლიყის ავიაბაზა დატოვონ, რადგან ერაყის ჩრდილოეთით საჰაერო პატრულირების საჭიროება აღარ არსებობს. პენტაგონი თავისი ბაზების ბულგარეთსა და რუმინეთში გადატანას აპირებს, რომლებმაც ომის მსვლელობისას ვაშინგტონს თავიანთი ბაზები შესთავაზეს.

"ჩვენ არ გვინდა იქ ყოფნა, სადაც ჩვენი ყოფნა არ სურთ", - განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პოლ ვოლფოვიცმა თურქული საკაბელო ტელევიზიით "CNN-Turk"-ით გამოსვლისას 6 მაისს. როდესაც პრეზიდენტი ბუში ევიანში საფრანგეთის პრეზიდენტს თბილად შეხვდა, თურქეთის ყველაზე დიდ გაზეთში დაიბეჭდა სტატია სათაურით: "მან ურთიერთობა ყველასთან გამოასწორა, გარდა თურქეთისა".

თურქი მაღალჩინოსნები აღნიშნავენ, რომ ისინი ვერ ხვდებიან, ზუსტად რა სურთ მათგან ამერიკელებს.

ამერიკელი მაღალჩინოსნები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თურქეთი კვლავ მეგობარი ქვეყანაა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ვაშინგტონის მნიშვნელოვან პარტნიორად რჩება.

თურქების მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნის მომავალს ამერიკას უკავშირებს, განსაკუთრებით, ეკონომიკური განვითარებისა და ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ. ანკარასთვის მნიშვნელოვანია ვაშინგტონის მხარდაჭერა ევროკავშირში გასაწევრიანებლადაც. "თურქეთს გაცილებით მეტად სჭირდება შეერთებული შტატები, ვიდრე შეერთებულ შტატებს - თურქეთი", - აღნიშნა სტრატეგიული კვლევების ცენტრის მკვლევარმა ფარუკ დემირმა "ვაშინგტონ პოსტთან" ინტერვიუში. "ამერიკასთან ერთად თურქეთი დიდი შეცდომების დაშვების ფუფუნებას საკუთარ თავს ვერ მისცემს".

დასავლელი ექსპერტების აზრით, თურქეთის პარლამენტის "დიდ შეცდომას", რომელმაც ამერიკულ ჯარებს შემოშვებაზე უარი უთხრა, კონკრეტული მიზეზები აქვს: საზოგადოებასა და პრეზიდენტს ერაყის ომის მიმართ უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდათ, მმართველ პარტიაში კი ძალზე დაბალია დისციპლინა. პარტიის ხელმძღვანელობამ ამერიკის ხელისუფლებას თავდაპირველად თანხმობა აღუთქვა. თავის მხრივ, თურქეთის გაღიზიანებას იწვევს ის ფაქტი, რომ ამერიკელებს ჰგონიათ, თითქოს, საკმარისია გენერალურ შტაბში დარეკო და რაიმე მოითხოვო. თხოვნა კი დაუყოვნებლივ ასრულდება.

მმართველი პარტიის მაღალი თანამდებობის პირის საბან დისჩის თქმით, "ამერიკელებმა ყველაფერში თურქები დაადანაშაულეს. არადა წლების განმავლობაში ისინი დემოკრატიის განვითარებას უჭერდნენ მხარს, თურქეთის პარლამენტის გადაწყვეტილება კი სწორედ ამის შედეგია".

ამერიკის ხელისუფლება ხშირად ამბობს, რომ იგი თურქეთის დასჯას არ ცდილობს და ამის დასტურად ის ფაქტი მოჰყავს, რომ თურქეთის პარლამენტის გადაწყვეტილების მიუხედავად თეთრმა სახლმა ანკარას სესხის სახით 1 მილიარდი ამერიკული დოლარი გამოუყო.

# ბრიტანეთისა და ევროს ფლირტი გრძელდება

ადამ მჭედლიძე

ევროპის ლიდერები მშვიდად შეხვდნენ ბრიტანეთის გადაწყვეტილებას ამ ეტაპზე თავი შეიკავოს ერთიან სავალუტო ზონაში შესვლისაგან. ევროკომისიის განცხადებით, იგი "დიდი ინტერესით" ადევნებს თვალს ბრიტანეთში მიმდინარე მოვლენებს და მიიჩნევს, რომ ლონდონის ფინანსური პოლიტიკა "გონივრული და პრაქტიკულია."

ბრიტანეთი ჯერ მზად არ არის ევროსათვის. ეს გადაწყვეტილება ძველი კონტინენტისათვის მოულოდნელი არ ყოფილა თუკი გავითვალისწინებთ, რომ ბრიტანეთის ეკონომიკა ბოლო წლებში კარგ მდგომარეობაშია, დანარჩენი ევროპა კი რეცესიას განიცდის. სწორედ ამიტომ, ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრის გორდონ ბრაუნის მიერ პარლამენტში გაკეთებული განცხადება, რომ ევროზონაში შესვლა მიზანშეწონილი არ იქნება, არავისთვის შოკად არ ქცეულა. გორდონმა თავისი პოზიცია მშვენივრადაც დაასაბუთა: ევროზონაში გასაერთიანებლად 5 ჩასაბარებელი ტესტიდან ბრიტანეთს მხოლოდ ერთში აქვს დამაკმაყოფილებელი შედეგი. ეს ტესტები შემდეგნაირია: ევროზონასთან კონვერგენცია; ადაპტაციისათვის საკმარისი მოქნილობა; გავლენა სამუშაო ადგილებზე; გავლენა ფინანსურ მომსახურებაზე და გავლენა უცხოურ ინვესტიციებზე.

ამ მოთხოვნებიდან ბრიტანეთი მხოლოდ მეოთხეს პასუხობს. თუმცა, ვითარებიდან გამომდინარე, ქვეყანას რაც უნდა შედეგები ჰქონოდა, ევროზონაში შესვლა მაინც ერთობ საეჭვო იქნებოდა: მოსახლეობის უმრავლესობა ერთიან ვალუტას ეჭვის თვალით უყურებს.

ბრაუნის განცხადებით, საკითხი ერთ წელიწადში ისევ დაისმება, როცა პარლამენტი მორიგი წლიური ბიუჯეტის განხილვას შეუდგება. მთავრობა რეფერენდუმის ჩატარებას 2004 წლის ბოლოსათვის ვარაუდობს, რომელზეც მოსახლეობა ევროსადმი თავის დამოკიდებულებას გამოხატავს. მაგრამ, თუკი ევროზონაში ეკონომიკური ვითარება სასიკეთოდ არ შეიცვალა, ეს რეფერენდუმი წინასწარ განწირული იქნება.

ბრაუნი აცხადებს, რომ ერთიან სავალუტო ზონაში შესვლას თავისი უდავო პლუსები გააჩნია: 30 წლის განმავლობაში ვაჭრობის მოცულობა ძველ კონტინენტთან 5 პროცენტით გაიზრდება. გარდა ამისა, ევროზონაში დაბალი საპროცენტო განაკვეთები მოქმედებს.

მაგრამ არ შეიძლება იმის დაუნახავობაც, რომ ერთიანი პოლიტიკა საკმაო პრობლემებს უქმნის ევროზონის იმ ქვეყნებს, რომელთაც სპეციფიური პრობლემები აქვთ და დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება ესაჭიროებათ (როგორც გერმანიას), მაგრამ იძულებულნი არიან ევროპის ცენტრალური ბანკის პოლიტიკას დაემორჩილონ.

ბრაუნის თქმით, იგი შეეცდება მაქსიმალურად მიუახლოოს ბრიტანეთის ფინანსური პოლიტიკა საერთო ევროპულს; მაგალითად, სასურველი ინფლაციის დონედ იგივე მაჩვენებელი იქნება არჩეული, რაც ევროზონაში. ეს საპროცენტო განაკვეთების დაახლოებასაც შეუწყობს ხელს.

ბრიტანეთის გარდა ევროკავშირის ქვეყნებიდან ერთიანი სავალუტო ზონის მიღმა რჩებიან დანია და შვედეთი. აქედან ეს უკანასკნელი წლის ბოლოს მართავს რეფერენდუმს შესვლა-არშესვლის საკითხზე. ყველაზე მეტად ერთიანი ევროპის ქომაგებს, ცხადია, ბრიტანეთის პრობლემა აწუხებთ. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, "ტესტების ჩაგდებას" ისინი ოპტიმისტურად შეხვდნენ. საბერძნეთის ფინანსთა მინისტრმა, რომელიც როტაციის წესით ახლა ევროზონას თავკაცობს, რწმენა გამოთქვა, რომ ბრიტანეთი ყველაფერს მოიმოქმედეს ერთიან სივრცეში შესვლისათვის. ანალოგიური ხასიათის განცხადებები გააკეთა გერმანიის წარმომადგენელმაც. ერთადერთი, ვინც უკმაყოფილებას ვერ მალავდა, ბრიტანეთ-ირლანდიის საპარლამენტთაშორისო კომისიის თავკაცი ბრენდან სმიტი იყო. მისი თქმით, ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა ბოლო ხანს გართულდა და არაერთი ახალი ბიუროკრატიული ბარიერი შეიქმნა: "ამას მანამდე არ მოევლება, სანამ ბრიტანეთი ევროს არ შემოიღებს."

# ყველაზე სისხლიანი კონფლიქტი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

აღმოსავლეთ კონგოს ქალაქ ბუნიაში წითელი ჯვრის ოფისის ძირითად საქმიანობად ქუჩაში დაყრილი გვამების დამარხვა იქცა. გვამების რაოდენობა ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების შესაბამისად იცვლება, მაგრამ წითელი ჯვრის მისია უსაქმოდ არასოდეს რჩება.

კონგოს სამოქალაქო ომმა უფრო მეტი ადამიანი იმსხვეპლა, ვიდრე რომელიმე შეიარაღებულმა კონფლიქტმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. დაღუპულთა უმეტესობა ომით გამოწვეულ შიმშილსა და დაავადებებს შეეწირა. საერთაშორისო საზოგადოებას აქამდე სერიოზულად არასოდეს უცდია სისხლისღვრის შეჩერება.

და აი, პირველად, საერთაშორისო სამშვიდობო ძალები, რომლებიც ევროკავშირის ეგიდით იქმნება და ძირითადად ფრანგებითაა დაკომპლექტებული, კონგოსაკენ მიემართებიან, რათა ლენდუსა და ჰემას ტომებს ერთმანეთისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტა შეაწყვეტინონ. მაგრამ, რეგიონში მყოფი საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ქვეყანაში მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად, გაცილებით უფრო მეტი სამხედრო ძალაა საჭირო.

კონგოში აქამდეც მოქმედებდა გაერო-ს სპეციალური მისია, მაგრამ გასულ თვეს, მორიგი შეიარაღებული შეტაკებების დაწყების დროს, გაეროს ჯარისკაცები განზე გადგნენ, იმ მოტივით, რომ მასობრივი მკვლელობების შესაკავებლად მათ უშიშროების საბჭოს მანდატი არ ჰქონდათ.

გაერო-ს პასიურობის შემდეგ, ადგილობრივი მოსახლეობა ფრანგებს იმედის თვალით შეჰყურებს. 1400 კაციანი სამხედრო კონტინგენტი, ბრძოლების შეწყვეტას ალბათ ვერა, მაგრამ ქალაქ ბუნიას სამოქალაქო მოსახლეობის დაცვას ალბათ, შეძლებს. საერთაშორისო დამკვირვებლები მაინც პესიმისტურად არიან განწყობილი. ბრძოლები შეიძლება სხვა ქალაქებშიც დაიწყოს. ბუნიას დაცვა კი სხვა ქალაქების მცხოვრებთათვის ვერაფერი ნუგეშია.



კონგოში პირველი ფრანგი ჯარისკაცები გამოჩნდნენ.

სამშვიდობო ძალების გამოგზავნა კარგი დასაწყისია, მაგრამ ამას უნდა მოჰყვეს ახალი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ქვეყანას მშვიდობას მოუტანს – ამბობენ ბუნიაში მყოფი უცხოელები.

გაერო-ს წარმომადენლებიც აღიარებენ, რომ სამშვიდობო ძალების გაგზავნა ბევრს ვერაფერს შეცვლის. ბუნია აისბერგის მხოლოდ მწვერვალია – ამბობენ ისინი. ომი, შიმშილი და სნეულებები მთელ ქვეყანაში მძვინვარებს.

ადამიანის უფლებათა ორგანიზაცია "ჰიუმენ რაითს უოჩის" შეფასებით, მარტო ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კონგოს სამოქალაქო ომმა სამი მილიონი ადამიანი შეიწირა. უზარმაზარი მსხვეპლის მიუხედავად, არც საერთაშორისო ორგანიზაციებსა და არც მას-მედიას "ქვეყნიერების დასალიერში" მიმდინარე ტრაგედიაზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ. ომები და უყურადღებობა აფრიკის ქვეყნებისათვის ჩვეული ამბავია. სულ ახლახანს, მავრიტანიაში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შესახებ საერთაშორისო საზოგადოებამ მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ, შემთხვევით შეიტყო. კოტ დ`ივუარში მასობრივი ხოცვა-ჟლეტის დროს კი საერთაშორისო ორგანიზაციებმა იმიტომ ვერ მოახერხეს დაპირისპირებულ მხარეებს შორის შუამავლობა, რომ ვერ გაიგეს, ვინ ვის ებრძოდა.

კონგოში ერთმანეთს რამდენიმე შეიარაღებული დაჯგუფება ებრძვის. მათი სახელების ჩამოთვლას აზრი არა აქვს, თუმცა ყველას დასახელებებში შედის სიტყვა "პატრიოტული", "სახალხო" ან "დემოკრატიული". ადგილობრივი მოსახლეობა კი ყველა ამ დაჯგუფებას ერთი სიტყვით "ბანდიტები" მოიხსენიებს.

ადგილობრივი მოსახლეობისათვის საუბედუროდ, კონგო რესურსებით მდიდარი ქვეყანაა. "საუბედუროდ" იმიტომ, რომ მათი გაყიდვით მიღებული შემოსავალი ადგილობრივ შეიარაღებულ რაზმებს ბრძოლის დაუსრულებლად გაგრძელების საშუალებას აძლევს და ავანტიურისტებს მეზობელი ქვეყნებიდანაც იზიდავს.

მიუხედავად იმისა, რომ კონგოს, რუანდისა და უგანდის მთავრობები მეომარ მხარეებს მშვიდობისაკენ მოუწოდებენ, ყველა მათგანი მფარველობს საკუთარ შეიარაღებულ რაზმს.

პირველი ფრანგები ცენტრალურ აფრიკაში უკვე გამოჩნდნენ. მთავარ ძალები მათ ორ კვირაში შეუერთდებიან, ადგილობრივი მოსახლეობა მათგან ელის ხსნას. თუმცა, რა მოხდება მათი წასვლის შემდეგ, წინასწარ ვერავინ იტყვის.

*როიტერი*

# საერთაშორისო სასამართლო და „ტროას ვირები"

ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები შეერთებულ შტატებს საერთაშორისო სასამართლოსათვის ძირის გამოთხრაში ადანაშაულებენ. მათი აზრით, ვაშინგტონი "უსინდისოდ მოქმედებს", როდესაც ხელს უშლის სასამართლოს, რომელმაც 21-ე საუკუნის ტირანები და სამხედრო დამნაშავეები უნდა დასაჯოს.

სისხლის სამართლის პირველი მუდმივმოქმედი საერთშორისო სასამართლო ყველაზე მძიმე დანაშაულების: გენოციდის, სამხედრო დანაშაულის, ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის ჩამდენთა დასასჯელად შეიქმნა.

კლინტონმა ხელი მოაწერა სასამართლოს ქარტიას. ბუშმა კი ხელმოწერა უკან გამოითხოვა. ვაშინგტონი შიშობს, რომ ამერიკელები სასამართლოსთვის, რომელიც მრავალი ქვეყნის წარმომადგენლებმა უნდა დააკომპლექტონ, ყველაზე "მსუყე ლუკმად" იქცევიან.

აშშ-მ მსოფლიოს 38 ქვეყანასთან მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, რომელიც ამ ქვეყნებში განლაგებულ ამერიკელებს საერთაშორისო სასამართლოს მხრიდან დევნისაგან დაიცავს. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები ამერიკელებს ადანაშაულებენ, რომ მათ პატარა ქვეყნებს "ხელები გადაუგრიხეს" და დახმარების შეწყვეტის მუქარით, აიძულეს მათთვის იმუნიტეტი მიენიჭებინათ.

ამ დროს, ევროკავშირის ქვეყნები ახალ სასამართლოს აქტიურად უჭერენ მხარს. საფრანგეთმა გააფრთხილა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომ თუ ისინი ამერიკელების ნებას დაჰყვებიან, ევროკავშირთან პრობლემები ექნებათ.

ყოფილი სოციალისტური ქვეყნები სცილასა და ქარიბდას შორის აღმოჩნდნენ. ერთი მხრივ, ისინი ევროკავშირის წევრობის კანდიდატები არიან, ამიტომ ევროპის დიდი ქვეყნების პოზიცია მათი მომავლისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, მეორე მხრივ კი ისინი აშშ-საგან დიდ დახმარებას იღებენ და საბჭოთა კავშირისაგან განთავისუფლებისათვის ამერიკის წინაშე მორალურ ვალდებულებას გრძნობენ.

ჯერჯერობით, აღმოსავლეთ ევროპელთა უმრავლესობამ ამერიკის მხარე დაიჭირა, რისთვისაც პარიზისაგან გულისწყრომა და დასავლეთევროპული პრესისაგან მეტსახელი "ტროას ვირები" დაიმსახურა.

# გუშინ „კმარა" ძალიან „დაკავებული" იყო







## კრძალავს თუ არა კანონი „კმარას„

ტელევიზია "ოდიშის" მხარდასაჭერად უზენაეს სასამართლოში მისულმა სტუდენტებმა, სასამართლო პროცესის შემდეგ, დღის სამი საათისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან გადაინაცვლეს. ამჯერად, მათი აქცია მხოლოდ "კმარას" წარწერით არ შემოფარგლულა. მათ შინაგან საქმეთა მინისტრს "შევარდნაძის ერთგულებისა და კანონის უგულებელყოფისთვის" სიგელი გადასცეს, რომელზეც სიმბოლურად ოცი ლარი იყო დამაგრებული.

**"ეს სიგელი ნარჩემაშვილმა კანონის უცოდინარობისათვის და შევარდნაძის ერთგულებისთვის დაიმსახურა. არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ეს ერთგულება კიდევ უფრო გაიზრდება. 20 ლარი კი ის თანხაა, რომლის გულისთვისაც პოლიციელები ქუჩაში დგანან. ორი დღის წინათ, ნარჩემაშვილმა დაამტკიცა, რომ არ იცის კანონი. მან საგარეჯოში მომხდარ ფაქტს ხულიგნობა უწოდა, მაშინ, როდესაც ჩვენ არც ეჭვმიტანილებად და არც ბრალდებულებად არ ვიყავით ცნობილი. ახლა აქ ვართ და დაგვაკავონ",** - აცხადებდნენ აქცია "კმარას" აქტივისტები.

აქციის 9 მონაწილის დაკავებიდან რამდენიმე წუთში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის წინ მთელმა პოლიტიკურმა ოპოზიციამ და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. ისინი ძალოვნებისაგან სტუდენტების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვდნენ.

**"ეს ფაქტი არის კარგი მაჩვენებელი იმისა, თუ რა რეჟიმში ვცხოვრობთ. ხშირად გვეუბნებიან, რომ განსხვავებული აზრი რეპრესიებს არ ექვემდებარება, მაგრამ ფაქტი სახეზეა. მართალია, ნარჩემაშვილი ძალზე სუსტი ფიგურაა, მაგრამ იგი აკეთებს იგივეს, რასაც მისი წინამორბედები აკეთებდნენ, პოლიცია კვლავ პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და შევარდნაძის ინსტრუმენტად რჩება. ქუჩაში დადიან მკვლელები, გამტაცებლები, და პოლიციას ვისი დაჭერის უნარიც აღმოაჩნდა - ეს არის სტუდენტობა. ასეთი საქციელი მათ ძალზე ძვირი დაუჯდებათ",** - განაცხადა "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა გიგა ბოკერიამ.

"გაერთიანებული დემოკრატების" წევრის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, მსგავსი საქციელი თავად პინოჩეტს და ფიდელ კასტროს არ ჩაუდენიათ, თუმცა, მისივე აზრით, საქართველოს პრეზიდენტი არც ერთ მათგანს არ ჩამორჩება.

"ნაციონალმა" კობა დავითაშვილმა წინაპრები გაიხსენა და ცოტნე დადიანივით, სტუდენტებთან ერთად, თავისი დაპატიმრებაც ითხოვა. **"ეს ბავშვები 226 მუხლის თანახმად არიან დაკავებულები, იგივე მუხლით ჩემს წინააღმდეგაცაა საქმე აღძრული. თუ ეს ბავშვები დამნაშავეები არიან და იქ უნდა ისხდნენ, მაშინ მეც იქ უნდა ვიყო",** - აპროტესტებდა დავითაშვილი.

სტუდენტების დაკავებიდან სამ საათში, როდესაც აქტივისტების ბედი კვლავ გაურკვეველი იყო, პოლიტიკურმა პარტიებმა პროტესტის ნიშნად გზა გადაკეტეს. **"ეს არის მინისტრის მხრიდან სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედება. ამას სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ჰქვია და იგი ისჯება ბევრად უფრო მკაცრად, ვიდრე წვრილმანი ხულიგნობა. მე არ ვიცნობ კანონს, რომელიც საქართველოს მოქალაქეს ნებისმიერი რამის დაწერას ან საუბარს აუკრძალავს. ამაზე კი ყველამ უნდა ვთქვათ, რომ მართლაც კმარა, და ჩვენ არ ვაპირებთ ცხოვრებას იმ ქვეყანაში, სადაც მინისტრმა შეიძლება ასეთი ხელაღებული ძალადობა განახორციელოს",** - განაცხადა შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოსულმა ზურაბ ჟვანიამ.

## დამკავებლები და დაკავებულები კომენტარებს აკეთებენ

სტუდენტების გათავისუფლებამდე საათნახევრით ადრე, შს მინისტრის მოადგილე ზურაბ ხაჟალია საგანგებო პრესკონფერენციას აწყობს და "კმარას" აქტივისტების დაკავების მიზეზებზე საუბრობს. პრესკონფერენციაზე მინისტრის მოადგილე ჟურნალისტებს ერთ-ერთი სტუდენტის მიერ პოლიციისთვის მიცემული ჩვენების შინაარსს უყვება:

**"ერთ-ერთი პიროვნებისგან მეტად საინტერესო ჩვენება მივიღეთ - საიდან ფინანსდებიან, ვინ მართავს ამ ყველაფერს და ა.შ. ერთ-ერთმა აღნიშნა, რომ მას ამ წარწერების გაკეთებაში ხუთას ლარს უხდიან",** - აღნიშნავს ხაჟალია და, გამოძიების ინტერესებს ამოფარებული, იმ "ერთ-ერთი პიროვნების" ვინაობასა და სხვა დეტალებს არ ასახელებს.

ხაჟალია აცხადებს, რომ დაკავებული რვა სტუდენტის მიმართ უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის მუხლით და გუშინ ისინი, როგორც ეჭვმიტანილები, იკითხებოდნენ. მისი თქმით, სტუდენტებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს პოლიციის თანამშრომლებს, სამ მათგანს საღებავით სახე დაუთხუპნეს, ხოლო ერთ-ერთი პოლიციელის მუნდირის დათვალიერების შემდეგ მასზე აღმოჩენილია ყვითელი საღებავით შესრულებული ასობგერა "კ".

**"ეს სტუდენტები გაუგონარ ცინიზმს იჩენენ პოლიციის თანამშრომელთა მიმართ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნონ, რომ მათი ქმედებები დაუსჯელი არ დარჩება",** - აღნიშნა ხაჟალიამ, რომელმაც "კმარას" აქტივისტებს განათლების დონეც დაუწუნა და შეშფოთებულმა განაცხადა, რომ "მათ საერთოდ არ იციან სიტყვა "კანონის" მნიშვნელობა."

დატყვევებულ სტუდენტებს შინაგან საქმეთა მინისტრი, რვასაათიანი პატიმრობის შემდეგ, საღამოს თერთმეტი საათისთვის შეელია.

სამინისტროსთან მოპიკეტე გულშემატკივრები უკვე პრეზიდენტ შევარდნაძისთვის სახლისკენ მიმავალი გზის გადაკეტვას აპირებდნენ, როცა ჟვანიას, გამყრელიძის და დავითაშვილის თანხლებით, შსს კიბეებზე "ხულიგნები" გამოჩნდნენ.

**"ჩვენი დაკავების წუთებიდანვე მთელი სამინისტრო არეული დარბის, არ იციან, რა გააკეთონ, ავსებენ რაღაც დოკუმენტებს, აწერენ ხელს, ქაღალდებს კაბინეტიდან კაბინეტში დაატარებენ. მოკლედ, თავადაც არ იცოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ. ფიზიკური შეურაცხყოფა ჩვენთვის არ მოუყენებიათ, თუმცა ბიჭებს საკმაოდ უცენზურო ფოტოები აჩვენეს და დაემუქრნენ: თუ ჭკვიანად არ იქნებით, თქვენც იგივე დაგემართებათო",** - პირველ კომენტარს აკეთებს ტყვეობიდან გათავისუფლებული თეა თუთბერიძე.

ხაჟალიას მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, "ხუთასლარიან" ხელფასთან დაკავშირებით, ყოფილი მძევლები "უსუსურ ბრალდებას" უწოდებენ. **"მეტი არაფერი აქვთ სათქმელი და ხავსს ეჭიდებიან",** - ამბობენ ისინი.

ჟურნალისტებთან სასაუბროდ სტუდენტებს არ ეცალათ, გარეთ მშობლები და მეგობრები ელოდებოდნენ. **"დღეს ჩვენთვის სიტყვის, საკუთარი აზრის გამოთქმის თავისუფლების შეზღუდვა მოინდომეს. მინდა, ნარჩემაშვილს შევუთვალო, რომ ასე ვერ შეგვაშინებენ. "კმარას" წარწერები მანამ იარსებებს, ვიდრე საქართველოს მოქალაქეების უფლებების პატივისცემას არ ისწავლიან.... ერთი "რკინის მინისტრი" გვყავდა და ის ჯართში გადავისროლეთ, "თუჯის მინისტრის" ადგილი კი სანაგვეზეა",** - აცხადებს თეა თუთბერიძე, წარწერების "კმარა" ყველაზე აქტიური ავტორი.

## დაუოკებელი „კმარა„ კანცელარიასთან არ დაუკავებიათ

გუშინვე "კმარას" აქტივისტებმა "კმარას" დაწერა სახელმწიფო კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზეც რამდენჯერმე მოასწრეს მანამ, სანამ კანცელარიის დაცვის თხოვნით ადგილზე მისულმა მთაწმინდის რაიონის პოლიციელებმა ძალით არ გამოსტაცეს ხელიდან ქიმიური საღებავები. კანცელარიის წინ მოსიარულე ნებისმიერ მოქალაქეს საკუთარი თვალით შეეძლო დაეფიქსირებინა ფაქტი, თუ როგორ ართმევდა პოლიციელთა ჯგუფი "კმარას" თხუთმეტიოდე აქტივისტს საღებავებს და რა სიტყვიერი შეურაცხყოფა ისმოდა ორივე მხრიდან.

მიუხედავად იმისა, რომ კანცელარიასთან საკმაოდ დაძაბული სიტუაცია იგრძნობოდა, ორივე მხარემ თავი შეიკავა და სერიოზულ ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. შესაძლოა, პოლიციელებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ "კმარას" აქტივისტების დაკავების შემდეგ, დანარჩენი ახალგაზრდების დაკავება აღარ მოინდომეს. ისიც ფაქტია, რომ აქტივისტებთან ერთად, უამრავი ჟურნალისტიც იყო და ინციდენტს არაერთი კამერა აფიქსირებდა.

გუშინდელი ინციდენტის შემდეგ, ბევრ მოქალაქეს დაებადა კითხვა: კანონის თანახმად, ჰქონდა თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ "კმარას" აქტივისტები დაეჭირა ან მათთვის საღებავები წაერთმია.

როგორც გაზეთ "24 საათთან" საუბრისას ადვოკატმა ეკა ბესელიამ განაცხადა, სისხლის სამართლის წესით, ასეთი ქმედება დასჯადი არ არის. თუკი შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ "კმარას" წარწერებით რაიმე დაზიანდა: **"ამისათვის, უკიდურეს შემთხვევაში, დაწესებულია ადმინისტრაციული ჯარიმა და შსს-ს მაღალჩინოსნებს შეეძლოთ, "კმარას" აქტივისტებისაგან ზიანის ანაზღაურებისათვის თანხა მოეთხოვათ და არავითარ შემთხვევაში არ ჰქონდათ უფლება, ისინი დაეკავებინათ..."** – აცხადებს ადვოკატი ეკა ბესელია. შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა კი "კმარას" აქტივისტების აღნიშნული ქმედებებს რამდენიმე დღის წინ უკვე მისცა შეფასება და მათ "ხულიგნური ხასიათის კანონდარღვევა" უწოდა.

## მოკლედ

**თბილისი.** განათლების სამინისტროს გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი დადებითად აფასებს წელს აპრობირებულ გამოცდებს, რომელშიც მხოლოდ თელავისა და თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-9 კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. "გამოცდები ობიექტურად ჩატარდა, თუმცა უარყოფითმა შედეგებმა კიდევ ერთხელ უნდა დაგვაფიქროს სასკოლო პროგრამის დახვეწის აუცილებლობაზე", - აცხადებენ "საგამოცდო ცენტრის" ხელმძღვანელები. **მედია-ნიუსი**

**თელავი.** გუშინ დავით გარეჯობის დღესასწაული აღინიშნა. ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავით გარეჯის მონასტერში მამა დავითის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი და წირვა აღავლინა. სასულიერო პირებთან ერთად გარეჯში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში და საზოგადო მოღვაწეები ჩავიდნენ. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები კვლავ ჩამორჩენით ფინანსდება.

დღეისათვის მოსახლეობის სახელმწიფო დაცვის პროგრამები მხოლოდ 56,8 პროცენტითაა დაფინანსებული, უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები კი - 26,5 პროცენტით. არ დასრულებულა მოსახლეობის სტაციონალური დახმარების პროგრამის დაფინანსებაც. დღეისათვის ეს პროგრამა 70,3 პროცენტითაა შევსებული. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** რამდენიმე დაკეტილ მიწისქვეშა გადასასვლელში აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად წელს თბილისის კეთილმოწყობის სამსახურმა მუნიციპალიტეტს 840 ათასი ლარი მოსთხოვა, თუმცა ბიუჯეტში ეს თანხა არ გაითვალისწინეს. ამის გამო, წელს დედაქალაქში ვერც ერთი დაზიანებული მიწისქვეშა გადასასვლელი ვერ შეკეთდება. თბილისში სულ 51 მიწისქვეშა გადასასვლელია, აქედან ოთხი სარემონტო სამუშაოების ჩატარებას საჭიროებს და დღეისათვის გადაკეტილია. **ინტერ-პრესი**

# სექტემბრიდან გარე მოვაჭრეებს 50-100 ლარით დააჯარიმებენ

ნანა ქადაგიშვილი

*2-3 თვის შემდეგ სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია საკუთარი საქმიანობის უშედეგობის მიზეზად ჯარიმის სიმცირეს ვეღარ დაასახელებს. 2 სექტემბრიდან ძალაში შევა სანიტარული კოდექსის ის მუხლები, რომელიც ვაჭრობის წესების დარღვევისას ჯარიმის ოდენობის გაზრდას ითვალისწინებს.*

გასულ კვირას სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციამ გარე ვაჭრობის ადგილებიდან 523 კგ. საქონლის ხორცი, 119 კგ. ფრინველის ხორცი, 120 ერთეული რძის პროდუქტი, 60 ცალი შებოლილი "სიგა", 80 ერთეული კრემიანი ნაწარმი და 160 ცალი კვერცხი ამოიღო, 37 მოვაჭრე დააჯარიმა და სასამართლოში ვაჭრობის შეჩერებაზე 54 მიწერილობა გააკეთა. ამის მიუხედავად, ქალაქის სანიტარულ მდგომარეობას, როგორც წესი, გაუმჯობესება არ ემჩნევა. აქამდე ქალაქის სანიტარულ მდგომარეობაზე პასუხისმგებელი უწყებები მუდმივად ჯარიმის სიმცირეს იმიზეზებდნენ. ფაქტია, რომ 9-ლარიანი ჯარიმა გარე მოვაჭრეებს ვერ აშინებს. მართალია, გარე ვაჭრობის პრობლემას მხოლოდ ჯარიმის სიმცირე არ ქმნის, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ნამდვილად არის. 2 სექტემბრიდან კი ვაჭრობის წესების დარღვევაზე ფიზიკური პირი, 9 ლარის ნაცვლად, 50 ლარით დაჯარიმდება, იურიდიული პირი - 100 ლარით, დარღვევის განმეორების შემთხვევაში კი ფიზიკურ პირს 200 ლარის გადახდა მოუწევს, იურიდიულ პირს - 500 ლარის.

"ჯარიმის ოდენობის გაზრდის შემდეგ ეს გასასამართლებელი მიზეზი აღარ გვექნება და ყველანაირად ვეცდებით, გაუმჯობესებული კანონმდებლობა შედეგიანად გამოვიყენოთ", - აცხადებს სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი, ჯულული ახვლედიანი და ქალაქის ხელმძღვანელობას, გარე ვაჭრობის ტერიტორიების შეძლებისდაგვარად დასუფთავების მიზნით, "ორშაბათობის" დაწესებას სთავაზობს - ანუ ყოველი კვირის ორშაბათს გარე ვაჭრობის ტერიტორიები უნდა დაიკეტოს და დასუფთავდეს. ქალაქისთვის ცოტა შეღავათი მაინც იქნებაო, - აცხადებს ახვლედიანი. მერია მის წინადადებას იწონებს, მაგრამ გარე მოვაჭრეების დათანხმება გაგვიჭირდებაო, - შიშობს. და მაინც ფაქტი ისაა, რომ ქალაქის ხემძღვანელობა თუკი მოინდომებს, გარე მოვაჭრეების წინააღმდეგობას არ მოერიდება. ქალაქის ადმინისტრაციულმა ინსპექციამ, მოვაჭრეებთან დიდი შეხლა-შემოხლის მიუხედავად, ჯიხურები გუშინ მეტრო "სარაჯიშვილთანაც" აიღო. მართალია, გარე ვაჭრობის პრობლემა სასამართლოსა და პოლიციასაც არანაკლებად უკავშირდება, მაგრამ მერიის მონდომება მდგომარეობას მაინც საგრძნობლად გააუმჯობესებს.

# მსჯავრდებულ ქალთა დაწესებულება ევროსტანდარტებს აკმაყოფილებს

თამარ კაციტაძე

**"თავისუფლებააღკვეთილი ქალები მთელი საზოგადოების სატკივარია. ჩვენ შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად, შეგვემსუბუქებინა მათი მდგომარეობა და სასჯელის მოხდის ადამიანური პირობები შევუქმენით. საპატიმროდან გასული ადამიანი საზოგადოებას გაბოროტებული არ უნდა დაუბრუნდეს. უნდა ვეცადოთ, რომ მათ ქალური ღირსებები არ დაკარგონ",** - ამ სურვილით დაიწყო, დაახლოებით, ერთი წლის წინ იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა მსჯავრდებულ ქალთა ახალი დაწესებულების მშენებლობა და სწორედ ამ დაპირების შესრულებისათვის გუშინ მას "ახალმოსახლე" მსჯავრდებული ქალები მადლობას უხდიდნენ.

**"არავის ვუსურვებ აქ მოხვედრას, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. დღეს ეს არის ჩვენი ოჯახი. ოთხი წელია, ამ დაწესებულებაში ვარ. მშენებლობის დაწყებისას ავჭალაში გადაგვიყვანეს. უკან რომ დავბრუნდით, თვალებიც არ იყო საჭირო, ისედაც ვგრძნობდით საოცარ განსხვავებას. ამაზე მეტი რა უნდა გითხრათ. დიდი მადლობა იუსტიციის სამინისტროს და პირადად როლანდ გილიგაშვილს",** - გვითხრა მსჯავრდებულმა იზო წოწორიამ.

საუკუნის დასაწყისში აშენებულ და თითქმის დანგრევის პირას მისულ შენობაში მსჯავრდებული ქალები, დაახლოებით, ორმოცი წლის წინ გადაიყვანეს და მას შემდეგ იქ კოსმეტიკური რემონტიც არ ჩატარებულა. თბილისში მომხდარი ბოლო მიწისძვრისას კი ისედაც დაბზარული კედლები საბოლოოდ ჩამოინგრა. ხელისუფლებასთან რამდენიმეთვიანი ხვეწნა – ბიუჯეტში მშენებლობისთვის განკუთვნილი თანხა მოგვეცით, რომ ქალთა დანგრეული დაწესებულება ავაშენოთ - სამინისტროს ხელმძღვანელობისთვის უშედეგოდ დასრულდა. სწორედ ამის შემდეგ, იუსტიციის მინისტრს მსჯავრდებულ ქალთა დაწესებულების სამინისტროს სპეცსახსრებით აშენების ბრძანება გაუცია.



"ახალმოსახლე" მსჯავრდებული ქალები მადლობას იხდიან.

ახალ დაწესებულებაში დაინგრა ძველი და აშენდა ახალი საცხოვრებელი და სამედიცინო კორპუსები, სასადილო და საშხაპე, სამლოცველო და ბიბლიოთეკა. შეკეთდა დაწესებულების გარე პერიმეტრი, დაიგო ასფალტი, აღდგა პატიმართა სამკერვალო და დეკორატიული ყვავილების სათბური, სადაც ისინი იმუშავებენ და ა.შ.

**"ამ კეთილშობილურ საქმეში გაწეული დახმარებისთვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციას, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სააქციო საზოგადოება "თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს პანტიკო თორდიას და თითოეულ იმ ადამიანს, ვინც გულთან მიიტანა პატიმარ ქალთა სატკივარი",** - მსჯავრდებულ ქალთა დაწესებულებაში პატიმარი ქალების და მიწვეული სტუმრების გასაგონად აღნიშნა გუშინ როლანდ გილიგაშვილმა.

სასჯელაღსრულების დაწესებულების ახალი შენობის სანახავად კი გუშინ დაწესებულებაში მართლაც უამრავი სტუმარი იყო მისული - დაწყებული უშიშროების საბჭოს მდივნიდან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დამთავრებული. გავრცელებული ხმებით, სტუმართა შორის საქართველოს პრეზიდენტი და სახელმწიფო მინისტრიც უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ, ისინი პატიმრებთან არ მისულან. პრინციპში, დაწესებულების აშენებაში ისინი ვერც საკუთარი წვლილით იამაყებენ (იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტში მშენებლობისთვის განკუთვნილი 200 ათასი ლარი შარშანაც და წელსაც სეკვესტრში მოყვა), თანაც, როგორც ამბობენ, საქართველოში ამ ბოლო დროს რესტორნების პრეზენტაციებზე სიარული უფრო მოდურია.

სამაგიეროდ, ახლადაშენებული დაწესებულების გახსნას უფრო რეალური შემფასებლები ესწრებოდნენ. **"შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მსჯავრდებულ ქალთა დაწესებულება საერთაშორისო სტანდარტებს ბოლომდე აკმაყოფილებს. აქ იუსტიციის სამინისტრომ ყველაფერი "წითელი ჯვრის" დახმარებით გააკეთა. ეს კი იმის მაგალითია, თუ რისი გაკეთება შეიძლება თანხის მიზანმიმართული დახარჯვის შემთხვევაში. მოგეხსენებათ, სხვა სფეროებში 100-ჯერ მეტი თანხაა უცხოეთიდან მობილიზებული და ასჯერ უფრო ნაკლები საქმეა გაკეთებული. ვისურვებდი, რომ მალე სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებიც ასეთი მენახა,"** – გვითხრა არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" წარმომადგენელმა გელა ნიკოლაიშვილმა.

იუსტიციის მინისტრი კი, როგორც თავად გვპირდება, ციხეთა აღმშენებლობის გაგრძელებას მომავალშიც ნამდვილად აპირებს. ამჯერად, რუსთავის მშენებარე ციხე, საგარეჯო და სხვა დაწესებულების რიგია. **"თუმცა, მარტო ჩვენი სახსრებით მშენებარე ციხის დასრულებას ვერ შევძლებთ, დახმარება ხელისუფლებას უნდა ვთხოვოთ,"** – იმედს არ კარგავს როლანდ გილიგაშვილი.

# ამბოხებულ გვარდიელთა ნაწილი გაათავისუფლეს

მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ გუშინ ამბოხებული გვარდიელების საქმე განიხილა - უფრო ზუსტად, გვარდიელთა ადვოკატების სარჩელი, რომლითაც ისინი დაპატიმრებული ვეტერანების გათავისუფლებას ითხოვდნენ. საქმე ისაა, რომ გენერალურმა პროკურატურამ, ყოფილი მეომრების წინააღმდეგ თავის დროზე ამბოხების მუხლით აღძრა საქმე, ცოტა ხნის წინ კი ტუსაღებს მძიმე ბრალდებები თავად პროკურატურამ მოუხსნა.

სწორედ ამ მოტივით ადვოკატებმა ვეტერანთა წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლება მოითხოვეს. ადვოკატების განცხადებით, "პროკურატურამ დაკავებულებს შედარებით მძიმე ბრალდება მოუხსნა. ახალი ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის კი სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მეტისმეტია," - აცხადებენ ადვოკატები. პატიმართა საქმის განხილვა გუშინწინ დაიწყო და გუშინ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს თავმჯდომარემ, მამუკა სონღულაშვილმა განაჩენი გამოიტანა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, პატიმრობაში დარჩნენ ვლადიმერ გალდავა, დავით კოშკაძე, დავით მარტიაშვილი, ჯუმბერ იაკობიძე და გიორგი აბულაძე. გივი წიკლაური, ნიკოლოზ ლაზარიშვილი და რომან დოდაშვილი კი წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლდნენ. რომან დოდაშვილს შიდა პატიმრობა მიესაჯა, გივი წიკლაურსა და ნიკოლოზ ლაზარიშვილს კი - პოლიციის ზედამხედველობა. რაც შეეხება მამუკა ცისკარიშვილს, ავთანდილ გიორგაძეს, გიორგი ქაჯაიას, თენგიზ და თემურ როსტომიანებს, მათი საკითხი სასამართლოში დღეს გადაწყდება;

შეგახსენებთ, რომ 24 მარტს, შუაღამისას გვარდიის რამდენიმე ვეტერანი, დავით მარტიაშვილის ხელმძღვანელობით, ისნის რაიონში დისლოცირებულ მე-11 ბრიგადის სამხედრო ნაწილში შეიჭრა და სამხედრო მოსამსახურეები განაიარაღა. ყოფილი გვარდიელები ხელისუფლებისგან სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოითხოვდნენ.

# „ეი-ი-ეს თელასის" ფინანსურ დირექტორს ბრალდება წაუყენეს

„ეი-ი-ეს თელასის" ფინანსურ დირექტორს, გიორგი გვიჩიანს თბილისის პროკურატურამ გუშინ 3 მლნ ლარის გაფლანგვის ბრალდება წაუყენა. გვიჩიანი გუშინწინ დილით დააკავეს. თანხის გაფლანგვის ფაქტი „ეი-ი-ეს თელასის" ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმის გამოძიებისას გამოვლინდა.

გამოძიების ვერსიით, გვიჩიანმა 2001 წლის 28 ივნისს ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლითაც სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის 3 მლნ ლარის ჩათვლა მოხდა. ეს თანხა ცალკეულმა ორგანიზაციებმა გამოიტანეს ბანკიდან და მიითვისეს.

გვიჩიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმიდან ცალკე გამოიყო. გვიჩიანი ამჟამად პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორში იმყოფება. მოწმედ დაკითხვისას გვიჩიანი არ უარყოფდა, რომ ზემოაღნიშნულ დოკუმენტს მოაწერა ხელი, თუმცა ამჟამად დუმილის უფლებას იყენებს და გამოძიებას ჩვენებას არ აძლევს.

თბილისის პროკურატურა დღეს სასამართლოს გვიჩიანისთვის სამთვიანი პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით მიმართავს. გარდა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა, რაც თანხის გაფლანგვაში გამოიხატა, გვიჩიანი იარაღის უკანონო ტარებაშიც არის ბრალდებული. **მედია-ნიუსი**

# თავს დაესხნენ საგანგებო ლეგიონის თანამშრომელს

გუშინ, დილით ახალციხე-ბორჯომის გზის მონაკვეთზე, სოფელ ტნისთან საგანგებო ლეგიონის მეორე სამმართველოს მესამე განყოფილების თანამშრომელს, სამველ მელქოიანს სასტიკად სცემეს.

დილის 9 საათზე სამველ მელქოიანს, რომელიც ტრასაზე მოძრავი ტვირთების რევიზიის ჩასატარებლად იყო გამოსული, შავი ფერის უნომრო BMW-მ გზა გადაუჭრა, მანქანიდან ხუთი უცნობი მამაკაცი გადმოვიდა, რომლებმაც მელქოიანი მანქანიდან გადმოიყვანეს და თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყეს, რის შედეგადაც მელქოიანმა გონება დაკარგა. გონზე მოსვლის შემდეგ კი საგანგებო ლეგიონის თანამშრომელს სასტიკად სცემეს. თავდამსხმელები მელქოიანს ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრნენ და მიიმალნენ.

უკანასკნელ დღეებში საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა ბორჯომი-ახალციხის მაგისტრალზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით კონტრაბანდული ხე-ტყის ტრანსპორტირების ფაქტები გამოავლინეს. გამოვლინდა, ასევე, დიდი რაოდენობით შავი ლითონის, ბაზალტის და ბუნებრივი, დაუხერხავი ქვის უკანონო ტრანსპორტირების ფაქტები.

საგანგებო ლეგიონი და პოლიცია არ გამორიცხავენ, რომ მელქოიანის ცემის ფაქტი სწორედ საგანგებო ლეგიონის მიერ ბოლო პერიოდში ჩატარებულ ოპერაციებს უკავშირდება.

**"ამ თავდასხმის შესახებ მხოლოდ ერთი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება, ბოლო პერიოდში ჩვენ განსაკუთრებული ბრძოლა გამოვაცხადეთ კონტრაბანდისა და აღურიცხავი ტვირთების წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ჩვენი "სანქციები" ვიღაცეების წისქვილზე არ ასხამს წყალს და ამიტომაც განახორციელეს თავდასხმა ჩვენს თანამშრომელზე,"** – ჩვენთან საუბრისას განაცხადა სამცხე-ჯავახეთის საგანგებო ლეგიონის მე-2 სამმართველოს უფროსმა, პაატა ფოცხვერაშვილმა.

ახალციხის რაიონის პოლიციამ დაზარალებული - საგანგებო ლეგიონის თანამშრომელი უკვე დაკითხა. თავდამსხმელთა ვინაობა პოლიციისთვის ჯერჯერობით უცნობია.

# ქართველ სამართალდამცველებს აკრიტიკებენ

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა კიდევ ერთი ანგარიში მოამზადა. საუბარია ევრაზიის ქვეყნებში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობაზე. დეპარტამენტის მოხსენებაში ადგილი საქართველოსაც ეთმობა. "მიუხედავად იმისა, რომ სიტუაცია საგრძნობლად გაუმჯობესდა, საქართველოს ხელისუფლებამ ადამიანის უფლებების დაცვისთვის საჭირო მყარი გარანტიები ჯერ კიდევ ვერ შექმნა," - ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული შეტყობინების საფუძველზე, დეპარტამენტი აკეთებს დასკვნას, რომ პოლიციაში დღემდე პრაქტიკაშია დაკავებულთა ცემა-წამება და სხვა სასტიკი მეთოდების გამოყენება. სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, სასტიკი მოპყრობის, ცემაწამებისა და მძიმე საცხოვრებელი პირობების გამო, საპატიმრო ადგილებში დაიღუპა რამდენიმე დაკავებული. კვლავინდებურად გრძელდება ყოველგვარი მყარი ბრალდებების გარეშე ადამიანთა უკანონო დაკავება. ამ სერიოზული პრობლემის მოსაგვარებლად კი ხელისუფლება კონკრეტულ ღონისძიებებს არ მიმართავს.

მასშტაბური ხასიათი მიიღო სამართალდამცველ სტრუქტურებში კორუფციამ.

სასამართლო ორგანოები, სადაც აგრეთვე კორუფცია მეფობს, პოლიტიკური გავლენის ქვეშ არიან. ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო ხელისუფლება და ზოგიერთი სახელმწიფო სტრუქტურები ერევიან ადამიანის პირად ცხოვრებაში.

# ტელეკომპანია „ოდიშის" სასამართლო პროცესი გადაიდო

თეა ხოფერია

*დამოუკიდებელ ტელეკომპანია "ოდიშს" არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ გამოუცხადეს სოლიდარობა და უზენაეს სასამართლოში, გუშინ, ტელეკომპანიის სასამართლო პროცესზე დასასწრებად გამოცხადდნენ. უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის პალატაში ზუგდიდის დამოუკიდებელი ტელეკომპანიის "ოდიშის" დარბევასთან დაკავშირებული საქმის საკასაციო განხილვა თავად კასატორის - სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილის რევაზ ჩიქობავას შუამდგომლობის გამო გადაიდო. ჩიქობავამ შუამდგომლობა მისი ადვოკატის ლერი ღურწკაიას გამოუცხადებლობის გამო დააყენა. სასამართლო კოლეგიამ, მოსამართლე მერაბ ტურავას თავმჯდომარეობით, პროცესი 20 ივნისისათვის გადაიტანა.*

როგორც მერაბ ტურავამ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, სასამართლო კოლეგია სრულ მზადყოფნაში იყო, რომ მხარეებისათვის მოესმინა, თუმცა მოსამართლემ კასატორის პირველი შუამდგომლობა მაინც გაითვალისწინა და, იმავდროულად, ორივე მხარე გააფრთხილა:

**"შემდგომ სასამართლო პროცესებზე რომელიმე მხარის გამოუცხადებლობა ვერც საქმის განხილვას და ვერც, საჭიროების შემთხვევაში, საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას ვერ შეაყოვნებს".**

საქმე კი, როგორც ცნობილია, ტელეკომპანია "ოდიშის" მიერ გადაცემულ სიუჟეტს ეხება. შარშან, სექტემბერში, ტელეკომპანიამ ეთერში გაუშვა რეპორტაჟი, რომელიც ასახავდა - როგორ დაარბია პოლიციამ მშვიდობიანი აქციის მონაწილენი. სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ, რეპორტაჟის შინაარსით უკმაყოფილო პირები ტელეკომპანიაში მიცვივდნენ და იქაურ თანამშრომლებთან შელაპარაკება მოუხდათ. რამდენიმე ხანში, ტელეკომპანიაში პოლიციის წარმომადგენლები, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე რევაზ ჩიქობავას თაოსნობით, მივიდნენ.

გამოძიების პროცესში პოლიციელები და ტელეკომპანიის წარმომადგენლები მაშინ, მომხდართან დაკავშირებით, ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებდნენ. პოლიციელთა თქმით, ისინი იქ მხოლოდ წესრიგს იცავდნენ და არანაირ შეხლა-შემოხლას კომპანიაში ადგილი არ ჰქონია. ტელეკომპანიის პრეზიდენტი და სხვა წევრები კი აცხადებენ, რომ მაშინ რევაზ ჩიქობავამ ტელეკომპანიის პრეზიდენტს გრიგოლ ქობალიას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. გარდა ამისა, კომპანიის წევრები და თვითმხილველები აცხადებენ, რომ პოლიციელთა და მათ შორის მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი ფირი პოლიციელებმა ძალის გამოყენებით გაიტაცეს, ტელეკომპანიას კი დამტვრეული კამერა შერჩა ხელთ.

აღნიშნული ფაქტის გამო, სამეგრელოს პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. რამდენიმე ხანში კი საქმე ქუთაისის პროკურატურას გადაეცა და სამმართველოს ყოფილი მოადგილე რევაზ ჩიქობავა, სამსახურებრივი მოვალეობის გადამეტებისათვის, სამსახურიდან გათავისუფლდა.

ამჟამად, ჩიქობავა თანამდებობაზე აღდგენას ითხოვს, გრიგოლ ქობალია კი - საქმის ხელახლა გამოძიებაში დაბრუნებას. 1 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ტელეკომპანია "ოდიშის" პრეზიდენტის სარჩელი დააკმაყოფილა. სწორედ ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა რევაზ ჩიქობავა და საკასაციო სარჩელი უზენაეს სასამართლოში შეიტანა.

**"მე ბოლომდე ვიბრძოლებ სიმართლისათვის. ჩვენგან არავითარ დარბევას ტელეკომპანიაზე ადგილი არ ჰქონია და, სხვათა შორის, ამ ფაქტს ჩემთან პირად საუბარში გრიგოლ ქობალიაც აღიარებს, აქ კი სხვას ამბობს. მე თანამდებობიდან ტყუილად გამათავისუფლეს",** - აცხადებს რევაზ ჩიქობავა.

ტელეკომპანიის პრეზიდენტი საპირისპირო აზრისაა და უზენაესი სასამართლოსაგან ასევე სიმართლის დადგენას მოითხოვს.

# „ახალი გურულების" გავლენიანი ოჯახის წევრი ფინანსური აფიორისთვის დააკავეს

პირველი გვერდიდან

ფირმა "კრონას" ხელმძღვანელ ანატოლი ვასილევთან. (ანატოლი ვასილევს საქართველოსთან ოჯახური კავშირებიც აქვს - მას ქუთაისელი მეუღლე ჰყავს). **"მერაბმა რამდენიმე პროექტი წარმოგვიდგინა, რომელიც გურიაში საკაბელო ტელევიზიის ქსელის შექმნას, ჩაის ფაბრიკის შეძენას და ოზურგეთსა და ქობულეთში დასასვენებელი ზონების შექმნას ითვალისწინებდა. მართალი გითხრათ, პროექტები საინტერესოდ გვეჩვენა. მერაბს სურდა, თანხა მოსკოვშივე მიეღო, მაგრამ მას განვუმარტეთ, რომ საჭირო ინვესტიციებს მხოლოდ პირობების ადგილზე გაცნობის შემდეგ განვახორციელებდით,"** - აცხადებს "კრონას" დირექტორი, ანატოლი ვასილევი.

1991 წლის ოქტომბერში ოზურგეთს "კრონას" პრეზიდენტი, გენერალური დირექტორი და სხვა რამდენიმე პირი ეწვია. ინვესტორებს ადგილობრივი პირობების შესახებ კარგი შთაბეჭდილება დარჩათ. **"მერაბ სიორიძე ყოველთვის ამბობდა, რომ ჩვენი ინვესტიციის გარანტი მისი გავლენიანი ოჯახი იყო. ადამიანური თვალსაზრით, ზაზა და მერაბ სიორიძეები კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. მართალია, ზაზა სიორიძე იმ პერიოდში გერმანიაში იღებდა განათლებას, მაგრამ გვქონდა ინფორმაცია, რომ ზაზა ამ პროექტების ტვინი იყო, მერაბი კი შემსრულებელი,"** – აცხადებს ანატოლი ვასილევი. მოლაპარაკებების შედეგად მხარეებს შორის ხელშეკრულება გაფორმდა და 1991 წლის 10 ოქტომბერს "მრეწვმშენბანკის" ოზურგეთის ფილიალის ანგარიშზე 10 მილიონი რუსული რუბლი გადაირიცხა. ანატოლ ვასილევის ადვოკატის, ნანა აფხაიძეს განმარტებით, მათ ხელთ აქვთ ექსპერტის ცნობა, რომელშიც განმარტებულია, რომ 1991 წლის ოქტომბრის თვეში 10 მილიონი მანეთი 17 096 939 დოლარს შეესაბამებოდა. კრედიტის აღებიდან, დაახლოებით, ორ თვეში მოსკოვში "გურიის" იმჟამინდელი გენერალური დირექტორი გამოცხადდა და ბიზნეს გეგმის განსახორციელებლად დამატებით ავტომანქანა "კამაზის" შეძენა ითხოვა. ცოლ-ქმარმა ვასილევებმა გურულებს სულ ახალი "კამაზი" უყიდეს, რაშიც დამატებით მილიონი რუსული მანეთი გადაიხადეს. აღნიშნული ფაქტის შემდეგ მათ სიორიძეებთან დაკავშირება ველარ შეძლეს: **"მაშინ როდესაც ფული სჭირდებოდათ, სატელეფონო კავშირზე ჩვენთან დღეში ხუთჯერ გამოდიოდნენ, თანხის მიღების მეორე დღიდან კი მათთან სატელეფონო კავშირი საერთოდ შეწყდა,"** - აცხდებს დაზარალებული მხარე. მოგეხსენებათ, რომ 1991 წლიდან საქართველოში პოლიტიკური ვითარება დაიძაბა და "კრონა" 1995 წლამდე სიორიძეების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას ველარ ახერხებს.

ანატოლი ვასილევის განმარტებით, მათ მხოლოდ 1995 წელს შეიტყვეს, რომ ზაზა სიორიძე "გაერთიანებული ქართული ბანკის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, რომლის შემადგენლობაშიც შესული იყო უკვე "მრეწვმშენბანკიც", სადაც ვასილიევებს 10 მილიონი რუსული მანეთი ჰქონდათ გადარიცხული. "კრონას" ხელმძღვანელობა ზაზა სიორიძეს დაუკავშირდა, მათ შორის შეხვედრა იმავე წელს შედგა. მერაბ სიორიძემ ვალის არსებობა აღიარა და ისინი ერთმანეთს დაპირებებით დაშორდნენ.

"კრონას" ხელმღვანელობის მოსკოვში ჩასვლისთანავე სიორიძეებთან კავშირი კვლავ დაიკარგა. ერთი წლის შემდეგ ვასილევები გებულობენ, რომ მერაბ სიორიძე კომპანია "მარტინ ბაუერის" დირექტორის მოადგილეა, ხოლო მისი მეუღლე ტელეკომპანია "გურიის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1997 წელს ვასილევები მერაბ სიორიძეს "მარტინ ბაუერში" მოულოდნელად აკითხავენ.

**"მერაბს ჩვენს დანახვაზე სახე შეეცვალა, ენა დაება, გვითხრა, - თქვენს წინაშე დამნაშავე ვარ და ყველაფერს გავაკეთებ, რათა ეს ფული დაგიბრუნოთო. ამის შემდეგ ზაზა სიორიძეს პარლამენტში არაერთხელ შევხვდი. სიორიძეები დღესაც არ უარყოფენ ვალს და, სანაცვლოდ, სპირტის ბიზნესში ჩართვას გვთავაზობდნენ. საბოლოოდ კი, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მერაბმა ზაზა სიორიძის თხოვნა გადმოგვცა, - მოსკოვში დაბრუნდით და მე ყველაფერს მოვამზადებო. მოსკოვში ჩასვლის შემდეგ მათთან კავშირი კვლავ დაიკარგა,"** - აცხადებს ვასილევი. ისინი საქართველოში 2001 წელს ჩამოვიდნენ და საქმეს უკვე ოფიციალური მსვლელობა მისცეს. "კრონას" ხელმძღვანელობა პრესასთან უკვე ღიად აცხადებს, რომ სიორიძეებმა "გადააგდეს" და პროკურატურაში ჩივილით იმუქრებიან. მაშინ ზაზა სიორიძე ვასილევების მოქმედებას საჯაროდ შანტაჟს უწოდებდა და აღნიშნულ საქმესთან საკუთარ კავშირს კატეგორიულად უარყოფდა. თუმცა, ამავე დროს, "კრონას" მხრიდან საქმეში თანხის ჩადების ფაქტს არ უარყოფდა. დაზარალებულ მხარეს კი სასამართლოში ჩივილისაკენ მოუწოდებდა. ამავე პერიოდში ვასილევები აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დამოუკიდებელ კვლევას აწარმოებენ, რის საფუძველზეც აღმოჩნდა, რომ 1991 წელს მერაბ სიორიძეს "მრეწვმშენბანკის" სოლიდური ვალი გააჩნდა, რასაც დამატებით ბანკის მომსახურების პროცენტებიც ემატებოდა (მერაბ სიორიძე იმ პერიოდში სიგარეტის ბიზნესს ეწეოდა აღნიშნული ბანკიდან გამოტანილი სესხით). ბანკი მას ვალის დაბრუნებას კატეგორიულად სთხოვდა. ვასილევი განმარტავს, რომ სიორიძემ თანხის ჩამორიცხვის ადრესატად "მრეწვმშენბანკი" სპეციალურად მიუთითა, რითაც ბანკს ჩამორიცხული თანხის ვალებში გაქვითვის საშუალება მისცა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხსენებული ბანკი "გაერთიანებული ქართული ბანკის" შემადგენლობაში შევიდა, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ზაზა სიორიძეც გახლავთ. გამოძიება "მრეწვმშენბანკის" დოკუმენტაციით დაინტერესდა, მაგრამ იგი გაურკვეველ ვითარებაში განადგურებული აღმოჩნდა.

გამოძიებით ისიც დადგინდა, რომ მერაბ სიორიძემ "კრონასთან" ხელშეკრულება ისე გააფორმა, რომ შესაბამისი უფლებამოსილი პირი არ იყო. **"1991 წელს ტელეკომპანია "გურია" "იბერვიზიის" ფილიალი გახლდათ და მერაბ სიორიძეს არ ჰქონდა უფლება, "კრონასთან", როგორც დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, გაეფორმებინა ხელშეკრულება. ეს ფაქტი ვასილევებს შეგნებულად დაუმალეს, რადგანაც ისინი ამ შემთხვევაში ხელშეკრულებას არა "გურიასთან", არამედ პირდაპირ "იბერვიზიასთან" გააფორმებდნენ,"**-აცხადებს "კრონას" ადვოკატი, ნანა აფხაიძე.

აღნიშნული ფაქტის ირგვლივ მოვლენები შემდგომ ცოტა უცნაურად წარიმართა. 2001 წლის 3 დეკემბერს გენერალურ პროკურატურაში სარჩელი, ვასილევების ნაცვლად, რატომღაც, ზაზა სიორიძემ შეიტანა და სამართალდამცველებს ვასილევების ბრალდებების შესწავლა სთხოვა. პროკურატურის 2002 წლის 12 ივნისის დადგენილებით, ზაზა სიორიძეს აღნიშნულ საქმესთან კავშირი არ დაუმტკიცდა. თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით მის ძმაზე, რომლის მიმართაც პროკურატურამ საქმე ცალკე გამოყო და შესასწავლად ოზურგეთის პროკურატურას გადაუგზავნა. 2002 წლის 12 მარტს პროკურატურამ მერაბ სიორიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილება გამოიტანა. დაზარალებულმა მხარემ პროკურატურის გადაწყვეტილებები ორივე ძმის მიმართ გაასაჩივრა და აღნიშნული გადაწყვეტილებების გაუქმებასაც მიაღწია. მერაბ სიორიძის მიმართ საქმე შესასწავლად უკვე სამტრედიის პროკურატურას გადაეცა, რომელმაც კვლავ სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგენილება გამოიტანა. ვასილევებს ზაზა სიორიძის მიმართ, არასაკმარისი მტკიცებულებების გამო, დავა აღარ გაუგრძელებიათ, ხოლო მერაბის მიმართ საქმე სასამართლოდან პროკურატურაში და, პირიქით, კარგა ხანს "მოძრაობდა". რამდენიმე თვის წინ, ვასილევებმა სასურველ შედეგს მიაღწიეს და მერაბ სიორიძის მიმართ, როგორც იქნა, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. **"მერაბის მიმართ საქმე, თაღლითობის მუხლით, სისხლის სამართლის კოდექსის ძველი რედაქციით აღიძრა. გამოძიებისას მან თავი დამნაშავედ ცნო, თუმცა მიუთითა, რომ ფული ვასილევებს რიჩარდ ჯავახაძის და დათო სანიკიძის ხელით დაუბრუნა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პირები გარდაცვლილები არიან. ამავე დროს, სიორიძე აცხადებს, რომ 1993 წელს თანხა კუპონებით გაისტუმრა. არადა, 1993 წელს მოსკოვში არც ერთი ბანკი კუპონებს არ ანაღდებდა. ამჟამად ძიება დასასრულს უახლოვდება. როგორც მოგახსენეთ, მერაბ სიორიძემ თავი დამნაშავედ ცნო და მისთვის 1992 წლის ამნისტიის აქტის შეფარდება მოითხოვა,"** - აცხადებს ადვოკატი, ნანა აფხაიძე.

დაზარალებული მხარე, ბუნებრივია, კარგად ხვდება, რომ მერაბ სიორიძისგან 17 მილიონი დოლარის მიღება აბსურდულია და მხოლოდ 500 ათას დოლარის ამოღებას მისი პირადი ქონების გადაცემის გზით აპირებს. ამ მიზნით, მათ სამოქალაქო სარჩელი სასამართლოში უკვე შეტანილი აქვთ, რის საფუძველზეც, ტელეკომპანია "გურიას" უკვე ყადაღა ადევს. რაც შეეხება მერაბ სიორიძეს, არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული ფაქტი ყრუ-მუნჯთა ასოციაციის საქმესთან ერთად გაერთიანდეს და მან პასუხი ორივე საქმეზე ერთდროულად აგოს.

# ედ მელკერტი გაოცებულია ქართული დემოკრატიით და შეშფოთებულია ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებით

პირველი გვერდიდან

თქვენს ქვეყანაში ამჟამად არსებული სიტუაცია და ეკონომიკური სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ძალიან სერიოზული პრობლემები გაქვთ. მე მაღელვებს ის ფაქტი, რომ რეალურად მეტისმეტად ბევრი ადამიანია ღარიბი ან უმუშევარი. ეს მდგომარეობა აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ამიტომ მიმაჩნია, რომ "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის" სახელმწიფო პროგრამის შემუშავებით, მთავრობამ მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. სწორედ ეს პროგრამა უნდა ემსახურებოდეს ამ პრობლემების მოგვარებას. ეს უნდა იყოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტი და იარაღი მთავრობის ხელში.

**- პრეზენტაციაზე თქვენ დადებითად შეაფასეთ ეს პროგრამა, როგორც სამოქმედო გეგმა. მაგრამ, რამდენად რეალურია ამ პროგრამის წარმატებით განხორციელება დღევანდელი მთავრობის ხელში?**

- საქართველოს ბოლო წლების ისტორიის გათვალისწინებით, ამ პროგრამის შემუშავება ძალიან დიდი ნაბიჯია. თუმცა, შედეგზე არანაკლებ მნიშვნელოვანია პროგრამის შემუშავების პროცესი, რადგან მასში, სამთავრობო სექტორთან ერთად, ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართულნი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების დიალოგი მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში. შედეგად პროგრამა იმდენად კარგი გამოვიდა, რომ, დარწმუნებული ვარ, მის განხორციელებას სხვადასხვა დონორი ორგანიზაციები მომავალში აუცილებლად გაუწევენ დახმარებას.

ახლა იწყება ყველაზე რთული - განხორციელების პროცესი. ამ საკითხთან დაკავშირებით სერიოზული დიალოგი გაიმართება საქართველოს მთავრობასა და საერთაშორისო დონორებს შორის, მათ შორის - მსოფლიო ბანკთანაც. თუმცა, ჯერ ნაადრევია დასკვნების გაკეთება, თუ რამდენად კარგად იმუშავებს ეს პროგრამა. ჩემთვის ამაზე საუბარი ძნელია, იმიტომ, რომ მე ვარ ზედამხედველობის ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც მდგომარეობის შეფასებას ახორციელებს, გადაწყვეტილებებს კი მსოფლიო ბანკის სათავო ოფისი იღებს.

ისიც მინდა აღვნიშნო, რომ მსოფლიო ბანკი საბოლოო გადაწყვეტილებას "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების" სახელმწიფო პროგრამის საბჭოზე განხილვის შემდეგ მიიღებს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოსთან დაკავშირებით საკმაოდ სერიოზული პრობლემები არსებობს, როგორიც არის კორუფციის მაღალი დონე და მრავალი სხვა მიზეზი. ამიტომ, ბანკი საბოლოო სიტყვას მხოლოდ ყველა ფაქტორის გათვალისწინებით იტყვის.

**- იქნებ დააკონკრეტოთ, შესაძლებელია თუ არა ამ პროგრამის წარმატებული განხორციელება დღევანდელი მთავრობის პირობებში?**

- მე ვფიქრობ, რომ ამის პოტენციალი ნამდვილად არსებობს, მაგრამ ეს მთავრობისა და არჩევნების შემდეგ პარლამენტში მოსული უმრავლესობის მხრიდან დიდ სიმამაცეს მოითხოვს. საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის მიზნები და პრინციპები, რომელიც ამ პროგრამაშია ჩამოყალიბებული, რაც შეიძლება, მალე განხორციელდეს.

**- სავალუტო ფონდის მისიის ჩამოსვლამდე ერთი კვირაღა დარჩა. საკმაოდ დიდი საფრთხე არსებობს, რომ საქართველოს მთავრობამ აღებული ვალდებულებების შესრულება ვერ მოასწროს და სავალუტო ფონდმა პროგრამა შეწყვიტოს. რა გავლენას მოახდენს სავალუტო ფონდის გადაწყველტილება მსოფლიო ბანკის შემდგომ პროგრამებზე?**

- მსოფლიო ბანკში არავინ ლაპარაკობს პროგრამისა და დახმარების შეწყვეტაზე. პირიქით, რომელიმე ქვეყანაში არსებული პრობლემების გამო, ჩვენ შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ გარკვეული პროგრამების დროებით გადადებაზე. ჩემი აზრით, საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს დიალოგი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოგვარდეს თანამშრომლობაში არსებული პრობლემები. მე ვხედავ, რომ ამ სიძნელეების დაძლევა შეიძლება. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ, შესაძლოა, ამას დამატებითი დრო დასჭირდეს.

**- ცნობილია, რომ მსოფლიო ბანკის პროექტების უმრავლესობა შეჩერებულია. ამის მიზეზი საქართველოს მთავრობის მიერ თანადაფინანსების ვალდებულების შეუსრულებლობაა. პრობლემა ძალიან სერიოზულია. თუ მთავრობამ ასეთი ტენდენციით გააგრძელა მუშაობა, როგორ აისახება ეს მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობაზე? ხომ არ გამოიწვევს იმას, რომ მსოფლიო ბანკმა საქართველოსთან მუშაობის ტაქტიკა შეცვალოს?**

- მთავრობის უმაღლეს პირებთან შეხვედრებისას, მე გამოვთქვი ჩემი შეშფოთება იმის შესახებ, რომ ზოგიერთ საერთაშორისო დონორთან, მათ შორის, სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობაში სერიოზული დაბრკოლებები და პრობლემებია. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ამის დაძლევა შეიძლება, მაგრამ ეს მთავრობის მხრიდან გარკვეული გადაწყვეტილებების მიღების დაჩქარებას მოითხოვს. მესმის, რომ ქვეყნის მდგომარეობასა და მიმდინარე მოვლენებზე, არჩევნებისთვის მზადება დიდ გავლენას ახდენს, მაგრამ, ამის მიუხედავად, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრისას მე ხაზი გავუსვი იმას, რომ საქართველოს არა აქვს იმის არც დრო და არც საშუალება, არჩევნებს დაელოდოს და ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება. საქართველოს სწორედ ახლა აქვს შანსი, დაეწიოს დანარჩენ ევროპას, რომელიც, ეკონომიკური თვალსაზრისით, არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია. ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

**- გადაწყვეტილების მიღებაში იმას გულისხმობთ, რომ არჩევნებამდე საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო დონორების წინაშე აღებული ვალდებულებები შეასრულოს?**



ედ მელკერტი: "საქართველოს მთავრობამ ყოველთვის ღიად უნდა განაცხადოს იმის შესახებ, თუ რაში დაიხარჯება ამ ნავთობსადენიდან მიღებული თანხები.

- მე მსოფლიო ბანკში საქართველოს წარმოვადგენ. ამიტომ, მე უნდა ვურჩიო საქართველოს მთავრობას, რომ მან არჩევნების წინაც გამოიჩინოს სიმამაცე, რადგან სიღარიბესთან ბრძოლა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა, კიდევ ნახევარი წლით ვერ მოიცდის.

**- რას ელოდით და რა დაგხვდათ საქართველოში?**

- დადებითად გაოცებული დავრჩი, რადგან ნამდვილად არ ველოდი, რომ საქართველოში ასეთი გახსნილი ურთიერთობები, საზოგადოებასა და მთავრობას შორის ასეთი ღია დებატები იქნებოდა. ეს იმის მანიშნებელია, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და ამ მხრივ სწორი მიმართულებით მიდის. მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ დადებითად არ "შევმცდარვარ". ვიცოდი, რომ საქართველოში კორუფციის მაღალი დონე, არადემოკრატიული პრინციპების დანერგვის ტენდენცია და სხვა მრავალი პრობლემა იყო, მაგრამ ნამდვილად ვერ წარმომედგინა, რომ საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის ასეთი უზარმაზარი მასშტაბი დამხვდებოდა. ეს ძალიან ცუდია, რადგან ასეთი ვითარება მთავრობას არ აძლევს იმის განხორციელების საშუალებას, რაც საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ასე რომ, საქართველოს მთავრობას აუცილებლად მოუწევს ამ პრობლემის დაძლევა, რაშიც მსოფლიო ბანკი აუცილებლად დაეხმარება. ამასთან, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ, რაც მეტი მეცოდინება ქვეყნის შესახებ, მით უკეთესად შევძლებ კომპეტენტური რჩევები მივცე საქართველოს მთავრობას არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. ფაქტობრივად, ეს არის ჩემი მიზანი - ინფორმაციის შეგროვება, შემდგომში საქართველოს მხარდაჭერის მიზნით.

**- რას ურჩევთ საქართველოს მთავრობას? რა უნდა გაკეთდეს პრობლემების მოსაგვარებლად?**

- მოკლევადიან პერსპექტივაში ყველაზე დიდი ყურადღება მსოფლიო ბანკის მხრიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობას დაეთმობა. ამიტომ, პირველ ყოვლისა, ამ პროექტის უსაფრთხო და წარმატებულ განხორციელებაზე უნდა იყოს კონცენტრირებული საქართველოს მთავრობაც. ბორჯომში ვიზიტისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან საუბრების შემდეგ, ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა ოთხი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აუცილებლად უნდა მოგვარდეს. პირველი: არსებობს ძალიან ბევრი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საკმაოდ სერიოზული პრობლემებია მიწის კომპენსაციის გაანგარიშებასა და მიღებასთან დაკავშირებით. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი: მკაფიოდ და გასაგებად უნდა გამოიხატოს, რა გარემოსდაცვითი მექანიზმებია ჩადებული პროექტში. გასაგებია, რომ "ბითისის" კეთილი განზრახვები აქვს, მაგრამ ბოლომდე ჯერ არ არის გარკვეული, თუ რამდენად მოახერხებენ ამ ყველაფრის განხორციელებას. ამიტომ საჭიროა, დეტალურად წარმოადგინონ ყველაფერი. მესამე საკითხი შეეხება მონიტორინგს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტის ხანგრძლივობის ადეკვატური მონიტორინგი განხორციელდეს. ამიტომ, როდესაც ვაშინგტონში დავბრუნდები, აუცილებლად დაველაპარაკები ჩემს კოლეგებს, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ხელმძღვანელებს და ვეცდები, დავარწმუნო დამოუკიდებელი გრძელვადიანი მონიტორინგის აუცილებლობაში. დაბოლოს, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ ყოველთვის ღიად განაცხადოს იმის შესახებ, თუ რაში დაიხარჯება ამ ნავთობსადენიდან მიღებული თანხები. თანხა მაქსიმალურად ღიად და გამჭვირვალედ უნდა დაიხარჯოს საზოგადოებისთვის. თუ საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ამ პროექტში მონაწილეობას მიიღებს, მისი მთავარი მოთხოვნა სწორედ ის იქნება, რომ ეს ნავთობსადენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას მოხმარდეს. ძალიან მიხარია, რომ საქართველოს მთავრობას კარგად ესმის ამ გამჭვირვალობის მნიშვნელობა.

**- რაც შეეხება ამ 120-დღიან მონიტორინგს, რა შედეგს შეიძლება ველოდოთ?**

- ჩემი აზრით, მონიტორინგი გაცილებით მეტ დროს საჭიროებს, ვიდრე 120 დღეა. ეს უფრო ფართო ცნება და პროცესია. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის წარმატებული განხორციელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მონიტორინგი. ამიტომ მე ვეცდები, დავარწმუნო საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ხელმძღვანელობა, დაეხმაროს საქართველოს მთავრობას მონიტორინგის განხორციელებაში. მონიტორინგი მე ამ 120 დღის შემდეგ უფრო მეტად მაინტერესებს. ნავთობსადენის მშენებლობის პროცესი დიდხანს გაგრძელდება. არსებობს ძალიან დიდი საფრთხე, რომ ახლა, როცა ასეთი გაცხარებული დებატები მიმდინარეობს, რაღაც გაკეთდეს, მაგრამ წლების შემდეგ შეიძლება ეს დასკვნები დავიწყებასაც მიეცეს. ასე რომ, აუცილებელია, პროექტის განხორციელების პროცესის მსგავსად, მონიტორინგი გრძელვადიანი იყოს.

**- ივნისის ბოლოს საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის ახლანდელ ხელმძღვანელს ტევფიკ იაპრაკს ვადა ეწურება. ჩვენი ინფორმაციით, ამ ვაკანსიაზე ჯერჯერობით არც ერთი განაცხადი არ არის შეტანილი. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ საქართველოსადმი ინტერესი შენელდა? რითი შეიძლება ეს აიხსნას?**

- არა, არა, ასეთი ახსნა ნამდვილად არ არის სწორი. უბრალოდ, მსოფლიო ბანკი ისეთი სისტემაა, რომ, როცა ვინმეს ვადა ეწურება, არ არის საჭირო და აუცილებელი, მისი შემცვლელის ვინაობა წინასწარ იყოს ცნობილი. ეს შიდა სტრუქტურული საკითხებია. დარწმუნებული ვარ, მსოფლიოში ბევრი ადამიანი დიდი სიამოვნებით დათანხმდება, ამ თანამდებობაზე იმუშაოს.

**- საქართველოდან სომხეთში მიემგზავრებით...**

- დიახ, მივემგზავრები და ამით ამოიწურება ჩემი პირველი ოფიციალური ვიზიტი ამ რეგიონში. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, პირადად ვიცნობდე იმ ქვეყნებს, რომლებიც ჩემი პასუხისმგებლობის სფეროში შედიან.

ინფორმაცია

## აფხაზური ადმინისტრაცია დევნილების რეგისტრაციას იწყებს

გალის აფხაზური ადმინისტრაცია რაიონში დაბრუნებული დევნილების რეგისტრაცია-ანკეტირებას ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად იწყებს. გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რუსლან ქიშმარიას განცხადებით, დაბრუნებულ დევნილთა რეგისტრაციის საკითხი 6 ივნისს გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის შენობაში, მოსახლეობასა და სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯინბას შორის გამართულ შეხვედრაზე გადაწყდა. *ინტერ-პრესი*

## ბარამიძე რუსების მიერ მართული ჩეჩენი "ბოევიკების" საქართველოში შემოჭრის შანსს რეალურად აფასებს

რუსული სპეცსამსახურების მიერ მართული ჩეჩენი "ბოევიკების" საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრის შესაძლებლობა "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთ ლიდერს გიორგი ბარამიძეს სავსებით რეალურად მიაჩნია. "არც ის არის გამორიცხული, რომ რუსეთის გარდა, ამ პროვოკაციის დაგეგმვა-მომზადებაში საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი მაღალჩინოსანი იღებდეს მონაწილეობას. ყოველ შემთხვევაში, ამას თავად სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელი ირინა სარიშვილი ამტკიცებს და ეს ძალზე ყურადსაღები ფაქტია", - განაცხადა ბარამიძემ ირინა სარიშვილი-ჭანტურიას განცხადების კომენტირებისას. *ინტერ-პრესი*

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ოსურ მხარეს პრეტენზიებს უყენებს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ოსურ მხარეს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების - ეუთო-ს, ევროკავშირისა და გაეროს მონაწილეობის შემცირების მიზანმიმართულ მცდელობაში ადანაშაულებს. ამის დასტურად საქართველოს საგარეო უწყება ასახელებს იმ ფაქტს, რომ 14-15 მაისს გორში გამართულ სხდომაზე, ადრე მიღწეული რამდენიმე შეთანხმება ჩაიშალა, კერძოდ, ვერ მოხერხდა შეთანხმება საქონლის გადაზიდვების ერთობლივი კონტროლის შესახებ, რომელსაც ევროკავშირი 2,5 მილიონი ევროთი აფინანსებდა. **მედია-ნიუსი**

## ნატო-ს ახალი პროექტი - „ვირტუალური აბრეშუმის გზა"

ბელა მახარაძე

საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი - ეს იმ ქვეყნების ჩამონათვალია, რომლებზეც ნატო-მ თავისი ინტერესი შეაჩერა და შეიმუშავა პროგრამა, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყნებს საშუალება ექნებათ ერთმანეთს ახალი, მაღალი ხარისხის ინტერნეტ-პროგრამის საშუალებით დაუკავშირდნენ და როგორც საგანმანათლებლო-კულტურულ, ისე პოლიტიკურ სფეროში ინფორმაცია გაცვალონ. ამ პროექტის საშუალებით საქართველოს რამდენიმე ქალაქი უფასო ინტერნეტს იღებს.

ვებ-გვერდს სიმბოლური სახელი - "ვირტუალური აბრეშუმის გზა" ეწოდა.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით აფციაური, რომელმაც ისაუბრა ამ საიტის მნიშვნელობაზე საქართველოსთვის.

**"ჩვენ განვიხილავთ ამ პროგრამას, როგორც ნატო-სთან საქართველოს კიდევ უფრო დაახლოების და საბოლოოდ გაერთიანებისკენ წინ გადადგმულ ნაბიჯს", -** ამბობს აფციაური.

პროექტის ინიციატორმა ვალტერ კაფენბერგმა მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს, სხვადასხვა ქვეყნის ელჩებს და ამ ქვეყნებისათვის პროგრამის დიდ მნიშვნელობაზე ისაუბრა. ნატო-ს გარდა, რომელმაც ამ პროექტის დასაფინანსებლად ორნახევარი მილიონი ევრო გაიღო, საკმაოდ დიდი გრანტი აქვს გამოყოფილი ევრო-კომისიასაც.




ქართველები ვირტუალურ "აბრეშუმის გზას" ეცნობიან.

საქართველოსაგან განსხვავებით, სხვა ევროპულ ქვეყნებში ასეთი სახის პროგრამები დიდი ხანია, არსებობს და მას მთლიანად მთავრობა აფინანსებს.

დავით აფციაურისგან განსხვავებით, პროგრამის პოლიტიკურ დატვირთვაზე და "ვირტუალური აბრეშუმის გზის" საშუალებით ნატო-ში გაწევრიანებაზე საუბარს კაფენბერგი თავს არიდებს, **"მე არ გავავლებდი მკვეთრ პარალელს ამ პროექტსა და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას შორის, თუმცა გარკვეულ წვლილს, ალბათ, ეს პროგრამაც შეიტანს. საქართველოს გარდა, ამ პროგრამაში კიდევ შვიდი ქვეყანა მონაწილეობს, მაგრამ ამათგან ზოგი შეიძლება გახდეს ნატო-ს წევრი, ზოგი კი - არა", -** ამბობს კაფენბერგი.

პროგრამა ორი წლის განმავლობაში უფასო იქნება. ერთი წლის შემდეგ კი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს, რომლებიც ამ პროგრამით სარგებლობენ, იმისათვის, რომ მომსახურება უფრო გაძლიერდეს, გარკვეული თანხის გადახდა მოუწევთ. თუმცა, ამ თანხის გადახდა საქართველოს მთავრობასაც შეუძლია.

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# "თუ ვინმეს ჰგონია, რომ მე მარტომ უნდა ვაგო პასუხი, ძალიან შემცდარა"

მაია ჭალაგანიძე

წინასაარჩევნოდ დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია არამხოლოდ თავისუფალ ზონაში მცხოვრებ ადამიანებსა და ინფრასტრუქტურას შეეხო. როგორც ჩანს, პოლიტიკამ გისოსებს მიღმაც შეაღწია. მართალია, ციხე ოდითგან შიგნიდან ტყდება, მაგრამ თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ციხის კარები განსაკუთრებით ფაქიზი სწორედ წელს, სწორედ უკანასკნელ თვეებში აღმოჩნდა: 2000 წელს 10 გაქცევის შედეგად 30 პატიმარმა უშველა თავს. 2001 წელი - 14 გაქცევა, 24 პატიმარი. 2002 წელი - 10 გაქცევა, 15 პატიმარი. წელს - 6 გაქცევა, 29 პატიმარი, აქედან 4 გაქცევა 20 დღეში მოხდა. ამ ციფრების უბრალო ანალიზი აჩვენებს, რომ პოლიტიკას კრიმინალური ავტორიტეტები გარეთ დასჭირდა. მსგავსი გაქცევა-გაშვებები, შესაბამისი სამსახურების ინფორმაციებით, უახლოეს მომავალშიც არის მოსალოდნელი. ამისთვის მთელი კრიმინალური სამყაროა მობილიზებული და ეს მარტო ჩვენ არ ვიცით. პრესას მხოლოდ ვარაუდი შეუძლია - ხომ არ ემსახურება ეს ყველაფერი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და არჩევნების ჩაშლას მაშინ, როდესაც ჩვენი სტრატეგიული და, უბრალოდ, მეგობარი დასავლელი პარტნიორები ხმამაღლა აცხადებენ, რომ ეს არჩევნები საქართველოსთვის გადამწყვეტია. დასავლეთიდანაც რომ არ გვიკარნახონ, ყოველი მოქალაქე საკუთარ ტყავზე გრძნობს ამ აუცილებლობას. გვესაუბრება საქართველოს იუსტიციის მინისტრი **როლანდ გილიგაშვილი.**



როლანდ გილიგაშვილი

მეჩვენება, რომ ეს ყველაფერი გარედან მართული პროცესებია და გამორიცხული არ არის, ემსახურებოდეს იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში არჩევნები მშვიდ ვითარებაში არ ჩატარდეს.

**- რა კატეგორიის ხალხი გარბის ციხიდან, რა დროს გარბის, ემთხვევა თუ არა ეს კრიმინოგენული ვითარების დაძაბულ პერიოდს?**

- ქვეყანაში უმძიმესი კრიმინოგენული ვითარებაა. ყველა გაქცეული პატიმარიც უმძიმესი დანაშაულის ჩამდენი პირია.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ პირველი და მეხუთე საპყრობილიდან გაქცევის შემთხვევები არის არა გაქცევა, არამედ - შეგნებული გაშვება. გამოძიებას არ დაუდგენია, თუ როგორ და რა ვითარებაში მოხდა კედლის განგრევა, მაგრამ ხუთი კორპუსიდან გამოყვანა უნდა შეძლოს 5 კორპუსის უფროსმა და მათთან მომსახურე ორმა კონტროლიორმა. გარდა ამისა, სპეციალურად არის შექმნილი ისეთი გარემო პირობები, რომ ამ ხალხს იოლად შეძლებოდათ თავისუფლების აღკვეთის ადგილების დატოვება. არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეს "გაშვება" რომ არ მომხადრიყო, შეიძლება, კრიმინალური ავტორიტეტები შტურმითაც გამოეყვანათ.

**- გარკვეული ნიშნები თუ არის, ვინ იყო ორგანიზატორი, შემკვეთი?**

- ამ შეკითხვას პროკურატურის წარმომადგენლებს უნდა უსვამდეთ. არ ვისაუბრებ იმაზე, რაშიც კომპეტენტური არ ვარ. პატიმართა გამოსვლის ფორმა, ხერხები, პროცესი - მაძლევს ამის თქმის საშუალებას.

**- ვის სჭირდება ასეთი კატეგორიის ხალხის გარეთ ყოფნა?**

- იმას, ვისაც უნდა, რომ ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარება დაიძაბოს. არც ისაა გამორიცხული, რომ კვალი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადიოდეს.

კრიმინალური სამყაროს გავლენიანი ავტორიტეტები, ზოგიერთი ძალოვანი სტრუქტურის აგენტები არიან გარეთ გასული და დასკვნები საზოგადოებამ გამოიტანოს.

**- როგორ ფიქრობთ, ეს საქმეები ბოლომდე და ობიექტურად იქნება გამოძიებული?**

- 20 წელი პროკურატურის სტრუქტურებში ვიმუშავე და არ შემიძლია, გითხრათ, რომ ეს საქმეები სრულყოფილად იქნება გამოძიებული. არიან დაკავებულები და როგორც პროკურატურამ აღნიშნა, სხვა პირთა ბრალეულობაც იკვეთება. შერჩეულია არასამუშაო დღეები. დამნაშავეთა სამყაროსთვისაც ცნობილია, სად და როდის არის სუსტი წერტილი სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში.

როგორც ჩემთვის ცნობილია, 23 მაისის გაქცევის შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ ციხის ადმინისტრაციასაც და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გარკვეულ სამსახურებსაც. ჩემთვისაც წარმოუდგენელია - ხდება დანაშაული და არანაირი ზომები არ მიიღეს. ეს იმის მანიშნებელია, რომ ეს ხალხი, ფაქტობრივად, დანაშაულის თანამონაწილეა. ძალიან ძნელია, იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობამ რაიმე ზომები მიიღოს, თუ იქვე, ადგილზე არ ტარდება ლოკალური ღონისძიებები.

**- თქვენ გაათავისუფლეთ ხელისშემწყობი პირები. არ დადგება მათი პასუხისმგებლობის საკითხი?**

- გარკვეული თანამდებობის პირები დაპატიმრებულნი არიან...

**- არ გიფიქრიათ, რომ პრობლემა სისტემაშია? თავის დროზე იუსტიციის სამინისტროსთვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გადმოცემამ შსს-ს უკმაყოფილება გამოიწვია. ახლა საუბარია შინაგანი ჯარების მიერ გარე პერიმეტრის დაცვაზე. ხომ არ არის ეს იუსტიციის სამინისტროს უუნარობის დამტკიცების მცდელობა?**

- ინფორმაციაში, რომელიც პრეზიდენტთან წარსადგენად მომზადდა, ჩადებულია ისიც, თუ რა უშლის ხელს იუსტიციის სამინისტროს, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ გაქცევები აღვკვეთოთ.

იუსტიციაში იქნება თუ შსს-ში, ციხეთა სისტემის დაფინანსება აუცილებელია. სამწუხაროდ, ერთი დაწესებულებიდან მეორეში პატიმრები გადმოგვეცა და ამით ყველაფერი დამთავრდა. არანაირი დაფინანსება, არანაირი ყურადღება. რაც გვეკუთვნის, იმასაც არ გვაძლევენ თავის დროზე. როგორია იმ თანხების ერთი თვით დაგვიანება, რომლითაც 7000-ზე მეტი პატიმარი უნდა გამოვკვებოთ?!

**- ამ შეკითხვას მე არ უნდა მისვამდეთ...**

- როგორ შეიძლება 7 500 ადამიანის კვების პროდუქტების გარეშე დატოვება, ან როგორ შეძლებს 33 ლარიანი გუშაგი თავისი უფლებამოსილების შესრულებას - პასუხი ფინანსთა მინისტრმა უნდა გაგცეთ.

როდესაც ცივილიზებულ ქვეყნებში სახელმწიფო ციხეთა სისტემის სრულყოფის საქმეში ბევრ ფულს დებს, ამით მას დამნაშავეთა სამყაროსგან საზოგადოების დაცვა სურს. სურს საზოგადოება, ბიზნეს-გარემო ნორმალურად განვითარდეს, შეიქმნას სამოქალაქო საზოგადოება და ა.შ. ფულს იმისთვისაც დებენ, რომ ციხეში მყოფი, თუნდაც უმძიმესი დანაშაულის ჩამდენი ადამიანი, არ კარგავდეს ადამიანურ თვისებებს და რესოციალიზაციის პირობებში საზოგადოებას ნორმალურ ადამიანად უბრუნდებოდეს - აი, ეს აკლია ჩვენს სახელმწიფოს და ეს ვერ გააცნობიერა ჩვენმა ეკონომიკურმა გუნდმა. მთელი კატეგორიულობით მინდა ვთქვა - როდესაც ბიუჯეტის ფორმირება ხდება, უნდა მოისმინონ დარგობრივი მინისტრების პოზიციები და მათი პრობლემები. როგორ შეიძლება, არ მოგისმინოს ფინანსთა სამინისტრომ და არ ჩამოაყალიბოს, რა არის ქვეყანაში პრიორიტეტი?! ასეთ გართულებულ კრიმინოგენულ ვითარებაში არჩევნების ჩატარება შესაძლებელია? მე, მაგალითად, ძალიან მეშინია. ყოველი პარტიული ორგანიზაციის მიღმა შეიარაღებული ფორმირებები ჩანს. გარეთ გამოდიან უმძიმესი დანაშაულის ჩამდენი კრიმინალები, ან გაუხსნელი საქმეები და დაუსჯელები ცოტანი არიან? ასეთ კრიმინოგენულ ვითარებაში არჩევნების ჩატარება დიდი რისკის ტოლფასია.

**- ეს ყველაფერი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და არჩევნების ჩაშლისკენ ხომ არ არის მიმართული?**

- უკვე ვთქვი, რომ ეს იყო არა გაქცევა, არამედ - გაშვება. ნუ მომთხოვთ კონკრეტული პირების დასახელებას, ამის უფლება არ მაქვს. მეჩვენება, რომ ეს ყველაფერი გარედან მართული პროცესებია და გამორიცხული არ არის, ემსახურებოდეს იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში არჩევნები მშვიდ ვითარებაში არ ჩატარდეს.

**- არჩევნებამდე შინაგანი ჯარის მიერ გარე პერიმეტრების დაცვის საკითხი გადაწყდება? შსს-ს ხომ ფული უჭირს და სეკვესტრიც ემუქრება.**

- როგორც ჩემთვის ცნობილია, შსს-ც, უშიშროების სამინისტროც სერიოზულ ფინანსურ კრიზისს განიცდის - ერთი გასაჭირი გვაქვს.

დანაშაულები ხდება, საქმეები აღიძვრება, გამოძიება მიმდინარეობს... 33 ლარიანი გუშაგი პერიმეტრს ვერ იცავს. უცხოეთში არ არის ქვეყანა, სადაც გაქცევის საშიშროება არ არსებობს. ჩვენთან გაქცევებმა საშიში ხასიათი მიიღო, რადგან - უძლურნი ვართ. დასავლეთში ციხეთა სისტემა დაცულია, გუშაგი შეიარაღებულია. აქ გუშაგებად ისეთი დამიანები გვყავს, რომელთაც არანაირი სპეციალური განათლება არ აქვთ - პერიმეტრს ქუჩიდან მოყვანილი ხალხი იცავს. ამას ემატება სასჯელაღსრულების ადგილებში გაუსაძლისი მდგომარეობა. რუსთავის კოლონიებში ადამიანის უფლებების დაცვაზე ფიქრიც კი შეუძლებელია. მათ არ გააჩნიათ გადახურული შენობა, სადაც ღამეს გაათევდნენ. როცა 12 ჰექტარზე 1000 კაცზე მეტია განთავსებული, როგორ გგონიათ, ადვილია იქ წესრიგის დამყარება?!

**- დაუფინანსებლობა საერთო პრობლემაა. გიცდიათ რაიმე სხვა, საკანონმდებლო, ან სამოქალაქო რესურსების ამოქმედება იმისთვის, რომ ციხეში ნორმალური ურთიერთობა დამყარდეს, რომ იქაურობას არ აკონტროლებდნენ კრიმინალები, ე.წ. მაყურებლები?**

- ციხეთა სისტემის რეფორმა ცალკე სასაუბრო თემაა. ჩვენ ეს კონცეფცია შევიმუშავეთ, გვაქვს პრეზიდენტის განკარგულებით დამტკიცებული ხუთწლიანი განვითარების გეგმა და მიგვაჩნია, რომ კოლონიურ სისტემაზე ყოფნა მიუღებელია, არ შეიძლება. შტატების ამ რაოდენობით კონტროლი მოჩვენებითია.

ყველა ქვეყანა ციხის ტიპის რეჟიმზე არის გადასული - დახურულ, ღია და ნახევრადღია ციხეებზე. ჩვენც გვინდა, რომ ამ გზას დავადგეთ. უკვე ნაბიჯებიც გადავდგით - გავაკეთეთ ევროპული სტანდარტების არასრულწლოვანთა და ქალთა დაწესებულება. ფინანსები ჩვენი სპეცსახსრებიდან გამოიძებნა და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა ნულის ტოლია.

**- ქალთა ახლადგახსნილი კოლონია ისეთია, იხუმრეს კიდეც - გარეთ ეს პირობები ჰქონოდათ, დანაშაულს აღარ ჩაიდენდნენო.**

- გეთანხმებით. ქალი პატიმარი ჩვენი ქვეყნის სატკივარია...

**- რეფორმებში თუ არის რაიმე ნათქვამი პატიმართა შორის ურთიერთობების დარეგულირებაზე?**

- ციხეთა სისტემაზე გადასვლა პატიმართა 3-4 კაციან განთავსებას ითვალისწინებს. დამეთანხმებით, რომ ასეთ პირობებში კონტროლის განხორციელება უფრო ეფექტურია, ვიდრე 1 200 კაცთან 20 კონტროლიორის მუშაობა. ახალ სისტემაში ტელეკამერებით ხდება თვალყურის დევნება და დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელთა ერთად თავშეყრის, გარჩევების და სხვა საშუალება მინიმუმამდეა დაყვანილი. ასეთი საპყრობილეები თავად ვნახე - ინგლისშიც, ესტონეთშიც. იქ კრიმინალური ავტორიტეტები არ არსებობენ.

**- გულისხმობს თუ არა რომელიმე პუნქტი ციხის თანამშრომელთა პატიმრებთან ურთიერთობის დარეგულირებას?**

- ახალი ტიპის ციხეთა სისტემაში ესეც ჩადებულია. კონტროლიორებზეც ტელეკამერების საშუალებით ხდება დაკვირვება.

უკანასკნელ პერიოდში გატარებული ღონისძიებების შედეგად ამოვიღეთ არაერთი ცეცხლსასროლი თუ ცივი იარაღი, აკრძალული ნივთი.

**- ერთეული რეიდები საკმარისია?**

- ბოლო 10 წლის განმავლობაში ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების საკნები არ იკეტებოდა. ეს სულ რაღაც ერთი თვეა, დავიწყეთ. შეიძლება მათზე ამგვარი ზეწოლაცაა იმის შედეგი, რომ ბრძოლა გამოგვიცხადეს. ვცდილობთ, ყველა ერთნაირ პირობებში ჩავაყენოთ და ეს ასეც უნდა იყოს.

გერმანიასა და იტალიაში 70-იან წლებში დამყარდა ეს სისტემა. თქმისა მრცხვენია კიდეც, მაგრამ ინგლისში ერთი მსჯავრდებულის შესანახად წელიწადში 23 ათასი ფუნტი სტერლინგია გათვალისწინებული. ჩვენთან ერთი პატიმრის შენახვა 23 ლარი და 50 თეთრი გვიჯდებოდა. პატიმართა რიცხვი შემცირდა და ახლა 28-30 ლარის თანხებში მერყეობს. ეს ცინიზმია, სხვა არაფერი.

ჩეხოსლოვაკიაში ციხის დეპარტამენტის უფროსი პროფესორი ქალია და იქ ისეთი სისტემაა შექმნილი, რომ არ აქვს მნიშვნელობა, კაბინეტში ქალი იჯდება, კაცი, თუ სამღვდელო პირი.

**- სამწუხაროდ, არათუ პატიმრების, არადამნაშავე პენსიონერს მხოლოდ 14 ლარი აქვს...**

- ამგვარი მიდგომა არასწორად მიმაჩნია. თუ ქვეყანაში ხელფასების გაზრდა, პენსიონრებზე ზრუნვა, პოლიტიკისა და იდეოლოგიის განვითარება გვინდა, აუცილებელია სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის - საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა. ეს აკუმულირებულია ციხეთა სისტემაში. მთელი საქართველოს მართლმსაჯულება, საგამოძიებო ორგანოების შრომა ციხეთა სისტემაში იყრის თავს.

**- ბრძანეთ, რომ ციხეებში ევროპული პირობების დამყარებას ცდილობთ. სულ ცოტა ხნის წინ მეხუთე საპყრობილის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად შსს-ს გამოცდილი ოპერმუშაკი დაინიშნა. რამდენად შეძლებს ეს ადამიანი რეფორმირებულ ციხეში ცივილურ მუშაობას?**

- ასე დავსვათ საკითხი - ვინ დავნიშნოთ ციხეთა სისტემაში - ის, ვისაც დამნაშავეთა სამყაროსთან მუშაობის გარკვეული გამოცდილება აქვს, თუ...

**- ხშირ შემთხვევაში, ეს გამოცდილება უარყოფითია.**

- მაქვს ინფორმაცია, რომ ეს არის პროფესიონალი, ოპერატიული მუშაობის მცოდნე ადამიანი...

**- ციხეთა სისტემაში ოპერმუშაკის მენტალიტეტი გამოდგება?**

- ეს თვისებები აუცილებელია. ოპერატიულმა მუშაკმა უნდა იცოდეს, რა ხდება ციხეთა სისტემაში, რათა არ მოხდეს ბუნტი, გაქცევა, დანაშაულები... პატიმრობის შესახებ კანონის მეცხრე მუხლი წაიკითხეთ. ნახავთ, რა ფუნქციები აკისრია ოპერატიულ სამსახურს და დამეთანხმებით, რომ იქ გამოცდილი პიროვნება უნდა იყოს. ამ თანამდებობაზე ოთხი კაცი შევცვალეთ და მათ შორის ძალზე გამოცდილი პროფესიონალებიც. ეს ცვლილებები იქამდე გაგრძელდება, სანამ არ გამოჩნდება პიროვნება, ვისაც მუშაობა შეუძლია.

**- ასეთი ტიპის მუშაკების გამოცდილება ხშირად ძალადობის ელემენტებს, ე.წ. "ნასედკების" გამოყენებას ეყრდნობა. როგორ წაადგება ეს რეფორმას?**

- სოციალური პირობების განვითარების გარდა ციხის რეფორმა კადრების საკითხის გადაწყვეტასაც ითვალისწინებს. მაგრამ, ამის შესაძლებლობა არ არსებობს. ჩვენს კონცეფციაში ამ საკითხს დიდი ადგილი უჭირავს. ფაქტის წინაშე დავდექით - როგორი ძლიერი ციხის უფროსიც უნდა იყოს, პატიმრები თუ მის კაბინეტს გამოანგრევენ და გაიპარებიან, პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. პროფესიონალები, ვინც ანგარებიან ცდომილებას ჩადის, უნდა წავიდნენ.

**- და ვიდრე ასეთი ფინანსური გასაჭირია ქვეყანაში, უკეთესი ცვლილების იმედი არ უნდა გვქონდეს?**

- დიახ, ასე იქნება.

ერთ კორპუსში 300-400 პატიმარია. ამ სამასიდან ნახევარი მძიმე დანაშაულისთვის იხდის სასჯელს. 2-3 კი - კონტროლიორი და უფროსია. როგორ წარმოგიდგენიათ, არ მოექცევიან კრიმინალთა გავლენის ქვეშ? თავიდანვეა ჩადებული ის, რომ დამნაშავეთა სამყაროს გავლენის ქვეშ მოექცნენ და მათი მითითებები შეასრულონ. ამას სოციალური პირობები უწყობს ხელს. მეხუთე საპყრობილე 1836 წელს აშენებული ციხეა. თითოეულ საკანში 20-ს ნაცვლად 70 კაცია. რიგ-რიგობით სძინავთ პატიმრებს. რომელიმე პატიმარი რომ ცუდად გახდეს, ერთი კონტროლიორისთვის 70 კაცში შესვლა სარისკოა. 3-4 კაციან საკანში ეს რისკი მცირდება... ეს ვითარება თუ არ გამოსწორდა, მართლმსაჯულებას აზრი ეკარგება. სასამართლო რეფორმა კარგია, მაგრამ, სისტემაში, სადაც აღსრულება უნდა მოხდეს და რომელსაც, ჩემი აზრით, სასამართლო მასრთლმსაჯულების დასასრული ჰქვია - კრახია.

**- გაგრძელდება თუ არა შს სამინისტროს კადრების გადმოყვანა იუსტიციის სისტემაში?**

- ეს თვითმიზანი არ არის. რატომ ხდება, რომ ციხეთა სისტემაში ყოველთვის მუშაობს გაგდებული გამომძიებელი, ავტოინსპექტორი - ადამიანი, რომელსაც შესაძლებლობები აქვს ამოწურული? ჩვენ დღეს იძულებულნი ვხდებით, რომ ოპერატიული მუშაკები და პოლიციელები მოვიყვანოთ, თუმცა, პოლიციელებშიც არიან ზნეობრივი ადამიანები. ჩვენთვის პრიორიტეტია, ციხეთა სისტემის თანამშრომლები სპაეციალურად მომზადდნენ.

**- გვერდს ვერ ავუვლით თემას თქვენი გადადგომისა და პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის სურვილების შესახებ. იუსტიციის მინისტრის პოსტი წინასაარჩევნოდ ძალზე მიმზიდველად გამოიყურება, იმის გათვალისწინებითაც, რომ ამომრჩეველთა სიებს ეს უწყება ამტკიცებს...**

- გადადგომას არ ვაპირებ. დანარჩენი ჩემთვის უცნობია.

მეც პრესიდან გავიგე ეს ინფორმაცია და არ ვიცი, რამდენად რეალურია. ერთი რამ ვიცი - არავის წინაშე დამნაშავე არ ვარ. რაც კი შესაძლებელი იყო, ყველაფერი გავაკეთე. როგორ შეიძლება, 160 ლარიანი მინისტრის ბედი დამოკიდებული იყოს 33 ლარიანი გუშაგის საქციელზე?!

**- საწინააღმდეგო დინებებს ვერ გრძნობთ? არ გგონიათ, რომ ციხიდან გახშირებული გაქცევები სწორედ თქვენს დისკრედიტაციას ემსახურება?**

- უკვე გითხარით - რაც მოხდა, არ იყო გაქცევა, იყო გაშვება. სხვას ვერაფერს გეტყვით.

რა არ გავაკეთე - ამ კითხვის პასუხს ვერ ვპოულობ. ჩემი, როგორც მინისტრის ძირითადი დრო ციხეების სისტემისადმია მიძღვნილი და ასე არ უნდა იყოს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტი დამოუკიდებელია. გააჩნია თავისი ინფრასტრუქტურა. სახელმწიფოში უნდა არსებობდეს იმის პოლიტიკური ნება, რომ სისტემა ფინანსურად უზრუნველყოფილი იყოს ისე, მინისტრმა კი არა, იმ ხალხმა აგოს პასუხი, ვინც დაუფინანსებლობაში მიიღო მონაწილეობა. ჯერ გადადგნენ ისინი, ვისაც პენიტენციალური სისტემის დაფინანსებაში არ მიუღია მონაწილეობა.

პრეზიდენტის გარდა ვერ ვნახე ადამიანი, ვინც მხარში გვიდგას. სწორედ მან განაცხადა, რომ იუსტიციის მინისტრის საქმიანობა მარტო ციხეების კონტროლი არ არის. აქ არის სფეროები, რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის - 18 დეპარტამენტი, 4 საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ორი საქვეუწყებო დაწესებულება და აფხაზეთისა და აჭარის იუსტიციის სამინისტროები. თუ ვინმეს ჰგონია, რომ მარტომ უნდა ვაგო პასუხი, ძალიან შემცდარა.






# ღვინის შხეფებში მოხტუნავენი

## საიდან გაჩნდა დამიენ ჰირსტი





*დემიენ ჰირსტის ავტოპორტრეტი, ღორები და ანატომია*

ნინო ჟანიშვილი

როგორც ამბობენ, ეს ბიჭი ჩარლზ საათჩიმ აღმოაჩინა. აღმოჩენაში კი ის იგულისხმება, რომ მილიონერმა ბიზნესმენმა ათეულობით ათასი ფუნტ სტერლინგი არ დაიშურა ჰირსტის არტ-პროდუქციის შესაძენად. საათჩის წყალობით ჰირსტთან ერთად სხვა ბრიტანელი მხატვრებიც უცბად გახდნენ პოპულარულები. თუმცა, დღეს დამიენ ჰირსტს, საათჩის სახით მამობილი ნამდვილად აღარ ესაჭიროება, ჰირსტი უკვე ჰირსტია. უძღები "შვილი" იქამდეც მივიდა, რომ ჩარლზ საათჩის თანამედროვე ხელოვნების ბაზრით მანიპულირებაში ადანაშაულებს. არადა 1992 წელს სწორედ საათჩიმ გამოფინა პირველად ჰირსტის ფორმალინში დაკონსერვებული ზვიგენი და ტრეისი ემინის აულაგებელი ლოგინი, რაც ამ მხატვრებისთვის წარმატების და პოპულარობის საწინდარი გახდა.

ბრისტოლში დაბადებული მხატვარი ამჟამად 38 წლისაა და დევონში ორ ვაჟთან და მეგობარ გოგონასთან ერთად ცხოვრობს. 1986-89 წლებში ლონდონის უნივერსიტეტის ოქრომჭედლობის კოლეჯში სწავლობდა. ამ ფაკულტეტზე ჩაბარება იმიტომ გადაწყვიტა, რომ კონკრეტულად არც მოქანდაკე და არც მხატვარი არ გამოსულიყო. პირველი გამოფენა სახელწოდებით Freeze სტუდენტობის დროს მოაწყო.

დღეს მის გამოფენებზე რას არ ნახავს კაცი – გინეკოლოგიურ ინსტრუმენტებს, ცოცხალ თევზებს, მკვდარ ცხოველებს, ათეულობით ვიტრინა-მაცივრებს, ბიოლოგიურ სათამაშოებს, გადაკვეთილ ანატომიურ ფიგურებს. იგი თვლის რომ მის ქმნილებებში მეცნიერება, რელიგია და ხელოვნება თანაბარი დოზითაა წარმოდგენილი.

სიკვდილი ჰირსტის საყვარელი თემაა - ტყუილად კი არ აკონსერვებს ფორმალინში მკვდარ ცხოველებს. მათი ხილვა სხვადასხვაგვარ გრძნობებს აღძრავს მნახველებში. ერთი კი უდავოა - ვიტრინაში გამომწყვდეულ ცხოველებს გულგრილად ნამდვილად ვერ ჩაუვლი. ჰირსტის დევიზია: "გააკეთო ხელოვნება, რომელსაც ყველა დაიჯერებს".

ამჟამად ჰირსტი ახალ პროექტს ამზადებს, რომელიც ლონდონის გალერეა "ვაით კიუბში" შემოდგომაზე იქნება წარმოდგენილი. ეს იქნება ლეონარდო და ვინჩის "საიდუმლო სერობის" ჰირსტისეული ვერსია. ექსპოზიციის ცენტრალური ინსტალაცია იქნება წითელი ღვინის შადრევანი, რომლის კასკადებში ქრისტე და მისი მოციქულები პინკ-პონკის ბურთების სახით იხტუნავებენ. იქვე განთავსდება ფეხების განსაბანი თასი და ექვსფეხა ძროხა. თავიდან ჰირსტს უნდოდა, რომ პინკ-პონკის ბურთებს სისხლში ეხტუნავათ, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა.

ლონდონის გალერეაში ციკლი "წმინდანთა სიკვდილი და ქრისტეს ამაღლება", ჩაფიქრებულია როგორც პატარა პავილიონების მწკრივი. აქ დემონსტრირებული იქნება, თუ როგორ შეხვდნენ სიკვდილს ქრისტე და მისი მოციქულები. ყოველი პავილიონის წინ დამაგრებული იქნება დაკონსერვებული ხარის თავები.

ჰირსტის ახალ პროექტს ბრიტანეთის ყველა წამყვანი გაზეთი გამოეხმაურა. "ფაინენშლ თაიმსმა" აღნიშნა, რომ დამიენ ჰირსტი ახალი თემატიკით მოხდენილად გადაეშვა შუა საუკუნეებში. ყოფილი კათოლიკე აღშფოთებულია კათოლიკური აღზრდის წესით და ეკლესიასთან დაკავშირებულ ცუდ მოგონებებს იხსენებს. "მე ვთვლი, რომ ხალხს ავიწყდება რამდენი სისასტიკე წერია სახარების ფურცლებზე. იოანე იყო ერთადერთი, ვინც თავისი სიკვდილით მოკვდა. ის ზეთში მოხარშეს და მაინც გადარჩა". ამჟამად კათოლიკურ სლოვაკეთში ხელოვნების ბიენალეზე ჰირსტის გამოფენა მიმდინარეობს, რომელზეც მისი ახალი პროექტის ჩანახატებია წარმოდგენილი. ჰირსტმა თავისი გრაფიკა პირველად გამოფინა - "არასდროს მიფიქრია, რომ ჩანახატებიც ხელოვნება იყო".

ექვსი თვის წინ დამიენ ჰირსტმა სმას დაანება თავი. ეს ფაქტი აღნიშვნის ღირსია, რადგან ჰირსტმა თავისი ცნობილი ქმნილებები სწორედ სიმთვრალეში შექმნა.

"როცა აღარ სვამ, ეს ახალი ნარკოტიკია, როცა ალკოჰოლიზმს გაურბიხარ "ვერქაჰოლიკი" ხდები. მაგრამ მე შემიძლია დალევა, შემიძლია ნარკოტიკების მიღება, და ხელოვნების გამოშვება. სმას სამუდამოდ ვერ დავანებებ თავს, მაგრამ როცა თავს ველარ აკონტროლებ, სერიოზული ზომები უნდა მიიღო, თავის გაფუჭება არ მინდა". – განუცხადა "გარდიანს" ჰირსტმა.

დამიენ ჰირსტს ხშირად საშიში აზრები მოსდის ხოლმე თავში: "ერთხელ მინდოდა ღორი ვიბრატორებით დამეფარა და ერთგვარ ზღარბად მექცია. ამის სახელწოდება უნდა ყოფილიყო Pork-u-pine. მადლობა ღმერთს, ეს არ გავაკეთე. სინამდვილეში შეცდომები ყველაზე საინტერესოა".

ჰირსტს სკანდალური და უცნაური პროექტებით არასდროს წაუგია, პირიქით – დამიენ ჰირსტი უზომოდ მდიდარი, პოპულარული და ათასგვარი ბრიტანული თუ საერთაშორისო პრესტიჟული პრემიის მფლობელია. ის არის კაცი, რომელმაც წინასწარ არასდროს არ იცის მომავალში რას გააკეთებს.

# თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალს გენერალური სპონსორი გამოუჩნდა

## "ისთერნ პრომოუშენი" და "საქართველოს ბანკი" წელს სხვა მუსიკალურ პროექტებსაც გეგმავენ

ვერა ნეფარიძე

წელს თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალს "საქართველოს ბანკის" სახით გენერალური სპონსორი გამოუჩნდა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ამ ფესტივალთან თანამშრომლობის სურვილი საბანკო სფეროს წარმომადგენლებმაც გამოთქვეს. ეს კი თანაბრად მეტყველებს როგორც ფესტივალის განვითარებაზე, ისე ქართული საბანკო საქმიანობის წარმატებაზე. გუშინ "შერატონ-მეტეხი პალასში" შოუ-ბიზნესის ახალმა პარტნიორებმა პრესკონფერენცია გამართეს და თქვეს, რომ ჯაზ-ფესტივალი მათი წლევანდელი მუსიკალური პროექტების დასაწყისი იქნება.

"მიგვაჩნია, საერთოდ, საფინანსო ინსტიტუტი არ არსებობს მხოლოდ იმისთვის, რომ საბანკო ოპერაციები აწარმოოს. კარგად ვაცნობიერებთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი მხრიდან სოციალური და კულტურული პროექტების მხარდაჭერა", - თქვა "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილემ ვლადიმერ რობაქიძემ და შეგვპირდა, რომ წლის ბოლომდე ისინი არაერთ საინტერესო მუსიკალურ საღამოს დააფინანსებენ. კონკრეტულად, თუ როგორი სიურპრიზებით აპირებს "ისთერნ პრომოუშენი" და "საქართველოს ბანკი" ქართველი მსმენელის გახარებას, არცერთ მხარეს არ დაუკონკრეტებია. "ვიდრე არ გაფორმდება კონტრაქტი, არსებულ მოლაპარაკებებზე არაფერს ვიტყვით, რადგანაც მოლაპარაკების წარუმატებლობებს რატომღაც შემდეგ ჩვენი საქმიანობის ნეგატიურ მხარედ აცხადებენ ", - თქვა "ისთერნ პრომოუშენის" დირექტორმა მიშა გიორგაძემ. თუმცა, მანვე დაამატა, რომ სადღეისოდ "ისთერნ პრომოუშენს" მზადა აქვს ორი პროექტი და ესენია: ლალო შიფრინის (ამ პროექტის შესახებ რამდენიმე ხნის წინათ "24 საათი" წერდა) კონცერტი და ახალი წლის ტრადიციული ღონისძიება, რომელიც ამჯერად ბრაზილიური ჯგუფის Brazil Connection-ის მონაწილეობით გაიმართება.

გენერალური სპონსორის გარდა, წლევანდელ ჯაზ-ფესტივალს ჰყავს ცალკეული კონცერტებისა თუ ჯგუფების დამფინანსებლებიც. თუკი შარშან "საქცემენტმა" აქაურ მელომანებს ბობ მინცერის ჩამოყვანით დაამახსოვრა თავი, ეს სააქციო საზოგადოება წელსაც ინარჩუნებს არჩეულ გეზს და ისევ ნამდვილი ჯაზის მოყვარულებს გაახარებს მაილს დევისის ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფის, კენი გარეტისა და მისი კვარტეტის კონცერტით. აღსანიშნავია რომ ამერიკელ საქსაფონისტს თბილისში სტუმრობამდე ერთი კვირით ადრე კონცერტი აქვს დაგეგმილი ლონდონში. წლევანდელ ფესტივალზე, შესაძლოა, გასტროლიორთა რაოდენობა არ არის ბევრი - სულ ბრიტანეთიდან და ამერიკიდან სამი ჯგუფი ჩამოდის, მაგრამ მუსიკოსთა ასეთი პალიტრა რაღაცნაირად მაინც დააკმაყოფილებს ჯაზის სხვადასხვა სტილის თაყვანისმცემლებს, რაც "ისთერნ პრომოუშენის" ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ასე, მაგალითად, ვისაც ხარისხიანი, ნამდვილი ინსტრუმენტული ჯაზის მოსმენა სურს, კენი გარეტის კონცერტს დაესწრება ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში; ვინც უფრო ახალგაზრდულ, მხიარულ მუსიკაზე გართობას ანიჭებს უპირატესობას, მათთვის "აჭარა მიუზიკ ჰოლის" სივრცე და იქ "ნესკაფეს" სპონსორობით დაგეგმილი "ინკოგნიტოს" გამოსვლაა ზედგამოჭრილი; ხოლო, ვისთვისაც ვოკალური ჯაზია უფრო სასიამოვნო მოსასმენი და თანაც, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სხვადასხვა პრესტიჟული ჯილდოებით აღიარებულ სახელებს – უკეთეს ვერ ინატრებს, ვიდრე ამერიკული ვოკალური ჯგუფი Take 6-ია. ეს ჯგუფი იმის გარდა, რომ ავტორიტეტული მუსიკალური ჟურნალების "ბილბორდისა" და "დაუნბიტის" რეკომენდირებულ ჯაზ-კოლექტივად არის დასახელებული, Take 6 სხვადასხვა დროს თერთმეტჯერ არის წარდგენილი "გრემის" სხვადასხვა ნომინაციაზე, ყველაზე პრესტიჟული მუსიკალური ჯილდო - გრამოფონი კი ჯგუფმა დღემდე შვიდჯერ მოიპოვა. სხვათა შორის, ამ ჯილდოებით არაერთხელ აღუნიშნავთ ჯგუფის განსაკუთრებული მუშაობა სცენაზე. წლევანდელი ფესტივალის კულმინაციაც სწორედ Take 6-ის კონცერტი იქნება ფილარმონიაში.

# ქართველი ენერგეტიკოსები სანთლის შუქზე პეტრე ბლიოტკინის შედევრებს ეცნობიან

თეონა ჯაფარიძე

*ცნობილი მხატვრის პეტრე ბლიოტკინის ასი წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენათა ციკლი გრძელდება. N გალერეის შემდეგ ტილოები მხატვრის ოჯახის კოლექციიდან გალერეა "ვერნისაჟში" და ბაიას გალერეა "არტ ორიენტში" გამოიფინა. გალერეა "ვერნისაჟი", რომელიც რესპუბლიკის მოედნის მიწისქვეშა კომპლექსში მდებარეობს, გამოფენის გახსნის დღეს ქართული ენერგეტიკის მორიგი სიურპრიზის წყალობით, უშუქოდ დარჩა.*

აბსურდის თეატრის სიუჟეტისთვის "ორიენტში" გამეფებული სიტუაცია, ალბათ, მისწრება იქნებოდა. წარმოიდგინეთ, საგამოფენო დარბაზი, სადაც ისეთი სიბნელეა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტან. დამთვალიერებლები ხმამაღლა სახელების ძახილით ერთმანეთს ეძებენ; სანთლების, სანთებელებისა და ჩვენთვის კარგად ნაცნობი საშუალებების წამიერი გაელვების ფონზე, გალერეის კედლებიდან ბლიოტკინის ცნობილი ნიუები იკვეთებიან და დამთვალიერებელი ულამაზესი სანახაობის მომსწრე ხდება (ისე დასავლური გალერეები მსგავს ე.წ. "ენერგეტიკულ ეფექტს" რომ ფლობდნენ, ალბათ, სანთლის შუქზე გამოფენდნენ რუბენსის, დეგასა და სხვათა შედევრებს).

რაც მთავარია, დამთვალიერებელთა შორის ენერგეტიკოსები ჭარბობდნენ. მხატვრის ვაჟი, სამივე გალერეაში წარმოდგენილი კოლექციის მეპატრონე, პროფესიით ენერგეტიკოსია. ჩვენმა გაზეთმა უკვე შემოგთავაზათ მასთან ინტერვიუ, ცხადია მამის მხატვრობისა და კოლექციის თაობაზე, მაგრამ, ამჯერად ბ-ნ ნიკა ბლიოტკინს (ის "საქენერგორემონტის" ტექნიკური დირექტორის მოადგილეა) პროფესიულ თემაზე მოუხდა ახსნა-განმარტებების მოცემა: "მორიგი დაზიანებაა. "ე-ი-ეს"-ში დავრეკე, ბიჭები გავაფრთხილე, მაგრამ რა ქნან, ვერ ჩართეს", - მეუბნება იგი და "ენგურჰესის" დირექტორზე მიმანიშნებს, რომელიც ფარნით ხელში ბლიოტკინის ერთი ტილოდან მეორეზე გადადის. შემდეგ კი მიხსნის: "ხშირად, ოპერატიულ ვითარებებში მიწევს ყოფნა ენგურზე, ლაჯანურზე, ვარციხესა და ხრამზე. ეს ჩემი ობიექტებია".

"ვერნისაჟის" ექსპოზიციის შესახებ როგორც ბრმას, გალერისტები ზაირა ბელერიძე და ნათელა ნიკოლოვა მესაუბრებიან: "ჩვენ მხოლოდ ნიუ და ნატურმორტი გამოვფინეთ. ნამუშევრები 1925-83 წლებს მოიცავს. სამი ავტოპორტრეტიც წარმოვადგინეთ. ერთ-ერთი 1983 წელს, მხატვრის მიერ სიკვდილის წინაა შექმნილი. ტილოები ექსპოზიციისთვის ისე შევარჩიეთ, რომ ამ ჟანრების ბლიოტკინისეული განვითარების ხაზი დაგვეფიქსირებია. სულ ორმოცი ტილოა", - მეუბნებიან ისინი და სურვილი მიჩნდება მეორე დღესვე შევიარო "ვერნისაჟში". გაცნობებთ, რომ გამოფენა თვის ბოლომდე გასტანს. სხვათა შორის, "ვერნისაჟმა" 2001 წელს პრემია "წლის საუკეთესო გამოფენისათვის" სწორედ ბლიოტკინის აბსტრაქციების წარდგენის გამო მიიღო.

გუშინ შარდენის ქუჩაზე ბაიას გალერეა "არტ ორიენტში" ექსპოზიციას ჯერ კიდევ აწყობდნენ. აქ გამოფენა დღეს გაიხსნება და დამთვალიერებელი მხატვრის 56 ტილოს იხილავს. ჟანრი – აბსტრაქცია და პეიზაჟია. სხვათა შორის, მაისში ამ გალერეაში გამართულ ხელოვნების მესამე დახურულ აუქციონზე პეტრე ბლიოტკინის სამი ნიუ და ერთი ნატურმორტი გაიყიდა. ერთ-ერთი მათგანი - "მატისის მოტივები" აუქციონის კატალოგის გარე ყდას ამშვენებდა. კატალოგზე გამახსენდა: ოფიციალურმა სტრუქტურებმა (კულტურის სამინისტრომ) გვერდი აუარა ცნობილი მხატვრის ასი წლის იუბილეს აღნიშვნას და მიზეზად უფინანსობა დაასახელა. სამივე გამოფენის ხარჯები მხატვრის ოჯახმა და კერძო გალერეებმა გაიღეს. არადა, მაღალი პოლიგრაფიული დონის კატალოგი პეტრე ბლიოტკინის ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით აუცილებელი და სასურველიც იქნებოდა.

# "ვოლკანო" "მარჯანიშვილში"

ნათია ვადაჭკორია




*სპექტაკლზე 16 წლამდე ბავშვები არ დაიშვებიან*

ბრიტანეთის საბჭოს საქართველოში დაფუძნების 10 წლის აღსანიშნავად მისი დირექტორი ჯო ბაკოვსკი და ხელოვნების პროგრამების მენეჯერი ირაკლი ფიცხელაური მრავალ საინტერესო კულტურულ ღონისძიებას გვთავაზობენ, რომელთაგან ერთ-ერთი 13, 14 და 15 ივნისს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ბრიტანული "ვოლკანოს თეატრის" გახმაურებული სპექტაკლის წარმოდგენაა. სპექტაკლი "სიყვარული" შექსპირის სონეტების მიხედვითაა შექმნილი. რეჟისორია ნაიჯელ ჩერნოკი, რომლის დებიუტი ვოლკანოს თეატრთან ერთად სწორედ "სიყვარულია", მოგვიანებით კი მან სპექტაკლი "შეტყობინება" და ბრიტანეთში აღიარებული "მაკბეტი" დადგა.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე "სიყვარულში" მონაწილე სამმა მსახიობმა – პოლ დეივისმა, ჯეიმზ ჰიუვისონმა და ფერნ სმითმა აღნიშნეს, ძალიან საინტერესო იყო სწორედ იმაზე მუშაობა, რაც ადრე არავის არასდროს დაუდგამს. შექსპირის დადგმა თეატრალურ სცენაზე ყოველთვის "რომეო და ჯულიეტასთან", "მაკბეტთან" ან "ჰამლეტთან" არის აღქმული, "სიყვარული" კი არა პიესის, არამედ სონეტების მიხედვითაა შექმნილი.

**"ჩვენ ვანსახიერებთ იმ სონეტებს, რომლებიც სპექტაკლის დასადგმელად არ არის დაწერილი. როდესაც შექსპირი ამ სონეტებს წერდა, მისთვის ეს თვითგამოხატვის საშუალება იყო. მიუხედავად იმისა, რომ შექსპირის სონეტები ტრადიციული ფორმითაა დაწერილი, გრძნობების გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა და ჩვენც გვინდოდა შექსპირის სონეტების თეატრალიზაცია"** - აღნიშნა მსახიობმა პოლ დეივისმა, რომელიც ამავე დროს თეატრის სამხატვრო დირექტორიცაა.

სპექტაკლი პირველად 1992 წელს დაიდგა და 1993 წელს ჟურნალ "თაიმ აუტის" და BBC Wales Arts-ის ჯილდოები დაიმსახურა. "სიყვარული" წარმოდგენილი იქნა "გრეკ ფესტივალზე" ბარსელონაში, ვენის "ფესტხოვენზე" და ბუენოს აირესის თეატრალურ ფესტივალზე. წარმოდგენები აგრეთვე გერმანიაში, ესპანეთში, იტალიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, ნორვეგიაში და ბრაზილიაში გაიმართა. სპექტაკლი ყველა ქვეყნის მაყურებელმა სათანადოდ მიიღო, მხოლოდ ბელფასტის მაყურებელი გამოდგა აგრესიული. ვერ გეტყვით ქართველები როგორ მიიღებენ წარმოდგენას, რომელზეც ჟურნალი "თაიმ აუთი" 1993 წელს წერდა, რომ – "**მთელი წარმოდგენა ერთი დიდი სქესობრივი აქტია და, დაახლოებით, ისეთივე სასიამოვნო, როგორც სექსი".**

საოცარია! - საქართველო ხომ პარადოქსების ქვეყანაა. მაგრამ პრესკონფერენციაზე ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ფრიად "საინტერესო" მოსაზრება გამოთქვა, თითქოს საქართველოს კულტურის სამინისტროს რეკომენდაციით სპექტაკლიდან ზოგიერთი პიკანტური სცენა ქართველი მაყურებლისთვის ამოღებულ იქნა, რაც ბრიტანელების მხრიდან ირონიის საბაბად იქცა. მსახიობებმა აღნიშნეს – "სამწუხაროდ" სპექტაკლი ზუსტად იმგვარად იქნება წარმოდგენილი, როგორც ბრიტანეთში და თუ პირველი წარმოდგენის შემდგომ მაყურებელი აგრესიული გამოდგა, მეორე საღამო უფრო მოკლე იქნებაო... არც ის დადასტურდა, თითქოს ბრიტანელ მსახიობებს და მათ რეჟისორს ქართველი მამაკაცების ჰომოსექსუალისტებად გადაქცევა სურთ (ხუმრობით რასაკვირველია) ან საქართველოსა და მისი ყოფის შესახებ მხოლოდ ბრიტანეთის საბჭო იძლევა ინფორმაციებს, ამისთვის ხომ კომპიუტერზე თითის ერთი დაჭერაა საკმარი. პრესკონფერენციაზე იმ აზრმაც გაიელვა, რატომ მაინცდამაინც "ვოლკანოს თეატრი" აირჩია საქართველოში საგასტროლოდ ბრიტანეთის საბჭომ, ბრიტანეთში ხომ სხვა თეატრებიც არსებობსო. ამის საპასუხოდ იმას მოგახსენებთ, რომ თბილისის წარმოდგენები "ვოლკანოს თეატრის" ამიერკავკასიური გასტროლების ნაწილია, 23 ივნისს თეატრი სომხეთსა და აზერბაიჯანში გაემგზავრება.

თავს მეტად აღარ შეგაწყენთ, უბრალოდ, გამცნობთ, რომ 16 წლამდე პირები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. სპექტაკლის პერიპეტიებს, ისტორიას "ვოლკანოს თეატრის" შესახებ და მსახიობებთან ინტერვიუს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

# "თითქოს მღელვარე ზღვიდან ამომართული..."

## ბერლინის ფილარმონია ლექსო თორაძეს ფეხზე ადგომით ხვდება

მადი სერებრიაკოვა





*ლექსო თორაძე მსოფლიოს მუსიკოსებისა და კრიტიკოსების მიერ უბადლო ვირტუოზადაა აღიარებული*

ბერლინის ფილარმონია და მისი ორკესტრი, რომელიც უდიდესი დირიჟორების ჰერბერტ ფონ კარაიანისა და კლაუდიო აბადოს სახელებს უკავშირდება, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ მუსიკალურ ცენტრად ითვლება. "ბერლინელ ფილარმონიკერთან" ერთად კონცერტის გამართვა კი მხოლოდ იმ რჩეული მუსიკოსების ხვედრია, რომელთა შემოქმედებაც უკვე მსოფლიოს მაღალი ხელოვნების საგანძურის კუთვნილებაა. ამ დღეებში, 6, 7 და 8 ივნისს ბერლინის ფილარმონიაში "ბერლინერ ფილარმონიკერთან" ერთად კონცერტი გამოჩენილმა ქართველმა პიანისტმა ლექსო თორაძემ გამართა. 10 ივნისს კი შედგა სპეციალური კონცერტი განსაკუთრებული საზოგადოებისათვის. კონცერტს ტრიუმფალური წარმატება ხვდა წილად. როგორც გერმანიაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებმა შეგვატყობინეს, დარბაზი ფეხზე ადგომით ესალმებოდა ქართველ პიანისტს – ბერლინის ფილარმონიის მსმენელების მხრიდან ასეთი მიღებით კი მრავალი დიდი ვარსკვლავი ვერ დაიკვეხნის.

80-იან წლებში ამერიკაში ემიგრირებული ქართველი პიანისტი - ლექსო თორაძე მსოფლიოს მუსიკოსებისა და კრიტიკოსების მიერ დიდი რომანტიკული ტრადიციის უბადლო ვირტუოზადაა აღიარებული. პიანისტი, რომელმაც რუსული პიანიზმის ტრადიცია **"განსაკუთრებული ლირიზმითა და შინაგანი აღტკინებით"** გაამდიდრა, საქართველოში 10 წელიწადზე მეტია არ გამოსულა. მიუხედავად ამისა, ამერიკასა და მთელს მსოფლიოში იგი უდიდეს ქართულ საქმეს აკეთებს. როგორც ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორმა და საერთაშორისო "თორაძის საფორტეპიანო სტუდიის" დამფუძნებელმა, მან არაერთი ქართველი პიანისტის აღზარდაში მიიღო მონაწილეობა. მათ შორის, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლაექსანდრე კორსანტია, გიორგი ვაჩნაძე, ქეთი ბადრიძე და სხვები. **"კარგი მაგალითები გადამდებია"** – აღნიშნავს ლექსო თორაძის დედა – ლიანა ასათიანი, რომელიც პიანისტის უდიდეს შრომისმოყვარეობასა და საკუთარი საქმისადმი თავგანწირვას იხსენებს.

მაშინდელი საბჭოთა კავშირიდან ფაქტობრივი გაქცევის შემდეგ (1983 წელს ესპანეთში გასტროლების დროს, თორაძემ ამერიკის საელჩოს მიმართა თავშესაფრის თხოვნით), პიანისტმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაითქვა სახელი. როგორც თავად პიანისტი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, **"მუსიკა ერთგვარი გადაადგილების საშუალებაა, რომელიც საკუთარი თავისა და გარესამყაროს შესწავლაში გვეხმარება... ოდესღაც, როცა საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდი, ეს პირდაპირი მნიშვნელობით გადაადგილების საშუალება იყო, რომ მსოფლიო გენახა"**. დღეს ალექსანდრე თორაძე რეგულარულად ატარებს კონცერტებს მსოფლიოს საუკეთესო ორკესტრებთან ერთად: ამერიკაში - ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერას, ბოსტონის, ჩიკაგოს, კლივლენდის, ფილადელფიას, ლოს ანჯელესის ორკესტრებთან; ევროპაში – კიროვის, ლა სკალას, საფრანგეთის ნაციონალურ, ლონდონისა და ბირმინგემის სიმფონიურ და ფილარმონიულ ორკესტრებთან და ა.შ.

მხოლოდ გასულ და მიმდინარე სეზონზე მან კონცერტები გამართა მილანის ლა სკალაში, რომში, როტერდამში, პეკინში, ვარშავაში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში: ნიუ იორკში (კარნეგი ჰოლი), ჩიკაგოში, ბოსტონში, სან ფრანცისკოში, სიეტლში და სხვა ქალაქებში. ზაფხულის სეზონზე კი პიანისტი პეტერბურგში "თეთრი ღამეების", ჰოლივუდ-ბოულის, სარაგოტას, კონცერტგებაუს, შლეზვიგ-ჰოლშტეინის და მიკელის (ფინეთში) ფესტივალებს შეუერთდება.

მისი შედარებით ბოლო დროის ჩანაწერებიდან ხშირად აღნიშნავენ Angel/EMI-ის მიერ რეალიზებულ მუსორგსკის "სურათებს გამოფენიდან", პროკოფიევის მეშვიდე საფორტეპიანო სონატას, სტრავინსკის სცენებს "პეტრუშკადან", რაველის "სარკეებსა" და "ღამის გასპარს". განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს პროკოფიევის ხუთი კონცერტის ჩანაწერი მარინის თეატრის ორკესტრთან ერთად, ვალერი გერგიევის დირიჟორობით, რომელიც "ფილიპსის" კლასიკური ხაზით გამოვიდა.

ასევე სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა ლექსო თორაძის კონცერტები მისივე სტუდიის სტუდენტებთან ერთად. ცოტა ხნის წინათ, "კოლუმბია არტისტმა", რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან საპროდიუსერო კომპანიად გვევლინება, თორაძის მთელს კლასთან გააფორმა ხელშეკრულება. ამჟამად, ისინი რეგულარულად მართავენ მსოფლიოს გარშემო ცალკეული კომპოზიტორების შემოქმედებით საღამო- კონცერტებს (სკრიაბინის, შოსტაკოვიჩის, პროკოფიევის და სხვ.)

როგორც აღვნიშნეთ, გასულ კვირას ბერლინის ფილარმონიაში ჩატარებულ კონცერტებს იშვიათი წარმატება ხვდა წილად. **"ბოლო ბგერასთან ერთად პიანისტი სკამიდან წამოხტება და ხელებს აღაპყრობს. მუსიკა დამთავრებულიც არ არის, რომ დარბაზი ოვაციებად იღვრება"** – ასე აღწერს გაზეთი "თაგესშპიგელი" ლექსო თორაძის უკანასკნელ გამოსვლას. ქართველი პიანისტისა და "ბერლინერ ფილარმონიკერის" კონცერტზე რახმანინოვის "მკვდართა კუნძული", სტრავინსკის კონცერტი ფორტეპიანოსა და სასულე საკრავებისათვის და პროკოფიევის მეხუთე სიმფონია შესრულდა. გაზეთი ხაზს უსვამს თორაძის მიერ **"უჩვეულო რიტმული კონტურებით, იუმორითა და ელეგანტურობით"** შესრულებულ სტრავინსკის კონცერტს. ამ ნაწარმოებთან მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა პიანისტისეული რახმანინოვის **"თითქოს მღელვარე ზღვიდან ამომართულის"** ინტერპრეტაცია. პრესამ განსაკუთრებით აღნიშნა ახალგაზრდა დირიჟორის ვლადიმირ იუროვსკის გამოსვლაც. თორაძისა და იუროვსკის ტანდემის განხილვისას კი საბოლოოდ ასკვნიან, რომ მათ **"ადგილი აღარ დაუტოვეს რომანტიკულ განცდებს და ჭეშმარიტად ბრწყინვალე მოჩვენებების ცეკვა აჩვენეს მსმენელს"**.

**"არამიწიერი ჰარმონია"** – ასე განაზოგადებს "ბერლინერ ფილარმონიკერისა" და ლექსო თორაძის კონცერტს გაზეთი "ბერლინერ მორგენპოსტი". ხაზს უსვამენ, რომ ამ კონცერტმა რახმანინოვის სრულიად ახლებური დანახვის საშუალება მისცა მსმენელებს. "მკვდართა კუნძული", რომელსაც ოდესღაც მაიაკოვსკი გამოექცა "აუტანელი მელოდიურობის" გამო, თორაძის ინტერპრეტაციით მკვეთრად რიტმულ, არცთუ პირქუშ სურათად იქცა: **"ჯერ ხომ მკვდართა სამეფოში არ ვართ, ჯერ მხოლოდ იქით მივემართებით, ამიტომ ათასობით სუფთა ფერით ინტონირებული სიცოცხლის მუსიკის გაგონება შეგვიძლია"**. დერვიშის ცეკვას შეადარეს ასევე ლექსო თორაძის საკმაოდ უჩვეულო ქცევა სცენაზე და უნებურად ფეხის წვერებით გამოთვლილი მუსიკის რიტმი.

გარდა პროგრამით გათვალისწინებული კონცერტებისა, ლექსო თორაძემ სპეციალური კონცერტი საქართველოს საელჩოს მიერ ორგანიზებულ დამოუკიდებლობის დღის ღონისძიებასაც მიუძღვნა (ტრადიციული 26 მაისის ნაცვლად, ეს კონცერტი 4 ივნისს მოეწყო). უახლოეს მომავალში კი ქართველი პიანისტი კონცერტებს პეტერბურგსა და მოსკოვში გამართავს.

# წიგნის ფესტივალის საპრეზენტაციო ციებ-ცხელება

## მეორე დღე ფილარმონიის ფოიეში

თამარ სუხიშვილი

ერთ რამეს დავაკვირდი, წელს აშკარად უფრო მეტი ხალხი ეწვია წიგნის ფესტივალს. ფილარმონიის ფოიეში (როგორც პირველ, ისე მეორე სართულზე) მარტო იმიტომ არ იყო სივიწროვე, რომ მონაწილეების და, შესაბამისად, სტენდების თუ დახლების რიცხვი გაიზარდა; საგრძნობლად იმატა დამთვალიერებელთა რაოდენობამ (სხვათა შორის, ვიკითხე და სხვებმაც დამიდასტურეს), თუ ადრე წიგნის ფესტივალებზე, ძირითადად, ერთი და იგივე პუბლიკა ტრიალებდა, ახლა ფესტივალის მასშტაბი მარტო გამოცემების სიმრავლის თვალსაზრისით კი არა, მნახველთა რიცხოვნობის თვალსაზრისითაც გაიზარდა. დღეს ვხედავთ ბევრ უცხო სახეს, აქამდე ფესტივალებზე რომ არ ჩანდნენ, ესე იგი (მართალია, გამოკითხვა არავის ჩაუტარებია), შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ქალაქში ნამატია – მკითხველთა ნამატი. გასახარია.

დამთვალიერებელთა წრე-ბრუნვა ფილარმონიის ფოიეში ნამდვილად თავბრუდამხვევია: მოდან, მიდიან, მოდიან, მიდიან, და ეს მისვლა-მოსვლა არ წყდება მანამ, სანამ ქანცგაწყვეტილი, მაგრამ კმაყოფილი წიგნის გამყიდველები თუ გამომცემლები სტენდის ალაგებას არ იწყებენ.

სულსწრაფი წიგნის მოყვარულები (წიგნის ჭიებს რომ ეძახიან) ფილარმონიაში დილის ათი საათიდან მოდიან. ახალგაზრდები ცმუკავენ და მუზასთან ან ფოიეში აბირჟავებენ. მართალია, ამ დროს ისეთი უჩვეულო არაფერი ხდება, მაგრამ თავად ატმოსფეროა უჩვეულო და ძალიან მიმზიდველი. ცარიელი დახლები და თაროები ნელ-ნელა ივსება. დგება საღებავის და ახლად გამშრალი წებოს სუნი. სტენდები ასე თერთმეტი საათისთვის უკვე მზადაა და ელის მნახველსა თუ დამთვალიერებელს.

პრეზენტაციები წიგნის ფესტივალზე დილის თორმეტი საათიდან ან პირველის ნახევრიდან იწყება. დღეს პირველი პრეზენტაცია სწორედ პირველის ნახევარზეა დანიშნული – გამომცემლობა "არტანუჯი" წარმოგვიდგენს "XX საუკუნის ისტორიას", ეს არის სქელტანიანი წიგნი, რომელიც დააინტერესებს როგორც ისტორიკოსებსა და ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებს, ასევე განვლილი საუკუნის მოვლენებით დაინტერესებულ პირებს, ანუ პრინციპში ყველა ჩვენგანს, ეს ისტორია ხომ ჩვენი თანამედროვე ისტორიაა. დღესვე ორის ნახევრიდან მკითხველს "რუსთავი 2 პრინტის" პირველ გამოცემებსაც წარუდგენენ. ეს არის ოთარ ჭილაძის ახალი რომანი "გოდორი"; კრებული "დღეს", რომელშიც შესულია დათო მაღრაძის, გიგი სულაკაურის, რატი ამაღლობელის ლექსები, ლაშა ბუღაძის 'Moralite ანუ რა ესიამოვნა ზაზა კოშკაძეს?" (სხვათა შორის, ეს პიესა უკვე ვიხილეთ თავისუფალი თეატრის სცენაზე ბასა ჯანიკაშვილის და დათო ტურაშვილის პიესებთან ერთად, ლელა ჭინჭარაულის რეჟისურით), აკა მორჩილაძის "ცეცხლისმფრქვეველი", დათო ტურაშვილის მოთხრობები; და ნიკოლოზ რურუას წიგნი "თავისუფლების კანონი". სამივე გამოცემის რედაქტორი მამუკა ხერხეულიძეა.

რაც შეეხება გუშინდელ დღეს, ის რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ გუშინ ფესტივალზე კიდევ ერთი ახალი გამომცემლობა დაიბადა, რომელიც ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი ცნობილი მწერლისა და კრიტიკოსის, ჯანსუღ ღვინჯილიას სახელს ატარებს. ამ გამომცემლობას ჯანსუღ ღვინჯილიას მეუღლე ნანა ახობაძე ჩაუდგა სათავეში. ახლად შექმნილი გამომცემლობის სტენდი ფოიეს პირველ სართულზეა, რომ შეხვალთ - ხელმარცხნივ. აქ შეგიძლიათ შეიძინოთ ჯანსუღ ღვინჯილიას "სული აღმაშენებელი", "კრიტიკული წერილები", "ქართლოსის საფლავი" და სხვა. პრეზენტაციაზე მწერლის მეგობრები და კოლეგები დიდხანს საუბრობდნენ ჯანსუღ ღვინჯილიაზე, არაერთი ეროვნული საქმის ინიციატორსა და დამაგვირგვინებელზე. რა თქმა უნდა, მისი გარდაცვალებაც ოპერის სცენაზე, ჭაბუა ამირეჯიბის საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამოსვლის დროს, ტკივილით გაიხსენეს. ბევრ კეთილ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი და დღეს ის ძალიან გვაკლიაო, - ასე გაიხსენეს მწერალი, რომელსაც პრეზენტაციაზე მიწვეულმა მეუფე დანიელმა ჭეშმარიტი ქართველი შემოქმედის სიმბოლო უწოდა.

გუშინ მეგობრებმა გაიხსენეს დავით ყიფიანიც. გიორგი გორგოძის ახალი წიგნი "დღესასწაულის წადილი" სწორედ გამარჯვების იმ სიხარულზეა, ქართველმა ფეხბურთელებმა რომ მოუტანეს ჩვენს ქვეყანას. წიგნის ავტორმა "დღესასწაულის წადილი" ამერიკელი მწერლის, სელინჯერის სიტყვებით წარადგინა: სიკვდილის შემდეგ ხომ ვერ გადაიყვარებ ადამიანს, მით უმეტეს, ბევრ ცოცხალზე უკეთესი თუაო.

გუშინდელი საპრეზენტაციო ციებ-ცხელების ყურადღების ცენტრში მოექცა გამომცემლობა "ლოგოს პრესის" მიერ დასტამბული ენტონი ბერჯესის "მექანიკური ფორთოხალი", რომანი, რომელსაც გამოქვეყნებისთანავე არ მოუხვეჭია პოპულარობა და მხოლოდ ათიოდე წლის, სტენლი კუბრიკისეული ეკრანიზაციის შემდეგ გახდა პოპულარული. როდესაც ალექს-მაკდოუელის სახემ მსოფლიო კინოთეატრები მოიარა, მხოლოდ მაშინ




*ქალაქში ნამატია მკითხველთა ნამატი*

დაინტერესდა მკითხველი ლიტერატურული პირველწყაროთი. რომანის თარგმანი გია ჭუმბურიძეს ეკუთვნის. ეს თარგმანი უკვე მეორედ გამოიცა, ათწლიანი პაუზის შემდეგ. წინასიტყვაობაში, რომლის ავტორია დავით ზურაბიშვილი, ვკითხულობთ: "ზუსტად 30 წლის წინ, ქრისტეს შობიდან 1962 წელს, ინგლისის წიგნის ბაზარზე გამოჩნდა ჩვენებური გაგებით ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერლის, ენტონი ბერჯესის მომცრო რომანი "მექანიკური ფორთოხალი", ამბავი ერთი მელომანი სადისტისა, რომელიც ძალადობის ინსტინქტის ჩასახშობად გამიზნული, არანაკლებ სადისტური მეცნიერული ექსპერიმენტის მსხვერპლი შეიქნა, მაგრამ შემდგომში, ხელისუფალთა კონიუნქტურული პოლიტიკის წყალობით, კვლავ მიეცა საშუალება პირვანდელ მდგომარეობას დაბრუნებოდა. მოქმედების დრო – შორეული მომავალი, როცა ინგლისში ტოტალიტარული რეჟიმია გამეფებული; ტექსტი – "მოდერნისტული", უხვად გაჯერებული ინგლისურენოვანი მკითხველისათვის მეტად ეგზოტიკური რუსიციზმებით (მინიშნება საბჭოთა ექსპანსიაზე) და კიდევ, ლაიტმოტივი-მეტაფორა: ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია როგორც რომანის მთავარი გმირის, უფრო სწორად ანტიგმირის საქმეთა და საფიქრალთა თანამდევი ფონი."

"მექანიკური ფორთოხალი"-ს ახალი გამოცემა დაახლოებით ერთი თვის წინ გამოჩნდა წიგნის თაროებზე, პირველად ეროვნული ბიბლიოთეკის წინ გამართული გარე ვაჭრობის დღეს. მახსოვს, მაშინ ერთი ჩემი ძველი ნაცნობი შემხვდა – კარგი მკითხველი და ამ წიგნზე მიმითითა: კარგი თარგმანია, აუცილებლად შეიძინეო. გარე ვაჭრობის შემდეგ "მექანიკური ფორთოხალი" ძალიან კარგად იყიდება. "ამ გამოცემამ ბევრი მკითხველი დააინტერესა, განსაკუთრებით – ახალგაზრდები. ამ დიდ ინტერესს თავისი მიზეზი აქვს. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ აქტუალურია ტოტალიტარული სახელმწიფოს უტოპიურობის საკითხი, ჯერ კიდევ არა ვართ ისეთ გარემოში, როცა შეიძლება ამ ყველაფერზე აღარ იფიქრო. ახალგაზრდობა ყველაზე მძაფრად შეიგრძნობს საზოგადოებაში არსებულ ძალადობას," – ამბობს გამომცემელი ლაშა ბერაია.

გუშინ კიდევ ერთი ახალი წიგნი დაიბადა. "თანამედროვე ბერძნული მოთხრობის ანთოლოგია" გამომცემლობა "ლოგოსმა", სულ რაღაც, გუშინწინ გამოიტანა სტამბიდან და პირდაპირ ფილარმონიისკენ გააქანა. ამ წიგნის გარეკანის ორიგინალური დიზაინი ერთი შეხედვისთანავე იქცევს მკითხველის ყურადღებას. წიგნი გამოსაცემად მოამზადეს პროფესორმა სოფიო შამანიდმა და ნინო დვალიძემ. ქართველი მკითხველი (მის ხელთ არსებული ქართული და რუსული თარგმანების საშუალებით) საკმაოდ კარგად იცნობს ძველ ბერძნულ ლიტერატურას, მაგრამ ახალი ბერძნული ლიტერატურის შესახებ მას შედარებით მწირი ინფორმაცია აქვს. ამიტომ ეს გამოცემა ქართული მთარგმენლობითი ლიტერატურისათვის ფასეული შენაძენია. ანთოლოგიაში მოთხრობები ქრონოლოგიურად არის დალაგებული, "მოთხრობების შერჩევისას ჩვენი მიზანი არ ყოფილა საუკეთესო ნაწარმოებთა შეკრება, ჩვენ შევეცადეთ მაქსიმალურად წარმოგვეჩინა ჟანრის განვითარების სპექტრი", - ამბობს სოფიო შამანიდი, რომელსაც ეკუთვნის ანთოლოგიის შესავალი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანებს დართული აქვს კრებულში შესული ბერძენი მწერლების მცირე ბიოგრაფიები. პირველი ავტორი, რომლის ნაწარმოებითაც იხსნება ანთოლოგია, გიორგოს ვიზიინოსია (XIX საუკუნე), კრებულს ასრულებს ჩვენთვის სრულიად უცნობი ახალგაზრდა ბერძენი მწერლის, პანდელის კონდოიანისის მოთხრობა. თანამედროვე (XIX-XX საუკუნის) ბერძნული მოთხრობა რეალისტური, ყოფითი მოთხრობაა. ეს ანთოლოგია დაეხმარება მკითხველს, უკეთ გაეცნოს ჩვენი მეზობელი ხალხის – ბერძნების ცხოვრებას, მათ ისტორიას, ყოფით და ლიტერატურულ ტრადიციებს...

გუშინვე შედგა ტექინფორმის პრეზენტაცია "ბრიტანული და ქართული ბეჭდვითი და ელექტრონული გამოცემები საქმიანი ადამიანებისათვის", დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის პრეზენტაცია და სხვა. მეტს აღარ ჩამოვთვლი, ისედაც სიტყვა გამიგრძელდა.

დანარჩენს თქვენ თვითონ შეიტყობთ, ფილარმონიაში თუ მობრძანდებით. ხომ ნათქვამია, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო. საკმარისია ერთი საათი გაჩერდეთ და ფილარმონიის ატმოსფეროს მაგნიტურ გავლენას საკუთარ თავზე გამოცდით. ერთი საათი რა ამბავიაო, - იკითხავს ვიღაც. თუ დამიჯერებთ, ეს ერთი საათი არც კი გეყოფათ, თუ ყველა სტენდის გულისყურით დათვალიერებას მოისურვებთ.

დღეს არანაკლებ საინტერესო დღე გველის. ფესტივალის საპრეზენტაციო ციებ-ცხელება გრძელდება.

## ინფოთეკა

### "ბარსას" ფანებს ახლა ვიერის ჰპირდებიან

ამდენი უაზრო ბაქიბუქი და ფუჭი დაპირება, ალბათ, არასოდეს მოუსმენია საფეხბურთო ევროპას. 15 ივნისს ბარსელონაში პრეზიდენტის არჩევნებია დაგეგმილი და სამივე კანდიდატი, რომელიც კლუბის ხელმძღვანელის სავარძელს უმიზნებს, ფანტასტიკური ტრანსფერების განხორციელებას ჰპირდება კრიზისში ჩავარდნილი გუნდის მომავლით დაინტერესებულ პირებს.

პრეზიდენტობის კანდიდატებს რომ დავუჯეროთ, მათი არჩევის შემთხვევაში "ბარსაში" მსოფლიოს ყველა გრანდი ითამაშებს. 24 საათიც კი არ გასულა მას შემდეგ, რაც ხუან ლაპორტამ თავმომწონედ განაცხადა, ბექჰემთან გაფორმებული კონტრაქტი უკვე ჯიბეში მიდევს და აბა, თქვენ იცით, ხმა მე მომეცითო, რომ მისმა ყველაზე სახიფათო კონკურენტმა ხაიმე იაურადომ ყველა შოკში ჩააგდო: თუ მე ამირჩევთ, "ბარსაში" კრისტიან ვიერის მოვიყვანო...

ამ განცხადებამ მთელი იტალია გააოგნა. "ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი ვიერის თვალისჩინივით უფრთხილდება, თავისი გუნდის ლიდერად მიიჩნევს და მასთან ერთად ტიტულების მოპოვებაზე ოცნებობს, კატალონიელები კი "სკუადრა აძურას" ფორვარდს ისეთ გუნდში ეპატიჟებიან, რომელიც მომავალ სეზონში, ალბათ, უეფას თასზეც ვერ მოხვდება.

იაურადოს საერთოდ არ აინტერესებს, რა რეაქცია ექნებათ "ინტერის" ხელმძღვანელებს მის სენსაციურ განცხადებაზე. "ბარსას" პრეზიდენტობის კანდიდატი ირწმუნება, რომ მას ამსტერდამის "აიაქსიდან" რუმინელი კრისტიან კივუს გადაბირებაც შეუძლია და "ინტერისთვის" 48 მილიონი ევროს გადახდაც. იაურადო ვიერის ნათელ ფერებში უხატავს ესპანეთის ჩემპიონატს და დარწმუნებულია, რომ იტალიელი ფორვარდისთვის პრიმერა დივიზიონში თამაში ბევრად უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე სერია A-ში.

### რომაული შეხვედრა არ შედგა

ხუთშაბათს "რომას" პრეზიდენტი ფრანკო სენსი თავის კაპიტან ფრანჩესკო ტოტის უნდა შეხვედროდა და საბოლოოდ გაერკვია, რას გადაწყვეტდა ტოტი - წასვლას თუ დარჩენას, მაგრამ ფინეთიდან ახლად დაბრუნებულ ტოტის, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის მორიგ საკვალიფიკაციო მატჩში ფინელებს ჰელსინკში გოლი გაუტანა და იტალიაში მშვენიერ გუნებაზე ჩავიდა, პრეზიდენტისგან მიწვევა არ მიუღია.

ერთხანს ტოტი გაბრაზებული იყო სენსიზე, რატომ ახალ ფეხბურთელებს არ ყიდულობსო და "რომადან" წასვლას აპირებდა, მაგრამ შემდეგ გაბრაზებამ გადაუარა და განაცხადა, რომში ვრჩებიო. სენსი დამშვიდდა და ფეხბურთელთან შეხვედრა საჭიროდ აღარ ჩათვალა. ფინეთიდან დაბრუნებული ტოტი კი მილანში დარჩა, როგორც თავად ამბობს, პირადი საკითხების მოსაგვარებლად.

### კილი გონსალესი გაურკვევლობაშია

რაც ექტორ რაულ კუპერმა "ვალენსია" დატოვა და "ინტერში" წავიდა, მას შემდეგ ოცნებობს მილანურ კლუბში თავისი ძველი ნაცნობის, "ვალენსიას" არგენტინელი ნახევარმცველის, კილი გონსალესის გადაბირებაზე. კილის ესპანელები არაფრით არ უშვებდნენ გუნდიდან, მაგრამ ახლა სიტუაცია ისე ვითარდება, რომ, შესაძლოა, კუპერმა თავისი სურვილი უპრობლემოდ აისრულოს.

"ვალენსიაში" პრეზიდენტის არჩევნებია და, ცოტა არ იყოს, ქაოსური ვითარება შეიქმნა. ზოგიერთმა ფეხბურთელმა არც კი იცის, დატოვებენ კლუბში თუ გაყიდიან. კილი გონსალესიც ასეთ მდგომარეობაშია. მან უკვე მოსთხოვა გუნდის ხელმძღვანელობას, ან კონტრაქტი გამიგრძელეთ, ან გამიშვითო. ჯერჯერობით პასუხი არ მიუღია, მაგრამ კუპერი იმედოვნებს, რომ ახლა მაინც შეძლებს გონსალესის გადაბირებას.

### ბლატერი პრეზიდენტის სავარძელს ვერ ელევა

იმის მიუხედავად, რომ უკვე 66 წლისაა, ზეპ ბლატერი მაინც არ აპირებს პოზიციების დათმობას. შვეიცარიელ ავტორიტეტს ფიფას მართვის უფლება 2006 წელს ეწურება, მაგრამ ბლატერს პრეზიდენტის სავარძლის დათმობა არ სურს. ის აცხადებს, რომ გადაწყვეტილი აქვს, კიდევ ერთხელ იყაროს კენჭი და მესამედ გახდეს ფიფას შეფი ოთხი წლის ვადით. 2010 წელს კი, ბოლოს და ბოლოს, ალბათ, შეელევა თანამდებობას.

ბლატერი არჩევნებში მონაწილეობის სურვილს აუცილებლობით ხსნის და ირწმუნება, ჩემზე კარგად არავინ იცნობს ფიფას პრობლემებსო. "ყველაფერი ძალიან გართულდა. ფიფას უმრავი საზრუნავი აქვს. ზოგიერთი პრობლემა ჩემს გამოც შეიქმნა. ახლა რომ ავდგე და წავიდე, გაქცევა გამოვა. ჯერ ყველაფერი უნდა მოვაწესრიგო", - ამბობს ბლატერი.

შვეიცარიელ ჩინოვნიკს არ სჯერა, რომ მას ვინმე ღირსეულ კონკურენციას გაუწევს. ერთადერთი, ვისაც მისთვის ხელის შეშლა შეუძლია, გერმანელი ფრანც ბეკენბაუერია, მაგრამ ბლატერი დარწმუნებულია, "კაიზერი" არ წამოაყენებს თავის კანდიდატურას ფიფას პრეზიდენტის პოსტზე. "მე მას ველაპარაკე და ვიცი, რომ არ სურს არჩევნებში მონაწილეობა", - მშვიდადაა ბლატერი. ასე რომ, თუ ღირსეული კონკურენტი არ ეყოლება, იქნებ მართლაც გახდეს მესამედ ფიფას პრეზიდენტი...

### სად წავა ლუსიო?

სამარცხვინოა, მსოფლიო ჩემპიონი აუტსაიდერ კლუბში თამაშობდეს. ლევერკუზენის "ბაიერი" ბუნდესლიგიდან გავარდნას კი გადაურჩა და რის ვაი-ვაგლახით მოახერხა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება, მაგრამ უკვე აღარავის სჯერა, რომ "ასპირინები" მომავალ სეზონში კვლავაც ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ და ამიტომ "ბაიერის" ყველა ვარსკვლავი კლუბიდან წასვლას აპირებს.

25 წლის ბრაზილიელი მცველი ლუსიო ერთი იმათგანია, ვის შეძენაზეც არავინ იტყვის უარს - მისი გადაბირება თვით "მანჩესტერს" და "რეალს" სურდათ, ახლა კი ბრაზილიელით "ბარსელონაც" დაინტერესდა. ხმები დადის, კატალონიელებს რადომირ ანტიჩი აღარ მოსწონთ და ახალი მწვრთნელის მიწვევას აპირებენო. გერმანელ ჟურნალისტთა ვარაუდით, "ბარსა" "ბაიერის" ექს-თავკაცის, კლაუს ტოპმიოლერის დასაქმებას აპირებს. ასე რომ, "ბაიერიდან" ერთბაშად ორი კაცი გადავა "ბარსელონაში". თუმცა, ამ ტრანსფერზე ჯერჯერობით ხმამაღლა არ ლაპარაკობენ. "ბაიერის" მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა განაცხადა, ჯერ ესპანეთში სეზონი დამთავრდეს, მერე კი ვნახოთო...

### თავიდან მოშორების ორიგინალური გზა

თუ ადრე ფეხბურთელს ფულს იმაში უხდიდნენ, რომ ამა თუ იმ კლუბში ეთამაშა, ახლა ზოგიერთ გუნდში ისეთი ფინანსური კრიზისია, კლუბის ხელმძღვანელობა სიამოვნებით აძლევს ფულს ფეხბურთელებს, ოღონდ კი ისინი გუნდის დატოვებაზე დაითანხმოს.

ამ გზით "ჰამბურგმა" ორი მოთამაშე მოიშორა თავიდან. გერმანელებმა ჯერ იორგ ალბერტცი გაუშვეს ჩინეთში და 13 მილიონი ევრო გადაუხადეს ამისთვის, შემდეგ კი ავსტრიელ ფორვარდ რიჰარდ კიტცბიხლერს მისცეს 200 000 ევრო, ოღონდ კი კონტრაქტის გაწყვეტაზე დათანხმებულიყო. "ჰამბურგს" უკვე უჭირდა, ავსტრიელი თავდამსხმელისთვის ჯამაგირის სახით 500 000 ევრო ეხადა. კიტცბიხლერს კლუბთან 2005 წლამდე ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული და "ჰამბურგისთვის" დიდი ზარალი იყო. სწორედ ამიტომ ჰამბურგელებმა გუნდიდან მისი გაშვება გადაწყვიტეს.

"ჩვენ არ გვჭირდება ასეთი დიდი რეზერვი. გადაწყვეტილი გვაქვს, კლუბში მხოლოდ 22 ფეხბურთელი დავტოვოთ. მეტი საჭირო არ არის", - განაცხადა "ჰამბურგის" ბოსმა ბერნდ ჰოფმანმა.

### პროსტი საჭეს ყინულზე დაატრიალებს

ფორმულა 1-ის ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონმა ალენ პროსტმა გადაწყვიტა, კვლავაც მიუჯდეს საჭეს. ცნობილმა ფრანგმა მრბოლმა "ტოიოტასთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის მეშვეობითაც ტიტულოვანი მეფორმულე თავს შეიქცევს ყინულზე ასპარეზობათა საფრანგეთის სერიებში - Trophee Andros. ჟურნალ "ავტოსპორტის" ინტერნეტ-გვერდის მეშვეობით ვიგებთ, რომ პროსტი ამ ზამთარს სარბოლო მოდელ Corolla-ს მიუჯდება. 44 წლის პროსტმა ყინულზე რბოლებში პირველად შარშან მოსინჯა საკუთარი ძალები.

### შუმახერების მენეჯერი რალფზე ზრუნავს

ძმები შუმახერების მენეჯერს ვილი ვებერს იმედი აქვს, რომ რალფს "უილიამსში" კიდევ ორი წლით შეუნარჩუნებს ადგილს. რაც შეეხება თავად მრბოლს, მას საჯინიბოსთან მიმდინარე კონტრაქტის ვადა 2004 წელს ეწურება. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მიხაელმა "ფერარისთან" კონტრაქტი 2006 წლამდე გააგრძელა, ვებერს იმედი მიეცა, რომ ანალოგიური კონტრაქტის გაფორმებაში უმცროს შუმახერსაც დაეხმარება.

"ამჟამად მთელი გულისყური რალფისკენ მაქვს მიმართული. იგი უფრო გამდიდრდება, თუ დარჩება და "უილიამსთან" ორწლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს, - გერმანულ სააგენტო SID-თან ინტერვიუში აცხადებს ვებერი. - რა თქმა უნდა, ჩვენ სხვადასხვა შემოთავაზებასაც განვიხილავთ, მაგრამ ჯერჯერობით არც "მერსედესთან" მიწარმოებია მოლაპარაკება და არც "ტოიოტასთან", რადგან დარწმუნებული ვარ, "უილიამსი" მისთვის საუკეთესო არჩევანი იქნება."

### პლატინი მსოფლიო ჩემპიონატებზე სინთეტიკას გამორიცხავს

წლეულს 17 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი ექსპერიმენტის სახით ხელოვნურსაფარიან მინდორზე უნდა ჩატარდეს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფიფას მაღალჩინოსნები შესაბამის მინდვრებს პირველი ნაკრებების მსოფლიო ჩემპიონატებზეც გამოიყენებენ. ფიფას გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია მიშელ პლატინიმ გაახმოვანა.

"ვფიქრობ, ბალახზე თამაში უმჯობესია, თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში ორი-სამი თვე მოედანზე თოვლი დევს და მოთამაშეებსაც სათამაშო არა აქვთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსოფლიო ჩემპიონატებზე ოდესმე სინთეტიკაზეც ვითამაშებთ", - აცხადებს ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

### ჩინელი მასწავლებლის მორიგი ახირება

პეკინის სპორტის უნივერსიტეტის 39 წლის მასწავლებელ ჩზან ცზიანს, რომელსაც მაისში ცინხაის (კუკუნორი) ტბის გადაცურვა სურდა და სიცივისა და ტალღების გამო ხელი შეეშალა, თავისას არ იშლის და იგივეს გაკეთებას აპირებს. უჩვეულო ის არის, რომ ცინხაის ტბა 50 კილომეტრზეა გაშლილი და ზღვის დონიდან 3,2 ათას მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

ყველაზე ამტან ჩინელ მოცურავეს მეორე მცდელობისთვის ამჯერად აგვისტო დაუთქვამს, რადგან ამ დროისთვის წყლის ტემპერატურა 16 გრადუსამდე მატულობს და გაცურვაც, მეტ-ნაკლებად, უფრო იოლია.

"მაისში წყლის ტემპერატურა სულ 4 გრადუსი იყო. მხოლოდ კილომეტრის გაცურვა შევძელი, რადგან სიცივისგან თავი ამტკივდა და იძულებული გავხდი, ცურვა შემეწყვიტა", - აცხადებს ახირებული ჩზან ცზიანი.

რამდენად წარმატებული გამოდგება ჩინელი მოცურავის მეორე მცდელობა, ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. წარმატების შემთხვევაში იგი გახდება პირველი ადამიანი, რომელსაც ცინხაის ტბა ექნება გადაცურული. თუმცა, ჩზან ცზიანს თავისი ადგილი ისტორიაში უკვე დამკვიდრებული აქვს. 2001 წლის ივლისში ცზიანი გახდა პირველი ჩინელი, რომელმაც ლამანში გადაცურა და გინესის რეკორდების წიგნშიც შევიდა. საინტერესოა, რომ ერთი წლით ადრე ჩინელმა მოცურავემ 123-კილომეტრიანი ბოხაის ყურის გადაცურვით ეროვნული რეკორდი დაამყარა.

## EURO 2004

# ცივი წყალი - ოცნებას

კახა ფარუაშვილი


"ლენსდაუნ როუდზე" ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა

დუბლინში ქართველი გულშემატკივრის ოცნებაშეპარულ ოპტიმიზმს ცივი წყალი გადაასხეს და ჩვენც ციდან დედამიწაზე დავეშვით. ცხელ გულზე ნათქვამს იმას დავუმატებდი, რომ ვიდრე საქართველოს ნაკრებს გამოკვეთილი ლიდერი არ ეყოლება, რაიმე განსაკუთრებულ წარმატებაზე თუ ამბიციაზე ლაპარაკი არ ღირს. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დაველოდოთ ამ ლიდერის გამოჩენას და აჟიოტაჟი ამის შემდეგ ავტეხოთ, რომ საკუთარი ახირების მსხვერპლი არ გავხდეთ.

ევროპაში კი, ვისაც ლიდერის პრობლემა მოგვარებული აქვს, ფინალური ეტაპისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს.

რაკი საუბარი საქართველოს ნაკრებით დავიწყეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ შვეიცარიამ საკუთარ კედლებში ალბანეთი დაამარცხა და 12 ქულით ერთპიროვნულ ლიდერობას ინარჩუნებს. შვეიცარიელთა მწვრთნელი იაკობ კუნი უზომოდ გახარებული იყო თავისი გუნდის გამარჯვებით: "რა თქმა უნდა, საწყენია, რომ რუსეთის ნაკრების დამარცხება ვერ შევძელით, მაგრამ, ამის მიუხედავად, პირველ ადგილზე გასვლის რეალურ შანსს ვინარჩუნებთ. ბედნიერი ვარ, რომ ამის თქმის საშუალებას ჩემი გუნდის თამაში მაძლევს", - ამბობს კუნი. კუნი კი ბედნიერია, მაგრამ შვეიცარიელებს ჯგუფიდან გასვლის საქმე ჯერაც მოუგვარებელი აქვთ და თუ რუსეთში წააგებენ, ადვილი შესაძლებელია, ევროპის ჩემპიონატის მიღმა აღმოჩნდნენ.

აი, ჩეხეთს კი ეს პრობლემა ნამდვილად არ შეაწუხებს. სლავებს შესანიშნავი გუნდი ჰყავთ და ჰოლანდიელებთან ერთად პრაქტიკულად გაინაღდეს ჯგუფიდან გასვლის საქმე. ჩვენს გუნდს ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავოს და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირდაპირ მოხვდეს. ამისთვის საჭიროა, არ წავაგოთ ჰოლანდიასთან საკუთარ მოედანზე", - ამბობს პაველ ნედვედი.

ყველაზე უფრო ჩახლართული მდგომარეობა მეექვსე ჯგუფში შეიქმნა. საბერძნეთის ნაკრებმა ესპანელებს უკრაინელებიც მიაყოლა, ორივე კონკურენტი დაამარცხა და პირველი ადგილის დაკავების რეალური პრეტენდენტია. "ორად ორი მატჩი დარჩა ჩასატარებელი და რადგან უშუალო კონკურენტებს აღარ ვეთამაშებით, პირველობის მოპოვება ძალიან რეალური ხდება. მადლობა მინდა ვუძღვნა ესპანელებს. მათ შესანიშნავი საჩუქარი მოგვიძღვნეს", - უკრაინასთან მატჩის შემდეგ განაცხადა საბერძნეთის ნაკრების ფორვარდმა კარაგუნისმა. ესპანეთის ნაკრებმა კი ჩრდილოეთ ირლანდიაში ვერაფერი მოუხერხა ამბიციურ ბრიტანელებს და პირველობა ელინებს დაუთმო. იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინის ნაკრებს ესპანეთში თამაში მოუწევს, უნდა ვივარაუდოთ, რომ უკრაინელებს ძალიან გაუჭირდებათ ჯგუფური ბარიერის დაძლევა.

აზერბაიჯანში ნამდვილი შოუ მოაწყვეს სერბებმა. მათ იმდენი მოახერხეს, რომ დამარცხდნენ და ამით პრაქტიკულად გადაიწურეს ფინალურ ეტაპზე გასვლის იმედი. დეიან სავიჩევიჩის გუნდმა იმდენად უფერული თამაში აჩვენა, რომ, ადვილი შესაძლებელია, თანამდებობა დატოვოს. "ლაპარაკიც არ მინდა, ალბათ, ამ სირცხვილს კარგა ხანს ვერ ჩამოვირეცხავთ", - ამბობს პრედრაგ მიატოვიჩი. ამავე ქვეჯგუფში იტალიის ნაკრებმა დელ პიეროსა და ტოტის ძალისხმევით ჰელსინკში - 2:0 დაამარცხეს ფინელები და, პრაქტიკულად, გაინაღდეს, სულ ცოტა, პლეი-ოფის საგზური.

კიდევ ერთი შოუ მწიფდებოდა ფარერის კუნძულებზე, სადაც მასპინძლები 89 წუთის განმავლობაში უძალიანდებოდნენ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს, გერმანიის ნაკრებს, მაგრამ ბოლოს მაინც გატყდნენ. გერმანელებს კლოზემ და ბობიჩმა მოწმინდეს პირი. 2:0 - გერმანიის ნაკრების სასარგებლოდ.

**მე-2 ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ნორვეგია - რუმინეთი** | | | | | **1:1** | |
| **ლუქსემბურგი - დანია** | | | | | **0:2** | |
| დანია | 6 | 4 | 1 | 1 | 12:6 | 13 |
| ნორვეგია | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 |
| რუმინეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 15:7 | 10 |
| ბოსნია | 5 | 2 | 0 | 3 | 4:7 | 6 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:15 | 0 |

**მე-3 ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩეხეთი - მოლდოვა** | | | | | **5:0** | |
| **ავსტრია - ბელორუსი** | | | | | **5:0** | |
| ჩეხეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 14:1 | 13 |
| ჰოლანდია | 5 | 4 | 1 | 0 | 11:2 | 13 |
| ავსტრია | 6 | 3 | 0 | 3 | 9:8 | 9 |
| მოლდოვა | 6 | 1 | 0 | 5 | 3:13 | 3 |
| ბელორუსი | 6 | 1 | 0 | 5 | 2:15 | 3 |

**მე-4 ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შვედეთი - პოლონეთი** | | | | | **3:0** | |
| **სან-მარინო - უნგრეთი** | | | | | **0:5** | |
| შვედეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 12:2 | 11 |
| უნგრეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:4 | 11 |
| ლატვია | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| პოლონეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:4 | 7 |
| სან-მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 0:25 | 0 |

**მე-5 ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ფარერები - გერმანია** | | | | | **0:2** | |
| **ლიტვა - ისლანდია** | | | | | **0:3** | |
| გერმანია | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| ისლანდია | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 9 |
| შოტლანდია | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| ლიტვა | 6 | 2 | 1 | 3 | 4:9 | 7 |
| ფარერები | 5 | 0 | 1 | 4 | 4:10 | 1 |

**მე-6 ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საბერძნეთი - უკრაინა** | | | | | **1:0** | |
| **ჩრდ. ირლანდია - ესპანეთი** | | | | | **0:0** | |
| საბერძნეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 6:4 | 12 |
| ესპანეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:3 | 11 |
| უკრაინა | 6 | 2 | 3 | 1 | 10:8 | 9 |
| სომხეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | 4 |
| ჩრდ. ირლანდია | 5 | 0 | 2 | 3 | 0:6 | 2 |

**მე-7 ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **თურქეთი - მაკედონია** | | | | | **3:2** | |
| **ინგლისი - სლოვაკეთი** | | | | | **2:1** | |
| თურქეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:5 | 15 |
| ინგლისი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 13 |
| სლოვაკეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 8:8 | 6 |
| მაკედონია | 6 | 1 | 2 | 3 | 9:11 | 5 |
| ლიხტენშტაინი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:15 | 1 |

**მე-8 ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ესტონეთი - ხორვატია** | | | | | **0:1** | |
| **ბელგია - ანდორა** | | | | | **3:0** | |
| ბულგარეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| ხორვატია | 5 | 3 | 1 | 1 | 7:2 | 10 |
| ბელგია | 6 | 3 | 1 | 2 | 7:8 | 10 |
| ესტონეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:2 | 8 |
| ანდორა | 6 | 0 | 0 | 6 | 1:12 | 0 |

**მე-9 ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **აზერბაიჯანი - სერბეთი** | | | | | **2:1** | |
| **ფინეთი - იტალია** | | | | | **0:2** | |
| უელსი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 12 |
| იტალია | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 10 |
| ფინეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:8 | 6 |
| სერბეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| აზერბაიჯანი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:14 | 4 |

**მე-10 ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ირლანდია - საქართველო** | | | | | **2:0** | |
| **შვეიცარია - ალბანეთი** | | | | | **3:2** | |
| შვეიცარია | 6 | 3 | 3 | 0 | 12:7 | 12 |
| ირლანდია | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 10 |
| რუსეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:9 | 7 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:11 | 5 |
| საქართველო | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 4 |

# ბერტი ფოგტსი სექს-სიმბოლო გახდა

ნინო პირველი

რას არ გაიგებს კაცი! აბა, სად გინახავთ ნახევრად თმაგაცვენილი, ნაოჭებით სახედაღარული, სიბერის ზღვარზე მდგომი კაცი მთელ ერს გაელმერთებინოს და სექს-სიმბოლოდ ელიარებინოს? მერედა, რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში საკუთარ მოედანზე მხოლოდ ფრეს მიაღწია და საცოდავი ერთი ქულით დაასრულა ეს ყბადაღებული შეხვედრა? მოდი და ამის შემდეგ შოტლანდიელებს და, საერთოდ, ბრიტანელებს მკაცრი და საკუთარ თავში ჩაკეტილი ერი დაუძახე! ფრედ დასრულებული მატჩის გამო, ალბათ, არც ერთ სამხრეთულ ქვეყანაში ხოტბას არ შეასხამდნენ არც ფეხბურთელს და არც მწვრთნელს. აქ კი თითქმის ყოველი მეორე შოტლანდიელი ეიფორიამ მოიცვა...

ფარერებთან და ლიტვასთან დაკარგული ორი ქულის შემდეგ შოტლანდიაში ისეთი ვითარება იყო შექმნილი, რომ 7 ივნისს გერმანიის ნაკრების კარში გატანილმა ერთმა გოლმა ლამის მთელი ერი გადარია. ამ მატჩის შემდეგ შოტლანდიელთა გერმანელი თავკაცი ბერტი ფოგტსი ეროვნულ გმირად იქცა. წარმოგიდგენიათ, გერმანელები რომ დაემარცხებინათ, რა აღფრთოვანება მოიცავდა შოტლანდიას?

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებთან შეხვედრამდე ბერტი ფოგტსს და მის ნაკრებს, მართლაც, საშინლად ცუდად ჰქონდათ საქმე. ფრე ფარერებთან და ლიტვასთან, წაგება ირლანდიასთან ამხანაგურ მატჩში... ამაზე უარესი რაღა უნდა მომხდარიყო? არავინ იცოდა, როდის უკრავდნენ თავს ჯანდაბაში მთელ გერმანიაზე განაწყენებულ და "გაშოტლანდიელებულ" "მაკბერტის", რომლისთვისაც შოტლანდიის ნაკრების თავკაცის პოსტის ასე სამარცხვინოდ დაკარგვა უდიდესი დარტყმა იქნებოდა - მას ხომ გერმანიაში უკვე აღარავინ აძლევდა სამუშაოს... ფოგტსი დიდ გასაჭირში იყო და აუცილებლად სჭირდებოდა თავისი ყოფილი ნაკრებისთვის ქულებისართმევა. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი შოტლანდიური კარიერა ფიოლერის გუნდის


რა ეტყობა ფოგთს სექს სიმბოლოსი

გლაზგოში სტუმრობას შეეწირებოდა. მატჩის 70-ე წუთამდე "მაკბერტი" სასოწარკვეთილი სახით და მუდარით აღსავსე თვალებით იდგა მოედნის ხაზთან და, ერთიანად ნერვებად ქცეული, წინ წასვლისკენ მოუწოდებდა თავის ფეხბურთელებს. მისი განწირული "comme on" შოტლანდიელებს სიმხნევეს ვერ მატებდა, გერმანელები კი კარგად იცავდნენ თავს მასპინძელთა ქაოსური შეტევებისგან. "მაკბერტის" ექს-შეგირდი რუდი ფიოლერი შედარებით წყნარად იჯდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ისიც გვარიანად ნერვიულობდა - ერთი გოლი ხომ სულაც არ იყო დიდი უპირატესობა. 70-ე წუთზე ფორტუნამ "მაკბერტისთვისაც" მოიცალა და შოტლანდიელებს გოლი გაატანინა. რუდი ფიოლერი დიდხანს ვერ მოვიდა გონს. შოტლანდიელები საკუთარ მოედანზე მარცხს გადაურჩნენ და ისეთი ბედნიერები წავიდნენ გასახდელში, თითქოს, სულ ცოტა, მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში გასულიყვნენ. გახარებული ბერტი ფოგტსი თავის წარბშეკრულ კოლეგასთან მივიდა და გამარჯვებული იერით ჩამოართვა ხელი. "მაკბერტი", მართლაც, გამარჯვებული იყო. მერე რა, რომ შეხვედრა ფრედ დასრულდა. ეს მატჩი ფიოლერმა წააგო და ფოგტსმა მოიგო. ასე მიაჩნიათ შოტლანდიაში და ამავე აზრს იზიარებენ გერმანიაშიც. ბერტი ფოგტსი უცებ ყველას შეუყვარდა, შოტლანდიურმა პრესამ გერმანელის ქება-დიდება დაიწყო. ამდენი ქათინაური "მაკბერტის", ალბათ, მაშინაც არ ღირსებია, როცა გერმანიის ნაკრების ხელმძღვანელი იყო და მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშობდა. ეიფორიამ სიგიჟის ზღვარს მიაღწია: "ფრანც ბეკენბაუერი 57 წლის ასაკში კიდევ ერთხელ გახდა მამა, ბერტი ფოგტსის წყალობით კი მთელი ერი ხელახლა დაიბადა", - წერდა "დეილი მეილი". "ქვეყანამ თავისი ღირსება და სიამაყე ისევ იპოვა, შოტლანდიამ, როგორც იქნა, საკუთარი სახის წარმოჩენა შეძლო" - ზეიმობდა "სანი". "დეილი რეკორდმა" კი საერთოდ ყველას გაუსწრო და ბერტი ფოგტსი შოტლანდიის სექს-სიმბოლოს, უბერებელ პირველ ჯეიმს ბონდს, შონ კონერის შეადარა. გაზეთმა გამოაქვეყნა "მაკბერტის" უცნაურად დამონტაჟებული ფოტო, რომელზეც გერმანელი ნახევრად შიშველია გამოსახული. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ სურათის ნახვის შემდეგ ფოგტსის სექსსიმბოლოობა ვინმემ დაიჯეროს, მაგრამ "მაკბერტისთვის" ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს - მან ხომ გერმანელებს აჯობა! ეს კი მისთვის ყოველგვარ იმიჯზე უფრო მნიშვნელოვანია.

მატჩის შემდეგ "დეილი მეილიმ" ფოგტსს რვიანი დაუწერა ათბალიანი შეფასების სისტემის მიხედვით, ვიცე-ჩემპიონთა ხელმძღვანელს რუდი ფიოლერს კი მხოლოდ ხუთიანი ერგო. ფოგტსის გამარჯვება გერმანიაშიც აღიარეს. "მან მცირე საშუალებებით ბევრს მიაღწია", - თავშეკავებულად აღნიშნა გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გერჰარდ მაიერ-ფორფელდერმა. რა გაეწყობა, ფოგტსი ახლა გამარჯვებულია და ტრიუმფით ტკბება. გერმანელები კი შურისძიებისთვის ემზადებიან. "სექსი ბერტი" და რუდი ფიოლერი 10 სექტემბერს შეხვდებიან დორტმუნდის "ვესტფალენშტადიონზე". ვნახოთ, ამ მატჩის შემდეგ ვის დარჩება "სექს სიმბოლოს" ტიტული.

*რაგბი*

# შვიდკაცამდე ორჯერ შვიდი დარჩა

პაატა თოთაძე

ორი კვირაც და, საქართველო ევროპის შვიდკაცას სერიის ეტაპს უმასპინძლებს. აქამდე ჩვენს ქვეყანას ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირისთვის არ უმასპინძლია. ამიტომაც საქართველოს რაგბის კავშირი ერთიორად მონდომებულია, ტურნირმა უმაღლეს დონეზე ჩაიაროს და ჩატარებული თუ ჩასატარებელი სამუშაოების ნუსხას ბოლო დროს მოხშირებულ პრესკონფერენციებზე წვრილწვრილად აბარებს მედიის წარმომადგენელებს.

ერთი ასეთი პრესკონფერენცია გუშინ გაიმართა კაფე "მსოფლიო სპორტში". როგორც გაირკვა, ტურნირის ჩასატარებლად საჭირო თანხის 70% საქართველოს რაგბის კავშირს უკვე უშოვია. უფრო სწორად, მოუძებნია სპონსორები, რომლებიც რაგბის კავშირს ტურნირის ორგანიზებაში დაეხმარებიან. ესენი არიან "ყაზბეგი", "თოლია", "ფილიპსი", "ჟილეტი", სასტუმროები "სიმპათია" და "მცხეთა პალასი", "რია რია" და ირლანდიური პაბი "ანგარი". რაც შეეხება დანარჩენ 30%-ს, კავშირის ვიცე-პრეზიდენტის, ზაზა ქასაშვილის თქმით, უახლოეს ერთ კვირაში ეს თანხაც გამოინახება. საამისოდ თბილისის მერიასთან და სხვადასხვა



*მარცხნიდან: გია კუბლაშვილი, ზაზა ქასაშვილი და ბიძინა გეგიძე*

კომპანიასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება. ასეთი სახის ტურნირების ორგანიზებაში ევროპაში ქალაქის მუნიციპალიტეტი იღებს მონაწილეობას და, იმედია, თბილისი გამონაკლისი არ იქნება. ერთი სიტყვით, კავშირის ხელმძღვანელები დაგვპირდნენ, რომ ევროპელებთან არ შევრცხვებით და არც იმის თქმის საფუძველს მივცემთ ვინმეს, ეს რა მივქარეთ, თბილისში ტურნირის გამართვა რამ გადაგვაწყვეტინაო.

1998 წელს შექმნილმა საქართველოს შვიდკაცას ნაკრებმა დღემდე 95-მდე მატჩი გამართა და მათგან 70-ზე მეტ შეხვედრაში გაიმარჯვა. ხუთ წელიწადში ასეთი შედეგის მიღწევა დიდი გმირობაა, მით უმეტეს, რომ ბორჯღალოსნები უსახსრობის თუ სხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებენ, ყველა იმ ტურნირში მიიღონ მონაწილეობა, რომელშიც მიწვეულები არიან. არადა, ნაკრების მიერ ნაჩვენები შედეგების მიხედვით და თუ კლოდ სორელის სიტყვებსაც ვენდობით, საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა შეუძლია. ევროპაში ჩვენი გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია. სხვათა შორის, ძალიან კარგი გუნდი ჰყავს რუსეთსაც, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე ერთი საფეხურით გაგვისწრო და მეცხრე ადგილი დაიკავა. საფრანგეთსა და იტალიას კი, მათი სარაგბო დონიდან გამომდინარე, არ შეიძლება, სუსტი გუნდები ჰყავდეთ. ასე რომ, თბილისის შვიდკაცაზე მისული მაყურებელი ნამდვილად არ ინანებს – 28-29 ივნისს "ლოკომოტივის" სტადიონზე ევროპის საუკეთესო გუნდები ტურნირის უმთავრეს ჯილდოს, ქართულ ფარს შეეცილებიან ერთმანეთს.

ნაკრებების თამაშის გარდა, ტურნირზე კლუბებისა და ბავშვთა შეჯიბრებაც გაიმართება. რა თქმა უნდა, მაყურებელს მხოლოდ რაგბის ყურება არ მოუწევს, მათ ქართული ესტრადის წარმომადგენლები გაართობენ. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ვინ იქნებიან ეს წარმომადგენლები, მაგრამ ორგანიზატორები, ალბათ, ისეთებს შეარჩევენ, რაგბის ხასიათს, სპეციფიკას რომ მოუხდება.

*NBA*

# ნიუ-ჯერსიმ ანგარიში გაათანაბრა

**ნიუ-ჯერსი – სან-ანტონიო 77:76**
*(სერიის ანგარიში 2:2)*

უცნაური ხალხია ეს ვარსკვლავები. ხასიათის ადამიანები. თუ გუნებაზე მოვიდნენ, შოუ გარანტირებულია, თუ არადა, უგემური სანახავები არიან. ოღონდ მატჩს ხიბლი და პეწი არ ეკარგება, რადგან ყველა გუნდს საკუთარი ვარსკვლავი ჰყავს და თუ ერთი უფერულად გამოიყურება, მეორე აუცილებლად ბრწყინავს. ამიტომაც არის, რომ ხან ერთი იგებს და ხან - მეორე. ამიტომაც მოხდა, რომ ნიუ-ჯერსიმ სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

ამ საქმის მთავარი დამნაშავე კი "ნეთსის" ლიდერი ჯეისონ კიდია. მან ამ მატჩში 16 ქულა, 8 მოხსნა და 9 გადაცემა განახორციელა, მაგრამ მისი მთავარი დამსახურება ბოლო წუთებში გამოღვიძება იყო. სწორედ ასეთ შეფასებას აძლევენ კიდის თამაშს კალათბურთის სპეციალისტები და მიმომხილველები.

მატჩის ბედი ჯეისონ კიდმა გადაწყვიტა. მან უკანასკნელ წუთებზე გამოიღვიძა და ზუსტი საჯარიმო ტყორცნებით თავისი გუნდი წინ გაიყვანა. ორჯერ მიიღო საჯარიმო ხაზიდან ტყორცნის უფლება და ორივე შემთხვევაში ზუსტი აღმოჩნდა. ამან სან-ანტონიო აიძულა, მეტოქისთვის სამქულიანი ზონიდან შეეტია, რათა ანგარიში გაეთანაბრებინა და თამაში დამატებით დროში გადაეყვანა, მაგრამ არგენტინელი ემანუილ ჯინობი-




*ორი გიგანტი: ტიმ დანკანმა დიკემბე მუტომბოს დაუფარა*

ლის ტყორცნა უზუსტო აღმოჩნდა.

ნიუ-ჯერსის აშკარად გაუმართლა. მეოთხე შეხვედრაში მას წაგების უფლება აღარ ჰქონდა, რადგან სან-ანტონიო - 1:3 დაწინაურდებოდა. NBA-ის ისტორიაში კი არ ყოფილა შემთხვევა, 1:3-ის შემდეგ გუნდს ფინალური სერია მოეგოს. ძნელი სავარაუდო იყო, რომ ამას მოახერხებდა ნიუ-ჯერსი, რომელიც ამ წყვილში ფავორიტად ისედაც არავის მიაჩნდა.

საბოლოოდ "ნეთსმა" საწადელს მიაღწია, მაგრამ ეს უდიდეს ძალისხმევად დაუჯდა. პირველ მეოთხედში სან-ანტონიო მცირე უპირატესობას ფლობდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ "სფურსმა" 12-წუთიანი მონაკვეთი ორი ქულის სხვაობით მოიგო. მეორე მეოთხედში თამაში დიდხანს თანაბარი იყო. ზუსტად იმ დრომდე, ვიდრე ტიმ დანკანმა მესამე პერსონალური შენიშვნა არ მიიღო. "სფურსის" მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი იძულებული გახდა, შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად თავისი ლიდერი მოვლენების ეპიცენტრიდან მოეცილებინა.

დანკანი სათადარიგოთა სკამზე დასვეს და ნიუ-ჯერსიმაც გაილაღა. "ნეთსის" უპირატესობამ 11 ქულას მიაღწია, თუმცა, "სფურსის" მთავარი პრობლემა ის კი არ იყო, რომ ტიმ დანკანი ისვენებდა, არამედ ის, რომ სტუმრები კალათში ბურთს ვეღარ აგდებდნენ. მათი ტყორცნის კოეფიციენტი ძალზე დაბალი იყო და "სფურსის" ეს ჩავარდნა ნიუ-ჯერსიმ შესანიშნავად გამოიყენა.

მესამე მეოთხედის შუაგულში "ნეთსის" უპირატესობამ 15 ქულას მიაღწია. თითქოს უბედურებას არავინ ელოდა, მაგრამ "ნეთსს" დაემართა ის, რაც ცოტა ხნის წინ "სფურსს" აწუხებდა. მას მოულოდნელად ჩავარდნა დაეწყო და 7 წუთის განმავლობაში ვერ შეძლო ბურთის კალათში მოთავსება. ეს მონაკვეთი სან-ანტონიომ 16:0 მოიგო და გამარჯვებულის ვინაობის საკითხი კვლავ მთელი სიმწვავით დადგა.

მატჩის დამთავრებამდე წუთით და 12 წამით ადრე ნიუ-ჯერსი მარტინისა და კიდის ძალისხმევით დაწინაურდა, მაგრამ "სფურსმა" გამოასწორა მდგომარეობა. 9 წამით ადრე კიდმა კვლავ წინ გაიყვანა თავისი გუნდი, მაგრამ გამარჯვებულის ბედი ბოლო წამამდე, ანუ იმ დრომდე, ვიდრე ემანუილ ჯინობილიმ სამქულიანი ტყორცნა არ გააფუჭა, სასწორზე იდო.

*ფორმულა 1*

# "ფერარიმ" ბარიკელო მოისროლა

ნინო პირველი

ერთხელ "ფერარის" ბოსმა ლუკა დი მონტეძემოლომ იტალიელ ჟურნალისტებს ამაყად განუცხადა, ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენთან ვინმე საკუთარ ამბიციებს გუნდის ინტერესებზე წინ აყენებს, ასეთი რამეები "ფერარიში" არასოდეს ხდება, ჩვენ ერთი ოჯახი ვართო. დიდი ხნის განმავლობაში შეფის სიტყვებში არავის ეპარებოდა ეჭვი. "ფერარი", მართლაც, ერთი დიდი იმპერია იყო, სადაც ინდივიდუალურს ყოველთვის ჩრდილავდა საერთო, სადაც ერთი პილოტი მეორეს გამარჯვების მოპოვებაში ეხმარებოდა, სადაც ყველამ იცოდა თავისი ადგილი და ფუნქცია...

ახალ სეზონში სიტუაცია ძირეულად შეიცვალა. "ფერარის" სახელგანთქმულ სამეფო ოჯახში პოზიციების გადანაწილებაა მოსალოდნელი. იტალიურმა საჯინიბომ თითქმის ყველას გაუგრძელა კონტრაქტი 2006 წლამდე: საუკეთესო პილოტ მიხაელ შუმახერს, გუნდის ხელმძღვანელს ჟან ტოდტს, ტექნიკურ დირექტორს მარტინელის... ყველას, ბრაზილიელი რუბენს ბარიკელოს გარდა. 31 წლის სამხრეთამერიკელ პილოტს იტალიელებთან 2004 წლამდე აქვს ხელშეკრულება დადებული. მომავალ წელს მას კონტრაქტი დაუმთავრდება, "ფერარი" კი არც აპირებს "რუბინიოსთვის" ახალი პირობების შეთავაზებას. იტალიელებს ბარიკელო აღარ სჭირდებათ. კაცმა არ იცის, რატომ... ბევრი სპეციალისტის აზრით, რუბენს ბარიკელო მიხაელ შუმახერისთვის იდეალური პარტნიორია. ის არ არის ისე პატივმოყვარე, როგორიც იყო "შუმის" ძველი მეწყვილე ირვინი, რომელიც მუდამ გერმანელის წინააღმდეგ იბრძოდა და გამწარებული გაიძახოდა, არ მსურს,



*რას იზამს ბარიკელო*

შუმახერის მარიონეტი ვიყოო. ბარიკელო არც იმდენად სწრაფია, რომ შუმახერს გაუსწროს და მას ქულების მოპოვებაში ხელი შეუშალოს. ბრაზილიელი არც განსაკუთრებული სიჯიუტით გამოირჩევა და არც პრინციპულობით - ყოველთვის ემორჩილება გუნდის ხელმძღვანელობის მოთხოვნებს და მაშინაც კი წინ უშვებს შუმახერს, როცა თავად აქვს რბოლის მოგების შანსი. ალბათ, ყველას კარგად გახსოვთ შარშანდელი ავსტრიის გრან-პრი, რომელიც სკანდალურად დასრულდა სწორედ იმის გამო, რომ ბარიკელომ "ფერარის" ინტერესები უფრო მაღლა დააყენა, ვიდრე საკუთარი პატივმოყვარეობა და შუმახერს რბოლის მოგების შანსი მისცა. მოკლედ, "რუბინიოს" ჩემპიონის სული ნამდვილად არა აქვს. არ არის ამბიციური და უეჭველად გამარჯვებისთვის არ იბრძვის. იმ სამწელიწადნახევრის განმავლობაში, რაც მან "შუმისთან" ერთად გაატარა, შესანიშნავად აითვისა "ფერარის" საბრძოლო ტაქტიკა, რომელიც მუდამ შუმახერისთვის ხელის შეწყობას ითვალისწინებდა. აქამდე "რუბინიოს" არაფერი შეშლია, ის და "შუმი" მშვენივრად ეწყობოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ახლა "ფერარის" ბარიკელო უკვე აღარ სჭირდება. იქნებ სწორედ ეს უმოტივაციობა და მორჩილება გახდა "რუბინიოს" გაწირვის მიზეზი? არავინ იცის...

მიხაელ შუმახერის პირველობა ყოველთვის მსხვერპლს მოითხოვდა. არ შეიძლება, ერთ საჯინიბოში ორი პოტენციური ჩემპიონი იყოს და ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ გამარჯვებისთვის. ეს გუნდის ინტერესებზე, რა თქმა უნდა, საზიანოდ იმოქმედებს. სწორედ ამიტომ, შუმახერს ყოველთვის ისეთ პარტნიორებს ურჩევდნენ, რომლებიც საკუთარი ნებით იტყოდნენ უარს დიდებაზე და გერმანელ პილოტს მაქსიმალურად შეუწყობდნენ ხელს რბოლის მოგებაში. ასეთი მეწყვილეები "შუმის" ჯერ კიდევ "ბენეტონში" ჰყავდა: ბრანდლი, პეტერსი, ლეტო, ჰერბერტი... ყველა ეს პილოტი მუდამ შუმახერის უკან რჩებოდა და გუნდის უპირობო ლიდერის გამარჯვებაზე ზრუნავდა. ირვინის შემდეგ "ფერარიში" ეს ფუნქცია დაკისრებული ჰქონდა ბარიკელოს, რომელიც თავის მოვალეობას კარგად ართმევდა თავს მანამ, სანამ "ფერარიმ" ტაქტიკის შეცვლა არ გადაწყვიტა.

სხვათა შორის, ეს "მარად მეორე" პილოტები, რომლებიც ყოველთვის შუმახერის ჩრდილში რჩებოდნენ, თავიანთი თავგანწირვისთვის საკმაოდ დიდ ანაზღაურებას იღებდნენ. 1996-99 წლებში ირვინს ყოველწლიურად 8 მილიონ დოლარს უხდიდნენ "მორალური კომპენსაციის" სახით. ბარიკელოს წელიწადში ათი მილიონი ჰქონდა, სანამ მას "ფერარი" "პენსიაში" გაუშვებდა...

ჯერჯერობით არავინ იცის, რა მოელის ბარიკელოს კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ. ჩვენ მის ბედზე მაშინ ვიმსჯელებთ, როცა ხელშეკრულება დაუმთავრდებაო, - თქვა ლუკა დი მონტეძემოლომ და ამით ყველას აგრძნობინა, რომ "რუბინიოს" თემას ამოწურულად თვლიდა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ბარიკელოს ადგილს დაიკავებს მისი თანამემამულე ფელიპე მასა, რომელიც ამჟამად "ფერარის" ტესტ-პილოტია. 22 წლის მასას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ზოგიერთის აზრით, 2006 წლის მერე, როცა შუმახერსაც ამოეწურება კონტრაქტი და, ალბათ, დატოვებს კიდეც "ფერარის", მასა იტალიური საჯინიბოს პირველი პილოტი გახდება და "შუმის" მემკვიდრედ იქცევა. აი, ასეთი სამომავლო გეგმები აქვს "ფერარის".

*ფოლიანტი*

მიხეილ როჩიკაშვილი

## პირისპირ ლე მანთან

ლე მანის 24-საათიანი რბოლა ავტოსპორტულ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია და, ბუნებრივია, მასში მონაწილეობის მსურველნი რბოლიდან რბოლამდე არ წყვეტენ მზადებას, რათა მათი სახელები სამუდამოდ დამკვიდრდეს ავტოსპორტის ისტორიაში.

ისევე როგორც მონაკოსა და ინდიანაპოლისში, ლე მანის 24-საათიან მარათონში გამარჯვებაც დიდად საპატიოდ ითვლება. ერთადერთი ადამიანი, რომელმაც თავის კარიერაში სამივე ამ რბოლის მოგება შეძლო, ინგლისელი გრემ ჰილია. მიზანთან ახლოს იყო ამერიკელი მარიო ანდრეტი, მაგრამ მრავალი მცდელობის მიუხედავად, მას სწორედ სარტეს (პარიზიდან სამხრეთით, ას მილზე მდებარეობს) ავტოდრომი არ დანებდა.

დღეს ლე მანში მონაწილე გუნდები რბოლის დასრულებისთანავე იწყებენ მზადებას მომავალი წლის სტარტისთვის. ხდება ტექნიკის გადახალისება, არჩევენ ეკიპაჟის წევრებს, აგვარებენ უამრავ საორგანიზაციო საკითხს. გამორიცხულია, რომ ეკიპაჟში, სულ ცოტა, ორი წევრი მაინც არ ირიცხებოდეს და ყოველ მათგანს საჭესთან ყოფნის მინიმალური დრო აქვს "გამოწერილი". არადა, იყო დრო, როცა პილოტები ეულად ცდილობდნენ რბოლის დასრულებას. სხვა საკითხია, რამდენად გამოსდიოდათ მათ ეს...

1935 წელს ფრანგმა რაიმონ სომერმა, იმის გამო, რომ მეწყვილე ავად გაუხდა, მარტოდმარტომ სცადა ფინიშამდე მიღწევა. კარგა ხანს ლიდერობდა კიდეც რბოლას, მაგრამ დილისთვის მის მანქანას საწვავის სისტემა დაუზიანდა და გულადმა პილოტმა ასპარეზობა ნაადრევად დაასრულა.

სომერს ლე მანი მანამდე ორჯერ ჰქონდა მოგებული სახელოვან ტაციო ნუვოლარისთან და ლუიჯი ჩინეტისთან ერთად. ამასთან, 1932 წელს, როცა მისი მეწყვილე ჩინეტი იყო, საჭესთან 20 საათი სომერმა გაატარა. ლე მანზე მარტო გამოსვლაში რეკორდსმენი კი ფრანგი ლუი როზიეა, რომელმაც 1950 წელს თავის ძმასთან, ჟან-ლუი როზიესთან ერთად მოიგო ლე მანი. ლუიმ საჭესთან 23 საათი და 40 წუთი დაყო...

სწორედ როზიეს მაგალითზე მოინდომა კიდევ ერთმა ფრანგმა, ვეტერანმა პიერ ლევეგმა (ლევეგი მისი ფსევდონიმია, ნამდვილი სახელი კი პიერ ეჟენ ალფრედ ბუალონია) ლე მანის ეულად დაპყრობა და 1952 წლის რბოლის განაცხადში "ტალბო ლაგოს" პილოტად მხოლოდ თვითონ ჩაეწერა.

უნდა ითქვას, რომ ლევეგმა თითქმის მიაღწია საწადელს - თავიდანვე დაწინაურდა და ფინიშამდე ერთი საათით ადრე დამაჯერებლადაც ლიდერობდა. უახლოესი მდევრები მას სამი წრით ჩამორჩებოდნენ. სანუკვარი



*რაიმონდ სომერი*

გამარჯვება თითქოს არც ისე შორს იყო, მაგრამ სწორედ ამ დროს იჩინა თავი დაღლილობამ.

მზის ამოსვლიდან მოყოლებული, პიერი სულ უფრო მეტ შეცდომას უშვებდა, რის გამოც რამდენჯერმე მისი "ტალბო ლაგოს" ოთხივე ბორბალი გზის სავალი ნაწილის მიღმა აღმოჩნდა. ფინიშამდე 50 წუთით ადრე, თითქმის მძინარე ლევეგმა დასანანი შეცდომა დაუშვა: მოსახვევიდან გამოსვლისას, მესამე გადაცემის ნაცვლად გადაცემათა კოლოფი პირველზე გადაიყვანა, რაზეც მისი ბოლიდის ძრავამ გამგმირავი ხმით ერთი ამოიოხრა და იქვე დადუმდა.

სასწაული არ მოხდა, გამარჯვება სხვას (ჰერმან ლანგი და ფრიც რისი გერმანიიდან, რომლებიც "მერსედეს-ბენცის" საჭეს უსხდნენ) დარჩა, მაგრამ ლევეგმა შედეგად ის მოიმკა, რომ მისი თავდადება შეუმჩნეველი არ დარჩათ მსაჯებს, რომლებმაც მომდევნო წლიდან პილოტებს საჭესთან ზედიზედ 18 საათის გატარება აუკრძალეს.

რაც მთავარია, ლევეგის თავგანწირვით აღფრთოვანებული დარჩა "მერსედეს-ბენცის" საქარხნო გუნდის შეფი ალფრედ ნოიბაუერი, რომელმაც ვეტერანი ფრანგი "სამქიმიანთა" ძლიერ გუნდში მიიწვია, სადაც იმ წლებში ასპარეზობდნენ ისეთი სახელოვანი პილოტები, როგორებიც იყვნენ არგენტინელი ხუან მანუელ ფანხიო და ინგლისელი სტირლინგ მოსი. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ "მერსედესის" გუნდში გამოსვლა ლევეგს სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა, მისი ავარია კი 1955 წლის 11 ივნისს 84 ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავდა.

*TV-პროგრამა*

## პარასკევი. 13 ივნისი

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 რუსეთის ჩემპიონატი. "ტორპედო-მეტალურგი" – "ტორპედო"
14:55 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
15:55 ევრო-2004. ნორვეგია - რუმინეთი
17:35 ევრო-2004. თურქეთი - მაკედონია
19:15 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:35 ევრო-2004. ჩრდილო ირლანდია - ესპანეთი
21:20 "პოსტსკრიპტუმი"
21:50 "გაიტანე!"
22:05 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
22:35 განვლილი სეზონის გახსენება. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ევერტონი"
00:20 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98/99 სეზონი. "ბავარია" - "მანჩესტერ იუნაიტედი"

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:15, 16:30, 19:45, 22:00 "პრეს-ცენტრი"
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 გოლფი. "US Open". დღე პირველი
13:45 საკალათბურთო მიმოხილვა. NBA
14:30 ისტორია. რუსეთის ჩემპიონატები ჰოკეიში. 1996/97 სეზონი
15:30 ცხენოსნობა. რუსეთის თასი
16:45 ფიგურული სრიალი.
20:00 "ჩქაროსნული სამყარო"
20:30 წყალში ხტომა. რუსეთის ჩემპიონატი
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 "ნადირობის სეზონი"
22:55 წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 "სპორტული გლობუსი"
00:25 წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:30 ახალი ამბები
01:45 ტაილანდური კრივი

**EUROSPORT**
11:30 მაუნთინბაიკი. მსოფლიო თასი
12:00 მაუნთინბაიკი. მსოფლიო თასი
12:30 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
13:30 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
14:30 ფეხბურთი. ევრო-2004
15:30 მძლეოსნობა. სუპერ გრან-პრი IAAF
17:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი. დიდი ბრიტანეთი
20:00 ფეხბურთი. ევრო-2004
21:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
22:45 ახალი ამბები
23:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
00:45 ფორმულა 1
01:15 ავტორბოლა
02:15 რალი-რეიდი. მსოფლიო თასი
02:45 ახალი ამბები
03:00 რალი
04:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებში
04:30 მოტოსპორტი

# მრავალი წლის განმავლობაში საქართველო ჩემი სატრფო იყო

## დონ კრისტოფორო დე კასტელი


ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I ესაუბრება დე კასტელის (კასტელის ალბომიდან)

ქეთი ჩხატარაიშვილი

**კასტელი, დონ კრისტოფორო დე** – იტალიელი კათოლიკე მისიონერი, თეატინელთა ორდენის წევრი, ცნობილი მხატვარი (1597 პალერმო –1659 წწ.).

1631 წ. „პროპაგანდა ფიდეს" მიერ მისიონერთა ჯგუფთან ერთად გამოიგზავნა საქართველოში სამისიონერო საქმიანობისათვის და საქართველოზე ცნობების შესაკრებად. 1632 წელს თურქეთის გზით მოვიდა გორში, საიდანაც 1634 წ. ბერ ანტონიო ჯარდინასთან ერთად გადავიდა გურიაში. 1639 წლიდან მოღვაწეობდა სამეგრელოს სამთავროში, სადაც ეწეოდა კათოლიკობის ქადაგებას და სამედიცინო-საგანმანათლებლო საქმიანობას, ქმნიდა ჩანახატებისა და პორტრეტების სერიას. 1654 წ. დაბრუნდა იტალიაში.

საქართველოში ხანგრძლივად ყოფნის შედეგად კ. კასტელიმ მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დატოვა: 1. ვრცელი რელაცია (მოხსენება) პოლიტიკური ვითარების შესახებ XVII ს. პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოში. ამ რელაციაში აღწერილია დასავლეთ საქართველოს საშინაო ცხოვრება, საგარეო ურთიერთობანი, შინაომები, აფხაზთა შემოსევები, სამეგრელოს სამთავროს გეოგრაფია, მეურნეობა, საეკლესიო ორგანიზაცია, ყოფა და სხვ. 2. ვრცელი ალბომი (500-ზე მეტი ჩანახატი), რომელშიც ასახულია დასახლებული პუნქტები, ციხე-სიმაგრეები, ყოფითი დეტალები, მეურნეობის დარგები, ბაზრობები და სხვა, მოცემულია მდიდარი გალერეა საქართველოსა და მეზობელ მხარეთა კათოლიკური მოღვაწეების პორტრეტებისა (ქართლის, კახეთისა და იმერეთის მეფეები, ოდიშისა და გურიის მთავრები, აფხაზეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის მხარეთა გამგებლები, კათოლიკოსები, გიორგი სააკაძე, ათაბაგი და ა.შ.). ამ ჩანახატების უმეტესობას ახლავს ვრცელი მინაწერები, რომლებიც უნიკალურ ცნობებს შეიცავენ ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებისა და მოსახლეობის შესახებ. ჩანახატების ერთი ნაწილი დაიღუპა კასტელის საქართველოდან დაბრუნების დროს (ზღვაში გადაუვარდა). კრ. კასტელის ალბომი დაცულია სიცილიაზე, ქ. პალერმოს კომუნალურ ბიბლიოთეკაში. კასტელის ჩანახატები ქართულ საზოგადოებას გააცნო მ. თამარაშვილმა, რომელმაც გადაიღო და საქართველოში ჩამოიტანა მათი რეპროდუქციების მნიშვნელოვანი ნაწილი. კრ. კასტელის ჩანახატები თავიანთ ნაშრომებში ილუსტრაციებად გამოიყენეს დ. ლენგმა, უ. ალენმა და მ. თამარაშვილმა. 1977 წელს კრ. კასტელის რელაცია და ალბომი (ბ. გიორგაძის თარგმანი მისივე კომენტარებით) გამოსცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ.

კრისტოფორო კასტელის ალბომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია სამეგრელოს სამთავროს რუკა („რუკა (გამოსახულება) მთელი კოლხეთისა, რომელსაც ახლა სამეგრელო ეწოდება, კორაქსიდან (კოდორიდან) ფაზისამდე (რიონამდე"). რუკაზე გამოსახულია სამეგრელოს მდინარეთა ქსელი, მთები, დასახლებული პუნქტები, საეპარქიო ცენტრები და ეკლესია-მონასტრები, ბაზრობები... რუკაზე გამოსახულია აგრეთვე ე.წ. კელასურის კედელი და მითითებულია, რომ იგი აგებულია (სამეგრელოს მთავრის მიერ, სამეგრელოზე) „აფხაზთა შემოსევების შესაკავებლად".


წმ. გიორგის სახელობის ეკლესია სვანეთში (კასტელის ალბომიდან)

# საქართველოს დიდებული მბრძანებელი ქალის შესახებ


პაპი ურბანო VIII საქართველოში სამისიონერო მოღვაწეობისათვის დე კასტელის გზას ულოცავს (კასტელის ალბომიდან)

დონ კრისტოფორო დე კასტელი

როდესაც აღმოსავლეთში ვიმყოფებოდი, იქ იყო ცნობილი დიდებული ქალბატონი, თვითმპყრობელი და სასოებიანი თეიმურაზ მეფის დედა, ქართულად ქეთევანად წოდებული, რომელიც მაცნედ, მაუწყებლად იყო გაგზავნილი თავის ქვეყნიდან შაჰ-აბასად წოდებულ სპარსეთის ხელმწიფესთან, რათა მასთან ეწარმოებინა საურთიერთო, სამშვიდობო მოლაპარაკება. როდესაც ის შორეულ ქვეყანაში ჩავიდა და ყველაფერი გაუმჟღავნა შაჰს, მისმა კეთილშობილებამ, სილამაზემ და მჭერმეტყველებამ შაჰი მოხიბლა და სიყვარულმა შეიპყრო. მისი კდემამოსილების [დასაუფლებლად] მან სხვადასხვა საშუალებანი სცადა. რადგან უბადლო ქალი იყო, ამიტომ მან უარჰყო მისი [მცდელობა]. ამის გამო განრისხებულმა ხელმწიფემ შირაზის სამეფო ციხეში ჩააგდო იგი, სადაც სხვადასხვა ხერხით იერიში მიჰქონდა მასზე. ასევე სარწმუნოების საკითხშიც შეეცადნენ [მისთვის აზრი შეეცვლევინებინათ]. ქეთევანის ახლობელნი იქიდან უკან გაიწვიეს. სარწმუნოების მსასოებელ წინადადებასა და უმანკოებაზე იგი ყოველთვის ურყევად ჰქადაგებდა ქრისტეს რწმენას, რაც ოდნავადაც არ მოქმედებდა მის მოწინააღმდეგეებზე. მრავალი მცდელობის მიუხედავად, საშინელმა ხელმწიფემ შემარცხვენელი ბრძანება გასცა, სასწრაფოდ გაეგზავნათ სასტიკი ჯალათი ყოლუმში. ავგუსტინელმა პატრებმა, რომელნიც იმ დროს იქ იყვნენ და ქრისტეს წმინდა სახელი შეჰქონდათ იმ ქვეყნის ხალხში, მომითხრეს ამბავი ქეთევანის ტანჯვისა დასაწყისიდან მის უკანასკნელ სიცოცხლემდე. ამ პატრებმა დახატეს მისი სურათი: ზემოთქმული წამებულის სურათი მათ ჰქონდათ თავიანთ ტაძარში. რამდენიმე ხნის შემდეგ მათ მოსთხოვეს ცხედარი თაყვანისსაცემად. შემდეგ ის გადმოასვენეს საქართველოში და გადასცეს მის შვილს თეიმურაზს. ასეთი უძვირფასესი ღვაწლის გამო ბერებმა მოიპოვეს უფლება მის სამეფოში შემოსვლა-დამკვიდრებისა.

ურბანო მერვე თეიმურაზისადმი [გაგზავნილ წერილში] აცხადებდა; როდესაც უმაღლესმა მღვდელმთავარმა ურბანო მერვემ გაიგო თეიმურაზ მეფის დედის წამების ამბავი, საქართველოს მეფე თეიმურაზს მისწერა წერილი: თავი უნდა ინუგეშო შენ, რომ დედაშენმა დიდად გაიმარჯვა სპარსეთის ხელმწიფის ტირანიაზე იმით, რომ თავისი უბიწოება და კდემამოსილება შეინარჩუნაო.


პაპი ურბანო VIII საქართველოში სამისიონერო მოღვაწეობისათვის დე კასტელის სიგელს უბოძებს (კასტელის ალბომიდან)

# ანდრეას გრიფიუსი

მანანა პაიჭაძე

**ანდრეას გრიფიუსი** (1616, 2.X. ქ. გლოგაუ (სილეზია)-1664, 16.VII. იქვე) XVII საუკუნის ბაროკოს პერიოდის გერმანული ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია. ანდრეას გრიფიუსი პროტესტანტი მღვდლის შვილი იყო. 30-წლიანმა ომმა დიდი დაღი დაასვა ა. გრიფიუსის ცხოვრებასა და შემოქმედებას. 1621 წლიდან სწავლობდა გლოგაუს ევანგელიურ გიმნაზიაში, რომელიც 1628 წელს ვენის რეკათოლიცირების პოლიტიკის შედეგად დაიხურა. ა. გრიფიუსმა მხოლოდ 1632 წელს შეძლო სწავლის გაგრძელება ფრაფშტადტის გიმნაზიაში. 1634-1636 წლებში ა. გრიფიუსი დანციგში გადადის საცხოვრებლად, 1636-1638 წლებში ის იმხანად ცნობილი სამართალმცოდნის გეორგფ შენბორნერის (ფრაუშტადტის მახლობლად) მამულში ცხოვრობს და მისი შვილების გუვერნიორია. დანციგში ა. გრიფიუსი აკადემიურ გიმნაზიაში სწავლობს, სადაც ის ეცნობა უახლეს გერმანულ ლიტერატურას. პირველი ოპუსები - ჰეროდის ორი ეპოსი ლათინურ ენაზე - ა. გრიფიუსმა გამოაქვეყნა 1634-1635 წლებში. 1637 წელს გ. შენბორნერმა ა. გრიფიუსს თავადაზნაურობა და მაგისტრის ხარისხი მიანიჭა. მანვე მონათლა ა. გრიფიუსი პოეტად. იმავე წელს გამოქვეყნდა ა. გრიფიუსის პირველი ლექსები გერმანულ ენაზე - „ლისური სონეტები" („Lissear Sonette").

გეორგ შენბერნერმა და მისმა ოჯახმა დიდი როლი შეასრულეს ანდრეას გრიფიუსის ცხოვრებაში. 1638 წელს გ. შენბერნერი თავის ორივე ვაჟიშვილს აგზავნის სასწავლებლად ჰოლანდიაში ლეიდენის კალვინისტურ უნივერსიტეტში და მათ მეურვეობას ა. გრიფიუსს ავალებს. ლეიდენის წლებში (1638-1644) ა. გრიფიუსი ბევრს მუშაობს და საგანგებოდ სწავლობს სამართალმცოდნეობასა და ბუნებისმეტყველებას. ამავე დროს ის წერს სონეტებს, ეპიგრამებს, ოდებს, „საკვირაო და სადღესასწაულო სონეტებს" („Son- undt Feyertags Sonete", 1639), „სონეტების პირველ წიგნს" („Das erste Buch der Sonette", 1643).

ა. გრიფიუსის, როგორც პოეტის, უდიდესი ღირსება სწორედ მისი სონეტებია, რომლებშიაც ოსტატურად ენაცვლება ერთმანეთს წმინდა ლირიკული (სამიჯნურო) და კლერიკალური თემატიკა. ანდრეას გრიფიუსის, როგორც დრამატურგის ჩამოყალიბება გარკვეულწილად განაპირობა იმ ფაქტმაც, რომ იგი ხშირად ესწრებოდა ამსტერდამის დრამატულ თეატრში ჰოლანდიელი დრამატურგის იოსტ ვან დენ ვონდელის პიესებზე შექმნილ სპექტაკლებს. 1644-1646 წლებში ა. გრიფიუსი მოგზაურობს საფრანგეთსა და იტალიაში, სადაც ეცნობა პ. კორნელის შემოქმედებას, საოპერო ხელოვნებას და Commedia dell'arte-ს.

1647 წელს ა. გრიფიუსი სტრასბურგის გავლით სილეზიაში ბრუნდება. მან უარი თქვა რამდენიმე საპატიო შემოთავაზებაზე - ემოღვაწა ცნობილ გერმანულ უნივერსიტეტებში. 1650 წელს ა. გრიფიუსი თავის მშობლიურ ქალაქ გლოგაუში სინდიკუსის (Syndicus) თანამდებობაზე იწყებს სამსახურს. ამგვარად, ის სილეზიის მხარის საზოგადოებრივი ფენების იურისკონსულტი იყო იმ დროს, როდესაც ჰაბსბურგები სილეზიაში კონტრრეფორმაციას ახორციელებდნენ.

ანდრეას გრიფიუსი გერმანული მხატვრული დრამის ფუძემდებელია. მის კალამს ეკუთვნის ტრაგედიები და კომედიები. უაღრესად მნიშვნელოვანია ა. გრიფიუსის გარდაცვალების შემდგომ გამოქვეყნებული სასულიერო ხასიათის ნაშრომები და თარგმანები.

ჩვენთვის, ქართველთათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ა. გრიფიუსის დრამა - მარტიროლოგი „ქეთევან დედოფალი" (ანუ „ქეთევან ქართველი" – „Catharina von Georgien").

ეს ტრაგედია შეიქმნა 1647-1650 წლებში. პირველად დაიდგა იორის იოლიფუსის მოხეტიალე მსახიობების დასის მიერ 1651 წელს ქ. კელნში. დღემდე გაურკვეველია, თუ საიდან ჩაუვარდა დასს ხელში ხელნაწერი, რომელიც მხოლოდ 1657 წელს გამოქვეყნდა. ა. გრიფიუსის „ქეთევან ქართველი" ხუთმოქმედებიანი დრამაა პროლოგითურთ. ეს პირველი გერმანული მხატვრული დრამაა, რომელიც შეიცავს ავტორისეულ პრინციპულ რემარკებსა და მითითებებს დეკორაციებსა და სცენოგრაფიაზე.

საქართველოში ა. გრიფიუსის ამ ტრაგედიის შესახებ პირველად XX საუკუნის დამდეგს გახდა ცნობილი, როდესაც 1904 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში" (№2654) დაიბეჭდა ივ. რამიშვილის წერილი „ქართველი ქალი გერმანულ დრამატულ ხელოვნებაში".

ავტორი ზემოხსენებულ სტატიაში მსჯელობს პიესაზე, ხოლო დართულ შენიშვნებში - ავტორზე. ივ. რამიშვილი აღნიშნავს, რომ ქართველი გმირი ქალი შემკულია ისეთი თვისებებით, როგორიცაა „იდეისათვის, რწმენისათვის წამების გმირულად და რაღაც იდუმალი სიამოვნებით ატანა; საკვირველი ენთუზიაზმი, საკვირველი ზნეობრივი სტოიციზმი და საუცხოო ზნეობრივი სიძლიერე; რომ ქეთევანი იყო „დიდი ნების მქონე პიროვნება", „წმინდა იდეისათვის წამებული ღვთაებრივი არსება".

გერმანელი დრამატურგის მიერ დახატული ქართველი ქალის სახე სავსებით შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს. - დასძენს ავტორი. სტატიის ავტორი სურვილს გამოთქვამს, რომ დრამა ითარგმნოს ქართულად, რადგან პიესის შესახებ ქართულ პრესაში მას ცნობა არ შეხვედრია და თვით არტურ ლაისტსაც კი ეს საყურადღებო ფაქტი არ აღუნიშნავს წიგნში „ქართველი ხალხი" (1903 წ.).

ივ. რამიშვილი შესაძლებლად მიიჩნევდა, რომ ამ პიესის შესახებ არც ისტორიკოსებმა იცოდნენ რამე. მისი ვარაუდი საფუძვლიანი აღმოჩნდა. ეს ფაქტი დაადასტურა ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც იმავე წელს


ანდრეას გრიფიუსი (ფილიპ კილიანის გრავიურა)

ჟურნალ „Византийский Временик"-ის XI ტომში დაბეჭდა ანოტაცია ივ. რამიშვილის სტატიაზე. ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა, რომ ქართველი ისტორიკოსებისათვის უცნობი იყო ა. გრიფიუსის ტრაგედიის არსებობა. სამწუხაროდ, მხოლოდ 1975 წელს მიიღო ქართველმა მკითხველმა ა. გრიფიუსის დრამის თარგმანი, რომელიც აკაკი გელოვანს ეკუთვნის.

## ორშაბათი 16.06

### რუსთავი - 2
[illegible]

### პირველი არხი
[illegible]

### პირველი სტერეო
[illegible]

### მეორე არხი
[illegible]

### კავკასია
[illegible]

### იბერია
[illegible]

### მეცხრე არხი
[illegible]

### იმედი
[illegible]

### აჭარა
[illegible]

### VII არხი
[illegible]

### ОРТ
**13.00, 16.00, 19.00, 03.00** Новости **13.15 Худ.фильм „Фронт без флангов", 1 с. 15.00** Док. детектив „Теорема Ферма для следователей". **15.30** „Путешествия натуралиста" **16.20** „Сканер" **16.55** Док.сериал „Живая природа". **18.00** „Большая стирка" **19.30** „Шутка за шуткой" **20.00** „Жди меня" **21.00** „Кто хочет стать миллионером?" **22.00, 00.30** Время **22.40 Худ.фильм „Пятый угол" 23.45** Док.фильм „Личная жизнь Валентины Терешковой", 1 с. **01.00** „Теория невероятности" **01.30** „Формула власти". Президент Панамы **02.00** „Апология" **03.15 Сериал „Тысячелетие"**

### РТР
**06.45** „Доброе утро, Россия!" **09.45 Комедия „С Новым годом!" 11.30** „Экспертиза" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** Вести **12.20** Ток-шоу „Короткое замыкание" **13.20** Вести недели **14.15, 17.45** „Экспертиза" **14.30** Вести - Москва. Неделя в городе. **15.20** „Что хочет женщина" **16.10 Сериал „Московские окна" 17.15** „Честный детектив" **18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **18.50, 02.45** „Дорожный патруль" **19.05** Вести - Спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал „Комиссар Рекс" 21.50** „Спокойной ночи, малыши!" **21.55 Сериал „Главные роли" 22.55 Детектив „Марш Турецкого". 1 с. 00.20 Боевик „Командир взвода" 02.20** „Футбол России" **03.00 Боевик „Расплата"**

### НТВ
**07.00** Утро на НТВ **09.45 Сериал „Клан Сопрано" 11.00** „Сегодня утром" **11.25** „Намедни" **13.00, 16.00, 18.00, 20.00** „Сегодня" **13.30** „Страна Советов" **14.35 Сериал „Курортный роман", 1 с. 15.45** Криминал **16.35** Ток-шоу „Принцип „Домино". „Семейный бюджет" **18.30** „Женский взгляд". О.Видов **19.10** „Внимание! Розыск!" „Ограбление под гипнозом" **20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей" 21.45 Сериал „Дальнобойщики" 23.00** „Страна и мир" **23.30 Сериал „Секс в большом городе" 00.15 Сериал „Улицы разбитых фонарей" 01.25** „Сегодня" **01.45** „Гордон"

## სამშაბათი 17.06

### რუსთავი - 2
[illegible]

### პირველი არხი
[illegible]

### პირველი სტერეო
[illegible]

### მეორე არხი
[illegible]

### კავკასია
[illegible]

### იბერია
[illegible]

### მეცხრე არხი
[illegible]

### იმედი
[illegible]

### აჭარა
[illegible]

### VII არხი
[illegible]

### ОРТ
**10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00** Новости **10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды" 11.05 Худ.фильм „Сердца трех", 1 с. 12.05** „Шутка за шуткой" **12.35** Дисней-клуб: „Плойд в космосе" **13.15 Худ.фильм „Фронт без флангов", 2 с. 15.00** „Теория невероятности" **15.30** „Формула власти". Президент Панамы **16.20** Док.сериал „Дикие штучки" **17.00 Комедия „Фаталисты", 1 с. 18.00** „Большая стирка" **19.30** Док.фильм „Гренада Михаила Светлова" **21.00** Ток-шоу „Основной инстинкт" **22.00, 00.30** Время **22.40 Худ.фильм „Пятый угол" 23.45** Док.фильм „Личная жизнь Валентины Терешковой", 2 с. **01.00** „На футболе" **01.30** „Русский экстрим" **02.00** „Апология" **03.15 Сериал „Тысячелетие"**

### РТР
**06.45** „Доброе утро, Россия!" **09.45, 21.55 Сериал „Главные роли" 10.40 Детектив „Марш Турецкого". 1с. 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** Вести **12.20** Ток-шоу „Короткое замыкание" **13.20 Худ.фильм „Мятеж на „Баунти" 14.15** „Экспертиза" **14.30** „Колоссальное хозяйство" **14.45** Вести - Москва **15.20** „Что хочет женщина" **16.10 Сериал „Московские окна" 17.10** Всероссийский конкурс „Мой дом. Мой город. Моя страна", ч.1 **18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **18.50, 03.00** „Дорожный патруль" **19.05** Вести - Спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал „Комиссар Рекс" 21.50** „Спокойной ночи, малыши!" **22.55 Детектив „Марш Турецкого". 2 с. 00.20 Детектив „Вопросы и ответы" 03.15 Сериал „Сеть" 04.05 Сериал „Дживс и Вустер"**

### НТВ
**07.00** Утро на НТВ **09.45 Сериал „Дальнобойщики" 11.00** „Сегодня утром" **11.25** „Внимание! Розыск!" „Ограбление под гипнозом" **12.10** „Растительная жизнь". Е.Стеблов **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.25** „Сегодня" **13.30** „Страна Советов" **14.35 Сериал „Курортный роман", 2 с. 15.45** Криминал **16.35** „Принцип „Домино". „Что сон грядущий нам готовит?" **18.30 Сериал „Скорая помощь" 19.25** Док. драма „Преступление и наказание" **20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей" 21.45 Сериал „Дальнобойщики" 23.00** „Страна и мир" **23.30 Сериал „Секс в большом городе" 00.15 Сериал „Улицы разбитых фонарей" 01.50** „Гордон" **02.50 Сериал „Доктор"**

## ოთხშაბათი 18.06

### რუსთავი - 2
[illegible]

### პირველი არხი
[illegible]

### პირველი სტერეო
[illegible]

### მეორე არხი
[illegible]

### კავკასია
[illegible]

### იბერია
[illegible]

### მეცხრე არხი
[illegible]

### იმედი
[illegible]

### აჭარა
[illegible]

### VII არხი
[illegible]

### ОРТ
**07.00** „Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00** Новости **10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды" 11.05 Худ.фильм „Сердца трех", 2 с. 12.05** Док.фильм „Гренада Михаила Светлова" **12.35** Дисней-клуб: „Плойд в космосе" **13.15 Худ.фильм „Фронт за линией фронта", 1 с. 15.00** „Русский экстрим" **15.30** Док.фильм „Тайна бессмертия" **16.20** Док.сериал „Дикие штучки" **16.55 Комедия „Фаталисты", 2 с. 18.00** „Большая стирка" **19.30** „Смехопанорама" Е.Петросяна **21.00** „Слабое звено" с М. Киселевой **22.00, 00.30** Время **22.40 Худ.фильм „Пятый угол" 23.45** Док.фильм „Агент, которому верил Сталин" **01.00** „Подводный мир Андрея Макаревича" **01.30** „Сканер" **02.00** „Апология" **03.15 Сериал „Тысячелетие"**

### РТР
**06.45** „Доброе утро, Россия!" **09.45, 21.55 Сериал „Главные роли" 10.40 Детектив „Марш Турецкого" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** Вести **12.20** Ток-шоу „Короткое замыкание" **13.20 Худ.фильм „Мятеж на „Баунти" 14.15** „Экспертиза" **14.30** „Москва-Минск" **14.45** Вести - Москва **15.20** „Что хочет женщина" **16.10 Сериал „Московские окна" 17.10** Всероссийский конкурс „Мой дом. Мой город. Моя страна", ч.2 **18.20 Футбол. Чемпионат России. „Динамо"** (Москва) - **„Черноморец"** (Новороссийск) **20.05 Сериал „Комиссар Рекс" 21.30** Местное время. Вести - Москва **21.50** „Спокойной ночи, малыши!" **22.55 Детектив „Марш Турецкого" 00.20 Худ.фильм „Снайпер" 02.25** „Дорожный патруль" **02.40 Сериал „Сеть" 03.30 Сериал „Дживс и Вустер"**

### НТВ
**07.00** Утро на НТВ **09.45 Сериал „Дальнобойщики" 11.00** „Сегодня утром" **11.25** Док. драма „Преступление и наказание" **12.00** „Кулинарный поединок. Ф.Бондарчук и А.Новиков" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.25** „Сегодня" **13.30** „Страна Советов" **14.30 Сериал „Курортный роман" 16.35** Ток-шоу „Принцип „Домино". „Левши и правши" **18.30 Сериал „Скорая помощь" 19.25** „Чистосердечное признание" **20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей" 21.45 Сериал „Дальнобойщики" 23.00** „Страна и мир" **23.30 Сериал „Секс в большом городе" 00.15 Сериал „Улицы разбитых фонарей" 01.50** „Гордон" **02.50**

## ხუთშაბათი 19.06

### რუსთავი - 2
[illegible]

### პირველი არხი
[illegible]

### პირველი სტერეო
[illegible]

### მეორე არხი
[illegible]

### კავკასია
[illegible]

### იბერია
[illegible]

### მეცხრე არხი
[illegible]

### იმედი
[illegible]

### აჭარა
[illegible]

### VII არხი
[illegible]

### ОРТ
**07.00** „Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00** Новости **10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды" 11.05 Худ.фильм „Сердца трех", 3 с. 12.05** „Смехопанорама" **12.35** Дисней-клуб: „Базз и его команда" **13.15 Худ.фильм „Фронт за линией фронта", 2 с. 15.00** „Подводный мир А.Макаревича" **15.30** „Сканер" **16.20** Док.сериал „Дикие штучки" **16.55 Комедия „Фаталисты", 3 с. 18.00** „Большая стирка" **19.30** „Сами с усами" **21.00** Ток-шоу „Основной инстинкт" **22.00, 00.30** Время **22.40 Худ.фильм „Пятый угол" 23.45** „Человек и закон" **01.00** „Крылья". „Высший пилотаж" **01.30** „Гении и злодеи" **02.00** „Апология" **03.15 Сериал „Тысячелетие"**

### РТР
**06.45** „Доброе утро, Россия!" **09.45 Сериал „Главные роли" 10.40 Детектив „Марш Турецкого" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** Вести **12.20** Ток-шоу „Короткое замыкание" **13.20 Худ.фильм „Мятеж на „Баунти" 14.15** „Экспертиза" **14.30** „Вся Россия" **14.45** Вести - Москва **15.20** „Что хочет женщина" **16.10 Сериал „Московские окна" 17.10** Всероссийский конкурс „Мой дом. Мой город. Моя страна", ч.3 **18.20, 20.50** Дежурная часть **18.50, 02.55** „Дорожный патруль" **19.05** Вести - Спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал „Комиссар Рекс" 21.50** „Спокойной ночи, малыши!" **21.55 Сериал „Главные роли" 22.55 Детектив „Марш Турецкого" 00.20 Драма „Виновен по подозрению" 02.25** „Синемания" **03.15 Сериал „Сеть" 04.05 Сериал „Дживс и Вустер"**

### НТВ
**07.00** Утро на НТВ **09.45 Сериал „Дальнобойщики". 11.00** „Сегодня утром" **11.25** „Чистосердечное признание" **12.00** „Квартирный вопрос. Кабинет водителя трамвая" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.25** „Сегодня" **13.30** „Страна Советов" **14.30 Сериал „Курортный роман" 16.35** „Принцип „Домино". „Соседи: друзья или враги?" **18.30 Сериал „Скорая помощь" 19.25** „Очная ставка". „Помолвка со смертью" **20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей" 21.45 Сериал „Дальнобойщики". 23.00** „Страна и мир" **23.30 Сериал „Секс в большом городе" 00.15 Сериал „Улицы разбитых фонарей" 01.45** „Гордон" **02.45 Сериал „Доктор" 03.35** „Кома"

## პარასკევი 20.06

### რუსთავი - 2
[illegible]

### პირველი არხი
[illegible]

### პირველი სტერეო
[illegible]

### მეორე არხი
[illegible]

### კავკასია
[illegible]

### იბერია
[illegible]

### მეცხრე არხი
[illegible]

### იმედი
[illegible]

### აჭარა
[illegible]

### VII არხი
[illegible]

### ОРТ
**07.00** „Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00** Новости **10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды" 11.10 Худ.фильм „Сердца трех", 4 с. 12.10** „Сами с усами" **12.40** Сериал „Твинисы" **13.15 Худ.фильм „Фронт в тылу врага", 1 с. 14.40** „Непутевые заметки" **15.00** „Крылья". „Высший пилотаж" **15.30** „Гении и злодеи" **16.20** Док.сериал „Дикие штучки" **16.50 Комедия „Фаталисты", 4 с. 18.00** „Большая стирка" **19.30** Док.фильм „Владимир Этуш" **21.00** „Кто хочет стать миллионером?" **22.00, 00.30** Время **22.40 Худ.фильм „Пятый угол" 23.45** Открытие XXV Московского международного кинофестиваля **01.00** „Идолы". Б.Уиллис **01.30** „История Московского кинофестиваля" **02.00** „Апология" **03.15 Сериал „Тысячелетие"**

### РТР
**06.45** „Доброе утро, Россия!" **09.45 Сериал „Главные роли" 10.40 Детектив „Марш Турецкого". 12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20** Ток-шоу „Короткое замыкание" **13.20 Худ.фильм „Мятеж на „Баунти" 14.15** „Экспертиза" **14.30** „Мусульмане" **14.45** Вести - Москва **15.20** „Что хочет женщина" **16.10 Сериал „Московские окна" 17.10** Всероссийский конкурс „Мой дом. Мой город. Моя страна". Финал **18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **18.50, 02.40** „Дорожный патруль" **19.05** Вести - Спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал „Комиссар Рекс" 21.50** „Спокойной ночи, малыши!" **21.55 Детектив „Марш Турецкого" 00.00** Встреча В.Путина с участниками конкурса „Мой дом. Мой город. Моя страна" **00.45 Худ.фильм „Они живы" 02.50** „Горячая десятка" **03.50 Сериал „Сеть" 04.45 Сериал „Дживс и Вустер"**

### НТВ
**07.00** Утро на НТВ **09.45 Сериал „Дальнобойщики" 11.00** „Сегодня утром" **11.25** „Совершенно секретно. Минздрав предупреждает" **12.15** „Без рецепта". Доктор Бранд **13.00, 16.00, 18.00, 20.00** „Сегодня" **13.30** „Страна Советов" **14.30 Сериал „Курортный роман", 5 с. 16.35** „Принцип „Домино". „Белые вороны" **18.30 Сериал „Скорая помощь" 19.25** „Команда.ru" **20.35** „Свобода слова" **21.55 Боевик „Огненный лис" 00.25** Супербокс. Заб Джуда против Джуниора Виттера **01.30 Худ.фильм „Ловец солнца"**

## შაბათი 21.06

### რუსთავი - 2
[illegible]

### პირველი არხი
[illegible]

### პირველი სტერეო
[illegible]

### მეორე არხი
[illegible]

### კავკასია
[illegible]

### იბერია
[illegible]

### მეცხრე არხი
[illegible]

### იმედი
[illegible]

### აჭარა
[illegible]

### VII არხი
[illegible]

### ОРТ
**07.00** „Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды" 11.05** „Сердца трех". 5 с. **12.05** Док.фильм „Владимир Этуш" **12.35** Дисней-клуб: „Геркулес" **13.15 Худ.фильм „Фронт в тылу врага", 2 с. 15.00** „Путешествия натуралиста" **15.30** „Идолы". Б.Уиллис **16.20 Худ.фильм „Вторжение" 18.00** „Большая стирка" **19.30** Док. детектив „Семья душегубов". **20.50** „Поле чудес" с Л.Якубовичем **22.00** Время **22.30** Творческий вечер А.Абдулова **00.05 Худ.фильм „Казино" 03.15 Драма „Воскресная ночь"**

### РТР
**06.45** „Доброе утро, Россия!" **09.40** „Золотой ключ" **10.05 Детектив „Марш Турецкого" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20 Детектив „Пуаро Агаты Кристи. Убийство Роджера Акройда" 14.15** „Клуб сенаторов" **15.20** „Моя семья" **16.15** „Комната смеха" **17.15** „Синемания" **17.45** „Экспертиза" **18.20** „Сам себе режиссер" **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50** „Аншлаг" **20.50** Вести. Дежурная часть **21.50** „Спокойной ночи, малыши!" **21.55 Комедия „Вход через окно" 00.30 Худ.фильм „Жизнь этого парня" 02.45** „Дорожный патруль" **03.05 Сериал „Клоун"**

### НТВ
**07.00** Утро на НТВ **09.55** „Совершенно секретно. Генералы отступления" **11.00** „Сегодня утром" **11.25** „Команда.ru" **12.00** „Кулинарный поединок. Е.Воробей и К.Балаханов" **12.55** Спорт „Лотто 6 из 49" **13.00, 16.00, 18.00, 20.00** „Сегодня" **13.30** „Страна Советов" **14.30 Боевик „Случай в квадрате 36-80" 16.35** „Принцип „Домино". „Хочу вернуть любимого" **18.30 Комедия „Большая няня 2" 20.00** „Новейшая история". „Из камеры смертников на лубянку" **20.50 Боевик „Агент национальной безопасности" 22.00** „Личный вклад" с А.Герасимовым **23.00 Боевик „Фактор холода" 01.05** „Все сразу!" **01.40 Худ.фильм „Любовник леди Чаттерлей"**

## კვირა 22.06

### რუსთავი - 2
[illegible]

### პირველი არხი
[illegible]

### პირველი სტერეო
[illegible]

### მეორე არხი
[illegible]

### კავკასია
[illegible]

### იბერია
[illegible]

### მეცხრე არხი
[illegible]

### იმედი
[illegible]

### აჭარა
[illegible]

### VII არხი
[illegible]

### ОРТ
**07.00** Новости **07.10 Боевик „Разведчики" 08.00, 11.00, 15.00** Новости **08.10 Боевик „Разведчики"** (прод.) **08.50** Сериал „Твинисы" **09.10** „Служу Отчизне!" **09.35, 17.35** „Ералаш" **09.50** Дисней-клуб: „Легенда о Тарзане" **10.10** „В мире животных" **11.10** „Непутевые заметки" **11.30** „Пока все дома" **12.05** „Дог-шоу" **12.50** „Тайны забытых побед". „Оружие победы. Катюша" **13.20** „Клуб путешественников" **14.05** „Умницы и умники" **14.35** Дисней-клуб: „Мышиный дом" **15.20** „Властелин вкуса" **16.10** Док.фильм „Шаолинь. Путь воина" **16.55** „Большие родители". К.Шульженко **18.00** Док.сериал „Живая природа" **19.00** „Времена" **20.10 Худ.фильм „Перед рассветом" 21.50** „Театр кукол с М.Леонтьевым" **22.20 Боевик „Скала" 00.50** Бокс. Виталий Кличко - Росс Пьюрити **01.50** Дневник XXV Московского международного кинофестиваля **02.00 Комедия „Осторожно, заложник"**

### РТР
**07.00 Худ.фильм „Вам и не снилось" 08.30** Мультфильм „Царство Зеленой Поляны" **09.20** „Русское лото" **10.05** „ТВ Бинго-шоу" **10.35** Местное время. Вести - Москва. Неделя в городе **11.15** „Утренняя почта" **11.45** „Городок". Дайджест **12.20 Комедия „Матрос с „Кометы" 14.10** „Парламентский час" **15.00** Вести **15.20** „Вокруг света" **16.20** Концерт Д. Хворостовского „Военные песни" **17.15 Худ.фильм „Долгий, долгий день" 18.00** Праздничный концерт, посвященном 90-летию Н.Богословского. **19.05 Худ.фильм „Белорусский вокзал" 21.00** Вести недели **22.10 Худ.фильм „Безумный город" 00.30 Худ.фильм „Разум и чувства" 03.15** „Мир на грани" **03.50 Сериал „Семь дней"**

### НТВ
**07.20 Худ.фильм „Инспектор ГАИ" 08.35 Худ.фильм „Полундра!" 09.00, 13.00, 17.00** „Сегодня" **09.15 Сериал „Голубое дерево" 10.00** „Без рецепта". Доктор Бранд **10.30** Лотерея „Шар удачи" **11.00 Сериал „Любовь вдовца" 11.55** „Песни войны" **12.15** „Растительная жизнь". Я.Арлазоров **12.50** Играем в „Кено" **13.10** „Влияние" **14.00 Худ.фильм „Отряд" 15.55** „Вкусные истории" **16.05** „Своя игра" **17.20** „Экстремальный контакт. Ныряльщики в животном мире", 13 с. **17.50** „Женский взгляд". З.Кириенко **18.25 Боевик „Риск без контракта" 20.05** Док.фильм „Если завтра война?" **20.50 Боевик „Агент национальной безопасности" 22.00** „Намедни" с Л.Парфеновым **23.30 Боевик „Отряд 10 из Наварона" 02.50 Сериал „Клан Сопрано"**

# დედოფლის კაბის ამბავი



*საქორწინო კაბა - ნორმან ჰარტნელის ნახელავი*

"ცერემონია და დღესასწაული: დედოფლად კურთხევა, 1953 წელი" – ასეთი სახელწოდება აქვს გამოფენას, რომელიც აგვისტოში ბეკინგემის სასახლის "სახელმწიფო ოთახებში" გაიხსნება.

საზოგადოება ამ მოვლენას უკვე მოუთმენლად ელის. ამ გამოფენის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ექსპონატი ბრიტანეთის დედოფლის კაბაა, რომელიც მას დედოფლად კურთხევის ღირსშესანიშნავ დღეს ეცვა.

ეს თეთრი კაბაა, ბრილიანტებით, ბროლითა და ამეთვისტოს თვლებით მოოჭვილი, ოქროს და ვერცხლის ძაფით ნაქარგი. მის შექმნას ხელოსნებმა 3 500 საათი მოანდომეს, და 1952 წლის შემოდგომაზე კაბა მზად იყო.

ამ ზღაპრული კაბის დიზაინერი სამეფო კარის საყვარელი ოსტატი, ნორმან ჰარტნელი იყო, რომელიც შემდგომში ბრიტანეთის იმპერიის რაინდი გახდა. მისი შთაგონების წყარო ელისაბედ I, დედოფალ ანასა და განსაკუთრებით დედოფალ ვიქტორიას კურთხევის ცერემონიების ამსახველი პორტრეტები ყოფილა.

თავდაპირველად ჰარტნელს უფრო უბრალო კაბა ჰქონდა ჩაფიქრებული – თეთრი, ზედ დაქარგული ოქროს მუხის ფოთლებით – მუხის ფოთოლი ხომ ინგლისის სიმბოლოა. კაბის ესკიზის ნახვის შემდეგ 27 წლის ელისაბედს სავსებით სამართლიანად უბრძანებია, რომ ის არამარტო ინგლისის, არამედ შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის დედოფალიც იქნება. შესაბამისად, ჰარტნელი კვლავ საქმეს შეუდგა. საბოლოოდ, დედოფალმა მხოლოდ მეცხრე ესკიზი მოიწონა.

კაბას გაერთიანებული სამეფოს ქვეყნების მცენარეული სიმბოლოები ამშვენებს – ტიუდორების ვარდი, შოტლანდიური ნარშავი, ირლანდიური სამყურა... ასევე, ბედნიერების საწინდრად, ზედ ოთხფოთლიანი სამყურაც ამოქარგეს, რომელსაც დედოფალი თავის ქვეშევრდომთა მისალმებისას მარცხენა ხელით ეხებოდა.

დიზაინერს ჩანაფიქრის განხორციელებაში სამეფო თერძების სკოლის თორმეტი ოსტატი ეხმარებოდა.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დედოფლის კაბა ლონდონის ჰემპტონ კორტის სასახლეში იყო დაცული. გამოფენამდე მას ოდნავი რესტავრაცია დასჭირდა – მხოლოდ რამდენიმე მძივი იყო გასამაგრებელი.

კაბის გარდა, გამოფენაზე მხატვარ ფელიქს ტოპოლსკის მიერ შესრულებული სამეფო სვლის ამსახავი ნამუშევრები და გრძელი, ალისფერი ხავერდისგან შეკერილი მოსასხამიც იქნება წარმოდგენილი.

# რენე ზელვეგერის სამზადისი




*რენე ზელვეგერი - სანამ გასუქებულა*

რენე ზელვეგერმა განაცხადა, რომ ყოველდღე ოც ცალ ფუნჩულას მიირთმევს. ამას ემატება ბიგმაკი, მაღალკალორიული კოქტეილი, არაქისის ზეთი, ხორციანი სპაგეტი და ბევრი კარტოფილი.

ზელვეგერს ფრიად რთული ამოცანა აქვს დასახული – "ბრიჯიტ ჯონსის დღიურის" გაგრძელების გადაღებებისათვის მან თორმეტი კილოგრამი უნდა მოიმატოს. პუტკუნა ბრიჯიტის წონამდე მისაღწევად მას ექვსი კვირაღა დარჩა.

ამჟამად რენე ცდილობს, ნაკლები იმოძრაობს, და მისი დიეტა დღეში 4 ათას 700 კილოკალორიის მიღებას გულისხმობს. ძნელი საქმეა, მაგრამ ზელვეგერს ნამდვილად უღირს - პირველი ფილმის გადაღებისთვის მსახიობმა სამ თვეში ათი კილოგრამი მოიმატა და ამის წყალობით მან 24 მილიონი ამერიკული დოლარი მიიღო. ასეთი თანხისთვის დღეში ოცი ფუნჩულას შეჭმაც შეიძლება.

მართალია, ცოტა ხნის წინათ რენე ჩიოდა, რომ წონის დაკლება არცთუ იოლი საქმეა, ვარჯიშმა კინაღამ ბოლო მოუღო, ამიტომ მსგავს ექსპერიმენტებს აღარ ჩაატარებს. ისე, "ჩიკაგოში", ნამდვილად, მშვენივრად გამოიყურებოდა.

# ახალი საფოსტო მარკა



*ოდრი ჰეპბერნი*

ჰოლივუდის ლეგენდარული მსახიობის, ოდრი ჰეპბერნის მშვენიერი სახე ამერიკის შეერთებული შტატების ახალ საფოსტო მარკაზეა უკვდავყოფილი. ახალი მარკის პრეზენტაციაზე ითქვა, რომ "ფილმებსა და სცენაზე შექმნილი სახეების წყალობით ეს მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მსახიობი "ჰოლივუდის ლეგენდების" სერიის ჩინებული გაგრძელება იქნება". ოდრი ჰეპბერნი რიგით მეცხრე ჰოლივუდის მსახიობია, რომელსაც ასეთი პატივი ხვდა წილად.

გარდა ამისა, ჰეპბერნმა მარკაზე გამოსახვა მსოფლიოს დაჩაგრულ ბავშვთა უანგარო დახმარებითაც დაიმსახურა. ის 1993 წლამდე, გარდაცვალებამდე, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბავშვებზე ზრუნავდა.






## კროსვორდი




# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში